ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

პარასკევი, 28 ოქტომბერი, 2016 №256 (7182) ფასი: 50 თეთრი

## ლევან იზორიას შს მინისტრად დანიშნავენ?


გვ.2


გვ.2

„ეს ორი თვე ბუქარესტიდან, სოფიიდან და ანკარიდან არ უნდა გამოვსულიყავით“

## თინა ხიდაშელი ლევან იზორიას აკრიტიკებს

# მოხსნიან თუ არა ვალერი გელაშვილს არჩევნებიდან


გვ.3

გავრცელებულ მასალას, სადაც, სავარაუდოდ, „ქართული ოცნების“ ხაშურის მაჟორიტარობის კანდიდატი, რაიონის გამგებლის მოადგილესთან ერთად, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაზე საუბრობს, აუდიტის სამსახური იკვლევს. ავთენტურობის დადგენამდე დიალოგის სავარაუდო მონაწილეები შეხვედრას ადასტურებენ, თუმცა საუბრის შინაარსს უარყოფენ. საქმით უწყებათაშორისი კომისიაც დაინტერესდა




## მიხეილ მაჭავარიანი: „სააკაშვილისთვის პარტია არ აგვიხევია“


გვ.2

„ივანიშვილისგან ფული არ აგვიღია“

„მომდევნო 4 წელი ლაითი ნაციონალი ვიქნები“

## სალომე ზურაბიშვილი: „რუსეთისთვის მინიჭებული ოკუპანტის სტატუსი ყოველმხრივ გვბლოკავს“




გვ.3

ნიკა რურუა: „ეს ღიად მოღალატური განცხადებაა“

## ადა მარშანია: „პატრიოტთა ალიანსის წინააღმდეგ ტოტალური ბრძოლა დაიწყო“


გვ.3


გვ.6

## ჯონდი ბაღათურია: „გაზპრომი მზად არის, გაზი სოკარზე იაფად მოგვაწოდოს“

## „ლარის გამყარება იანვრიდან დაიწყება“


გვ.5

## სოსო ცინცაძე: „რუსეთი შავ ზღვას ნატოს მარტივად არ დაუთმობს“


გვ.4

ლარის გაუფასურება ექსპორტის შემცირებამ და არჩევნებმა განაპირობა


გვ.5


გვ.6

აიპ საქართველოს ენოლოგთა კავშირის თავმჯდომარე ტ.მ.დ. მურმან ქურიძე

## საქართველოში ტარდება შავი ზღვის ქვეყნების ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების პირველი საერთაშორისო კონკურსი

ISSN 1987-9385


გვ.3

სააკაშვილი: „ჩვენ ყველა საბრძოლო ველი უნდა გამოვიყენოთ“

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# მიხეილ მაჭავარიანი: „სააკაშვილისთვის პარტია არ აგვიხევია“

## „ივანიშვილისგან ფული არ აგვიღია“

შორენა მარსაგიშვილი

აახიეს თუ არა სააკაშვილს პარტია, რა აზრი აქვს არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობის მიღებას, გადაუხადა თუ არა ივანიშვილმა არჩევნების „გაპრავებისთვის“ ფული? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი **მიხეილ მაჭავარიანი** ესაუბრება.

***– 30 ოქტომბერს 50 მაჟორიტარულ ოლქში მეორე ტური გაიმართება, სადაც ერთმანეთის კონკურენტებად ნაციონალები და „ოცნება“ ხართ. ნაცმოძრაობის მომხრეების ნაწილი მეორე ტურების წინააღმდეგია. მათი თქმით, მეორე ტურში მონაწილეობით თქვენ ივანიშვილს არჩევნებს „უპრავებთ“. მართლა ასეა?***

– რას ჰქვია, არჩევნებს „ვუპრავებთ“?! არჩევნების „გაპრავება“ ის იქნებოდა, ხელები ჩამოგვეშვა და გველაპარაკა, რომ უსამართლოდ ჩაატარეს. არჩევნებისთვის ბოიკოტის გამოცხადების პრეცედენტები საქართველოში არაერთხელ ყოფილა, რაც, ჩემი აზრით, არასწორია. თუკი შენ გყავს ამომრჩეველი, უნდა იბრძოლო. ბრძოლისთვის თავის არიდებით მათ იმედებს გაუცრუებ და შეაგუებ უსამართლობას. ყველამ თუ ხელები ჩამოვუშვით და დაველოდეთ, რომ უსამართლობა თავისით გადაივლის, მაშინ პოლიტიკას უნდა შევეშვათ, ექსპერტობას მივყოთ ხელი და ტელევიზორში ვაჯამოთ რალაცები.

***– პირადად თქვენ მხარს უჭერდით მეორე ტურში მონაწილეობას თუ მეგობრების პოზიციას სცემთ პატივს?***

– მე მეორე ტურსაც მხარს ვუჭერდი და პარლამენტში შესვლასაც. მიმაჩნია, რომ პარტიამ ყველა არჩევნებში უნდა მიიღოს მონაწილეობა. არჩევნები პარტიებისთვის არის ტესტი. არჩევნების შედეგების მიხედვით ხვდები, რამდენად სწორად იქცევი.

***– ამ არჩევნების შედეგების მიხედვით ტესტის პასუხი როგორია?***

– ცუდი არ არის. შედეგების მიხედვით შეგვიძლია იმის თქმა, რომ ჩვენი ამომრჩევლის რაოდენობა გაიზარდა.

***– ექნება აზრი პარლამენტში მცირერიცხოვანი ნაციონალების შესვლას? ოპონენტები ამბობენ, რომ „ოცნების“ უმრავლესობის წინააღმდეგ ვერაფერს გააწყობთ. რა უნდა გააკეთოს ნაცმოძრაობამ პარლამენტში?***

– რასაც ამ 4 წლის განმავლობაში ვაკეთებდით. 2012 წელს პარლამენტში 63 კაცი შევედით, ბოლოს დავრჩით 45. მართალია, რიცხობრივ უმცირესობაში ვიყავით, მაგრამ ჩვენს გასაკეთებელს ვაკეთებდით. ახლაც ასე იქნება, ჩვენი მეგობრები იმას გააკეთებენ, რასაც ჩვენ ვაკეთებდით.

***– ახლა ბევრად ცოტანი იქნებიან და არ გაუჭირდებათ?***

– არ გაუჭირდებათ. „ოცნებას“ ტყუილად უხარია ეს გამარჯვება. მართალია, არჩევნები მოიგეს, მაგრამ ამაში კრიმინალები დაეხმარნენ და ეს მათ ძალიან ცუდად შემოუტრიალდებათ. ახლა ისინი ბევრად მეტნი იქნებიან პარლამენტში, მაგრამ ბრძოლას მაინც აქვს აზრი.

***– რა აზრი აქვს? რა შედეგს მიაღწევენ?***

– რა აზრი აქვს? ხალხს თეთრსა და შავს დაანახებენ. ეს არ არის პატარა ამბავი. მცირერიცხოვანი ჯგუფი არც ისეთი ხელწამოსაკრავია. მინდა გავახსენო ყველას 15 წლის წინ პარლამენტში განვითარებული მოვლენები. როცა ზურაბ ჟვანიამ პარლამენტის თავმჯდომარის პოსტი დატოვა, მის გარშემო პატარა ჯგუფმა მოვიყარეთ თავი. ნაციონალებს ჩვენზე პატარა გუნდი ჰყავდათ. ჩვენ მაშინდელ ხელისუფლებას ვამხელდით. ნელ-ნელა გავძლიერდით და 2003 წლის ნოემბერში ხელისუფლებაშიც მოვედით.

***– ფიქრობთ, რომ ახლაც იგივე იქნება?***

– ვფიქრობ კი არა, აუცილებლად ასე მოხდება.

***– ამ 4 წლის განმავლობაში რატომ ვერ გაძლიერდით?***

– როგორც ჩანს, ეს 4 წელი არ იყო საკმარისი და აქ მხოლოდ ჩვენი ბრალეულობა არ არის.

***– აბა, ვისი ბრალია?***

– საზოგადოების ნაწილი შეშინდა. მინდა, ერთ რამეს თქვენმა მკითხველმა მიაქციოს ყურადღება – 8 ოქტომბრის მერე ნაციონალებზე არანაირი ფარული ჩანაწერი არ გავრცელებულა, არც ის უთქვამს ვინმეს, რომ ჩვენ გადატრიალებისთვის ვემზადებოდით. ასეთ რამეებზე სუსი არ ისმის, რაც ნორმალურად არ მიმაჩნია.

***– რატომ არ მიგაჩნიათ ნორმალურად?***

– ერთი წლის წინ სახელმწიფოს გადატრიალების მუხლით ჩვენ წინააღმდეგ აღიძრა საქმე. ერთი წელი გადის და ამ თემაზე ხმას არავინ იღებს. უკვე ყველასთვის ნათელია, თუ რატომ დაიწყო ეს გამოძიება – „ოცნებას“ ხალხის შეშინება უნდოდა.

არჩევნების წინაც მხოლოდ იმაზე ლაპარაკობდნენ, რომ არეულობა და უბედურება იქნება. ვერც თქვენ გამახსენებთ და ვერც მე გაგახსენებთ, რა საარჩევნო დაპირება გასცა ბიძინა ივანიშვილმა. ის გამუდმებით იმაზე აკეთებდა აქცენტს, რომ ნაციონალების დაბრუნების საფრთხე არსებობს. აი, ეს იყო მათი დაპირება.

ახლა, იცით, რა მოხდება? ხალხი არსებულ ვითარებას თუ გააპროტესტებს, გამოვა ის ბრძენი კაცი და იტყვის, არაფერს დაგპირებივართ და რა



## „მომდევნო 4 წელი ლაითი ნაციონალი ვიქნები“

უნდა შეგისრულოთო. მართალიც იქნება, ვერ შეედავები.

***– მისი მთავრობის წევრებმა ხომ მისცეს ხალხს დაპირებები?***

– მერე რა. ეგრე დაპირებები 2012 წელს რომ დაარიგეს, მსგავსი არსად თქმულა, მაგრამ ვერ გაიმართლეს თავი? ხალხს იქით სდებდნენ ვალს, თქვენ მხოლოდ იმიტომ მოგვეცით ხმა, რომ სამართლიანობა აღგვედგინაო. ახლა იტყვიან, ხმა იმიტომ მოგვეცით, რომ ნაციონალები არ მოგვეშვაო.

***– ბრძენი კაცი ახსენეთ და ბოროტი ხმები ამბობენ, რომ მან ნაცმოძრაობის ნაწილი იყიდა. საუბარია იმ ნაწილზე, რომელიც მეორე ტურის ჩატარებას უჭერდით მხარს. ამაზე რას იტყვით?***

– ვაიმე! რა ყიდვა და რა გაყიდვა. ეს არის უნამუსო ჭორი, რომელიც ჩვენ წინააღმდეგ ააგორეს. მიმაჩნდა და ახლაც მიმაჩნია, რომ პოლიტიკაში თუ ხარ, აუცილებლად უნდა იბრძოლო.

***– კარგია, საბრძოლო განწყობა რომ გაქვთ, მაგრამ თავად პარტიაში არის ასეთი სულისკვეთება? ამბობენ, ნიკა მელია პარტიიდან გიგი უგულავას კადრებს უშვებსო. ეს განცხადება პარტიიდან გარიცხულმა ქეთი ქოჩორაშვილმა გააკეთა.***

– რა გაყრა? მსგავსი არაფერი მომხდარა. ქეთი ქოჩორაშვილის ამბავი გიგისთან შეთანხმებული იყო.

***– უგულავას ეს გადაწყვეტილება როგორ შეუთანხმეთ, ის ხომ ციხეშია?***

– ადვოკატის მეშვეობით. ის ჩვენს გადაწყვეტილებას დათანხმდა. ამ გადაწყვეტილებას მეც დავუჭირე მხარი.

***– რატომ იქნა ასეთი გადაწყვეტილება მიღებული? სიის მიხედვით, ირაკლი აბესაძის ნაცვლად თბილისის საკრებულოში შესვლა ქეთი ქოჩორაშვილის ეკუთვნოდა.***

– ეკუთვნოდა, მაგრამ პარტიამ გადაწყვიტა, რომ ამ ეტაპზე დედაქალაქის საკრებულოში დავით ავალიანი უნდა შესულიყო.

***– ავალიანი რატომ უნდა შესულიყო?***

– იმიტომ, რომ ის არის გამოცდილი და მებრძოლი ადამიანი. სიიდან, ქოჩორაშვილის გარდა, კიდევ რამდენიმე ადამიანი ამოიღეს, მაგრამ მათ ამაზე ერთი ამბავი არ მოუწყვიათ. ისინი გაგებით მოეკიდნენ ამ ამბავს.

***– გინდათ თქვათ, რომ პარტიაში ყველაფერი რიგზეა, დაპირისპირება არ არის და მაგრად ხართ?***

– გარეთ როცა გამოვდივართ, ძალიან მაგრად ვართ. უფრო მაგრადაც უნდა ვიყოთ.

***– გამოდის, რომ შიგნით დაპირისპირებაა.***

– რაც დღეს ჩვენს პარტიაში ხდება, დაპირისპირება არ არის. ამას ჰქვია დისკუსია. ასეთი რამე ნაცმოძრაობაში ხშირად ყოფილა. საკმაოდ ცხარე დისკუსია იყო აღმასრულებელი მდივნის არჩევაზე. ადამიანის ნაწილს უნდოდა ვაშაძე, ნაწილს, მათ შორის მეც, უნდოდა რატიანი. ავირჩიეთ სერგო რატიანი და აღმოჩნდა, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღეთ.

***– რატომ ფიქრობთ, რომ მისი არჩევით სწორი გადაწყვეტილება მიიღეთ?***

– აბა, ვაშაძე უნდა აგვერჩია? ძალიან მალე ვნახეთ, რომ ეს არის ადამიანი, რომელიც, თავისას თუ ვერ გაიტანს, გაგყიდის.

***– ვაშაძე ახსენეთ და მის გუნდში ამბობენ, რომ მან სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როცა ნაცმოძრაობა უარყო. მათი თქმით, მისი სიმართლე ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა დაადასტურა.***

– რა სიმართლე? ეგენი საერთოდ ვისზე რას ლაპარაკობენ. მეც მოვისმინე ეს განცხადება და თურმე ჩვენ პარტიის განახლებას ვუშლიდით ხელს. ხომ შექმნა ამ სუბიექტმა თავისი პარტია და ერთი მითხრას, ახალი ხალხი მიიყვანა იქ? ერთი თავისი პარტია განაახლა, მეორე – ბურჭულაძე და მესამე ჩვენ განგვაახლებდა.

ბიჭო, სხვის თვალში რომ ბეწვს ეძებ, საკუთარ თვალში დირე არ უნდა დაინახო? მაგან მიხედოს თავის თავსა და ბარიერს მიღმა დარჩენილ პარტიას.

***– მისი გუნდი ამბობს, რომ ლიდერშიფი – თქვენ, ბოკერია, ნადირაშვილი – სააკაშვილს არ აგებინებდნენ, პარტიაში რა ხდებოდა. მართალია ეს ამბავი?***

– რანაირად არის მართალი, კაცო? მიშა სააკაშვილი ყველაფრის საქმის კურსში იყო.

***– არჩევნების შემდეგაც ყველაფრის საქმის კურსშია, ამბობენ, ბოკერიას ფრთამ პარტია აახიაო.***

– ესეც სისულელეა, არანაირი ახევა არ მომხდარა. მიშა რჩება ჩვენი პარტიის ლიდერად.

***– ლიდერად კი რჩება, მაგრამ გადაწყვეტილებების მიღებაში რამდენად მონაწილეობს?***

– თუ მისი ჩართვის საჭიროება არსებობს, მონაწილეობს გადაწყვეტილებების მიღებაში, თუ არ არის საჭიროება, არ მონაწილეობს.

***– ანუ ისეთი აქტიური აღარ არის?***

– ყველაფერი ისეა, როგორც აქამდე იყო. ის თავის პოზიციას აფიქსირებს და გადაწყვეტილებას პოლიტსაბჭო იღებს. მეორე ტურზე და პარლამენტში შესვლაზეც ასე იყო, მიშამ დააფიქსირა თავისი აზრი. დავით ბაქრაძე წავიდა და რაიონული ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდა. აღმოჩნდა, რომ პარტიის უმრავლესობა მხარს უჭერდა ბრძოლის გაგრძელებას. საბოლოო გადაწყვეტილება პოლიტსაბჭომ მიიღო.

მართლა არ მესმის, ამაზე რატომ არის ასეთი ამბავი ატეხილი. აქამდე იმას აპროტესტებდნენ, სააკაშვილი ერთპიროვნულად იღებს გადაწყვეტილებებსო. ახლა პოლიტსაბჭომ გადაწყვიტა და სააკაშვილი ჩახსნესო.

***– ფაქტია, რომ მისი აზრი არ გაითვალისწინეთ.***

– ეს ჩახსნას არ ნიშნავს. ის არის ჩვენი პარტიის ლიდერი. ჩვენ გადაწყვეტილებებს კონსენსუსის საფუძველზე ვიღებთ.

***– მოდით, პირადად თქვენზეც ვისაუბროთ, პარლამენტში არ მოხვდით და რის გაკეთებას აპირებთ, სხვებივით პოლიტიკიდან წახვალთ?***

– მთლად არ წავალ. მინდა, ცოდნა გავიღრმავო. ვაპირებ დისერტაციის დაწერას და მინდა, ლექციების კითხვა დავიწყო. ვაპირებ, ოჯახს მეტი დრო დავუთმო. აქედან გამომდინარე, პარტიისთვის ისე აქტიურად ველარ მოვიცლი, მაგრამ რჩევებით ყოველთვის დავეხმარები.

***– პარტიიდან წახვალთ?***

– პარტიიდან შორს არ წავალ, მაგრამ ისევ ისე ველარ ვიმუშავებ.

***– ლაითი ნაციონალი იქნებით?***

– მომდევნო 4 წელი ლაითი ნაციონალი ვიქნები.

***– 4 წლის მერე რა იქნება?***

– ამას 4 წლის მერე ვნახავთ.

## ლევან იზორიას შს მინისტრად დანიშნავენ?



უკანასკნელ დღეებში აქტიურად საუბრობენ სამთავრობო გუნდში შესაძლო ცვლილებებთან დაკავშირებით. საუბარი იყო გარკვეული უწყებების გაუქმებაზეც. კომენტარი საქართველოს პრემიერ-მინისტრმაც გააკეთა, თუმცა კვირიკაშვილს არ უთქვამს, კონკრეტულად რომელი სფეროს მინისტრებს შეეხება გადახალისება ან გადანაცვლება.

ექსპერტი ნოდარ ხარშილაძე ნიუპოსტთან თავდაცვის სამინისტროში არსებულ პრობლემებს უსვამს ხაზს და აცხადებს, რომ არის საუბრები ლევან იზორიას შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე გადაყვანის შესახებ.

– ბატონი ლევანი კარგი იურისტია, საქართველოში ვაგრძელებთ გადამწყვეტ უწყებებში მინისტრების პოლიტიკური კუთხით დანიშვნას, რისთვისაც საქართველო არ არის ჯერ ისეთი ძლიერი, რომ ასე ხდებოდეს. უკეთესი იქნებოდა, უფრო პროფესიონალურად თუ მივუდგებოდით ამ საკითხს. არის საუბარი, რომ შესაძლოა ლევან იზორია შინაგან საქმეთა მინისტრად გადაიყვანონ, ვფიქრობ, ამას უფრო ექნება აზრი, – აცხადებს ექსპერტი ნიუპოსტთან საუბრისას.

## თინა ხიდაშელი ლევან იზორიას აკრიტიკებს

### „ეს ორი თვე ბუქარესტიდან, სოფიიდან და ანკარიდან არ უნდა გამოვსულიყავით“



– ეს ორი თვე ბუქარესტიდან, სოფიიდან და ანკარიდან არ უნდა გამოვსულიყავით.

ამის შესახებ საქართველოს თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა თინა ხიდაშელმა განაცხადა.

ხიდაშელი მოქმედ მინისტრ ლევან იზორიას აკრიტიკებს და აცხადებს, რომ თავდაცვის მინისტრი მინისტერიალზე საერთოდ არ იყო და ეს ძალიან ცუდია.

– ბუქარესტიდან, სოფიიდან და ანკარიდან არ უნდა გამოვსულიყავით. ეს ორი თვე ამ სამ ქალაქში უნდა გაგვეტარებინა იმისთვის, რომ საქართველოს სრულფასოვანი წევრობა და თანამონაწილეობა შავი ზღვის უსაფრთხოებაში უზრუნველყოფილი ყოფილიყო.

თავდაცვის მინისტრის არცერთი ვიზიტი არ ყოფილა ამ სამი თვის განმავლობაში და ის საერთოდ არ იყო თავდაცვის მინისტერიალზე. დღეს იმ არგუმენტის მოყვანა, რომ ეს იყო შიდა მინისტერიალი, არ გამოდგება, რადგან, ვინც იცის ეს საქმე, იცის, რომ ყველა მინისტერიალი არის შიდა მინისტერიალი, შენ ამ მინისტერიალზე ხვდები მაშინ, როცა აყენებ შესაბამის მოთხოვნას, ითხოვ ან ნატო-საქართველოს კომისიას, რომელიც ჩემი მინისტრობის დროს 2-ჯერ გაიმართა, ან სხვა საკითხების განსახილველად მინისტერიალში მონაწილეობას. სწორედ ასეთ შიდა მინისტერიალებში უნდა ვმონაწილეობდეთ. ეს არის ამოცანა, – განაცხადა თინა ხიდაშელმა რუსთავი 2-ის ეთერში.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ადა მარშანია: „პატრიოტთა ალიანსის წინააღმდეგ ტოტალური ბრძოლა დაიწყო“

## რატომ არ დააკმაყოფილა სასამართლომ პატრიოტების სარჩელი

შორენა მარსაგიშვილი

რამდენიმე დღის წინ პატრიოტთა ალიანსმა გააკეთა განცხადება. რომ კიდევ 2 მანდატს ითხოვდა პარლამენტში. ამ მიზნის მისაღწევად პატრიოტებმა ცესკოს უჩივლეს. სასამართლო სხდომა გუშინ, 27 ოქტომბერს გაიმართა, სადაც ალიანსის სარჩელი არ დააკმაყოფილეს.

როგორც პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ადა მარშანიამ „ახალ თაობასთან“ საუბარში განაცხადა, ისინი ცესკოს შემაჯამებელი ოქმის ბათილად ცნობას ითხოვდნენ, რომლის მიხედვითაც, პარტიას პარლამენტში 6 მანდატი ერგო.

– რომ გითხრათ, სასამართლოსგან სხვა გადაწყვეტილებას ველოდი-მეთქი, მოგატყუებთ. ძალიან კარგად ვიცოდით, რომ საქალაქო სასამართლო ჩვენს სარჩელს არ დააკმაყოფილებდა. ასეც მოხდა, მაგრამ ჩვენ გაჩერებას არ ვაპირებთ და კუთვნილი მანდატების მოსაპოვებლად ბრძოლას გავაგრძელებთ, – ამბობს ადა მარშანია.

მისი თქმით, სასამართლოს გადაწყვეტილების უკან ხელისუფლება იდგა.

– ეს არ იყო სასამართლოს მიერ დამოუკიდებლად მიღებული გადაწყვეტილება. ამის უკან მოქმედი და ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები დგანან. მათ არცერთი მანდატის დათმობა არ სურთ, მაგრამ მოუწევთ. ჩვენს მანდატებს არავის დავუთმობთ, – აღნიშნა ალიანსის ერთ-ერთმა ლიდერმა.



ადა მარშანიას განცხადებით, საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციოში გასაჩივრდება.

– თუ იქაც არ დააკმაყოფილებენ ჩვენს სარჩელს, უფრო ზედა ინსტანციაში ვიჩივლებთ. სამართლიანობის აღსადგენად პარლამენტის ტრიბუნასაც გამოვიყენებთ. მათ არც კი იციან, რას ნიშნავს, როცა პატრიოტთა ალიანსი სიმართლისთვის იბრძვის, – აცხადებს ადა მარშანია.

ის ვარაუდობს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ შეწყდება ჭორაობა იმაზე, რომ ისინი ხელისუფლებასთან არიან გარიგებული.

– ჩვენ არასდროს და არავისთან არ შევსულვართ გარიგებაში. ჩვენ ვართ ჩვენი ქვეყნის პატრიოტები და ამიტომ ეშინიათ ჩვენი. ალიანსი ხელისუფლებასთან რომ ყოფილიყო ალიანსში, ბევრად მეტი მანდატი გვექნებოდა და სასამართლოც დააკმაყოფილებდა სარჩელს, – ამბობს პატრიოტების წარმომადგენელი.

იმის დასტურად, რომ ისინი ხელისუფლებასთან კავშირში არ არიან, მარშანიას ამ დღეებში აგორებული სკანდალიც მოჰყავს.

– მსგავსი რამე აქამდე არ მომხდარა. ისე ეშინიათ ჩვენი, რომ ალიანსის წინააღმდეგ განცხადება აზერბაიჯანში საქართველოს საელჩოს გააკეთებინეს. ყველაფერს აკეთებენ, რომ საშინელ ძალად წარმოგვაჩინონ, – ამბობს „ახალ თაობასთან“ საუბარში ალიანსელი.

26 ოქტომბერს აზერბაიჯანულმა მედიამ გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საქართველოს საელჩო მათ ქვეყანაში დავით თარხან-მოურავის განცხადებას გმობდა.

მოგვიანებით გაირკვა, რომ თარხან-მოურავს აზერბაიჯანთან დაკავშირებით არანაირი განცხადება არ გაუკეთებია და არსად უთქვამს, რომ საქართველოს დაშლის შემთხვევაში ბაქო მარნეულზე გამოთქვამდა პრეტენზიას.

ახლა უკვე ალიანსი ითხოვს აზერბაიჯანიდან საქართველოს ელჩის გამოწვევას.

– ვიღაცის ნათქვამი მიაწერეს თარხან-მოურავს. საელჩომ ეს ინფორმაცია არც კი გადაამოწმა, ისე გაავრცელა განცხადება. იმაზე არც უფიქრია, რომ ამას, შესაძლოა, ეთნიკური დაპირისპირება მოჰყოლოდა. ეს ელჩი გამოწვეულ უნდა იქნეს. სათანადო შეფასება უნდა მიეცეს მომხდარს.

ეს ყველაფერი ჩვენი პარტიის საერთაშორისო იმიჯის შესაბღალად გაკეთდა. ჩვენ წინააღმდეგ ტოტალური ბრძოლა დაიწყო, მაგრამ ვერაფერს მიაღწევენ. პატრიოტებს არაფრის გვეშინია, – აღნიშნავს მარშანია.

# მოხსნიან თუ არა ვალერი გელაშვილს არჩევნებიდან

შორენა მარსაგიშვილი

ხაშურში პოლიტიკური სიტუაცია უკიდურესად იძაბება. მეორე ტურის წინ „ქართული ოცნების“ კანდიდატი, შესაძლოა, არჩევნებიდან მოხსნან. მას ამომრჩევლის მოსყიდვაში ადანაშაულებენ.

რამდენიმე დღის წინ შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ ხაშურის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ვალერი გელაშვილი მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლებს სასტუმროში შეხვდა და არჩევნებზე მხარდაჭერის სანაცვლოდ ხელფასების მომატებაში დახმარებას შეჰპირდა.

შეხვედრის დეტალები აუდიოჩანაწერის მეშვეობით გახდა ცნობილი. საუბარი შეხვედრის ერთ-ერთმა მონაწილემ ტელეფონით ჩაიწერა. მანვე ეს ჩანაწერი შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრს მიაწოდა.



აუდიოჩანაწერის მიხედვით, ვალერი გელაშვილი და გამგებლის მოადგილე ზურაბ ჩხიტუნიძე ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების აუცილებლობაზე საუბრობენ.

გავრცელებულ მასალას, სადაც, სავარაუდოდ, „ქართული ოცნების“ ხაშურის მაჟორიტარობის კანდიდატი, რაიონის გამგებლის მოადგილესთან ერთად, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაზე საუბრობს, აუდიტის სამსახური იკვლევს.

ავთენტურობის დადგენამდე დიალოგის სავარაუდო მონაწილეები შეხვედრას ადასტურებენ, თუმცა საუბრის შინაარსს უარყოფენ. საქმით უწყებათაშორისი კომისიაც დაინტერესდა.

გავრცელებული აუდიოჩანაწერის გამოძიებას ითხოვს ვალერი გელაშვილის კონკურენტი სიმონ ნოზაძე.

– ავთენტურობის დადგენამდე რაიმე კომენტარის გაკეთება არ შეიძლება, მაგრამ, თუ დადასტურდა, რომ ასეთი საუბარი მართლაც შედგა, მაშინ ვალერი გელაშვილმაც და გამგებლის მოადგილემაც უნდა აგონ პასუხი, – აცხადებს „ახალ თაობასთან“ საუბარში ნოზაძე.



სიმონ ნოზაძე

მისი თქმით, შემაშფოთებელია ის ფაქტი, რომ დეპუტატობის კანდიდატი მიზნის მისაღწევად ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას აპირებს.

– ჩანაწერის თანახმად, გელაშვილი გამგეობის თანამშრომლებს მხარდაჭერის სანაცვლოდ ხელფასების გაზრდას ჰპირდება. ის ითხოვს, რომ გამგეობის თანამშრომლებმა მეორე ტურში ოჯახის წევრები დარაზმონ. ეს კანონის დარღვევაა, – ამბობს ნოზაძე.

„თოფაძე მრეწველები – ჩვენი სამშობლოს“ კანდიდატს განსაკუთრებით გამგებლის მოადგილის განცხადება აშფოთებს.

– ჩანაწერის თანახმად, ჩხიტუნიძე ამბობს, რომ ეს არის სამოქალაქო ომი და მასში ყველამ უნდა მიიღოს მონაწილეობა. აუცილებლად უნდა გაირკვეს, რა ომზეა საუბარი და რატომ აპირისპირებს ის ხალხს ერთმანეთთან, – აღნიშნავს გელაშვილის კონკურენტი.

* * *

მოხსნიან თუ არა გელაშვილს არჩევნებიდან, ეს ამ დღეებში უნდა გაირკვეს.

ამომრჩევლის მოსყიდვის ფაქტის გამო 2012 წელს არჩევნებიდან ნაციონალების დუშეთის მაჟორიტარობის კანდიდატი ზურაბ ოტიაშვილი მოხსნეს.

# სალომე ზურაბიშვილი: „რუსეთისთვის მინიჭებული ოკუპანტის სტატუსი ყოველმხრივ გვბლოკავს“

## ნიკა რურუა: „ეს ღიად მოღალატური განცხადებაა“



მთაწმინდის მაჟორიტარობის დამოუკიდებელმა კანდიდატმა სალომე ზურაბიშვილმა საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში რუსეთთან დიალოგის შესაძლებლობებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ შედეგის მოლაპარაკების გზით მიღწევა ყოველთვის შესაძლებელია. ამასთანავე, ზურაბიშვილის თქმით, ოკუპანტის სტატუსი, რომელიც რუსეთს აქვს მინიჭებული და რეალობის ამსახავია, მოლაპარაკებებს ყოველმხრივ ბლოკავს.

– ყოველთვის შესაძლებელია შედეგის მოლაპარაკების გზით მიღწევა. ყოველთვის საჭიროა ამის მცდელობა. დღეს დაბლოკილი ვართ ამ კუთხითაც. ის ოკუპანტის სტატუსი, რომელიც რუსეთს მიენიჭა და რეალობის სწორი ასახვაა, ამავე დროს, ჩვენ ყოველმხრივ გვბლოკავს, – განაცხადა ზურაბიშვილმა.

მისი თქმით, ჩვენ ვერ ვმონაწილეობთ იმ მოლაპარაკებებში, ჩვენი უცხოელი პარტნიორები, რომლებიც ჩვენს სუვერენიტეტს იცავენ, თავისუფალი არიან, რომ ამ ოკუპანტს დაელაპარაკონ და მხოლოდ აბაშიძის ფორმატში ვსაუბრობთ.

– ეს ჩვენი შეზღუდვაა, რადგან ქვეყანა, რომელსაც არ შეუძლია, არ აპირებს სამხედრო გზით მოქმედებას, ვერ ვიტყვით უარს დიპლომატიურ გზაზე. რომ ეს დიპლომატიურ გზა არ არის დათმობის გზა, რომ აქ უნდა იყოს ჯებირები. რომ ამ გზაზე არ შეიძლება დადიოდნენ ოპოზიციონერები. ეს დიპლომატიური გზა შიგნით კარგად უნდა იყოს შეთანხმებული, ყველა პარტიის კონსენსუსი უნდა იყოს, – აღნიშნა სალომე ზურაბიშვილმა.

* * *

გუშინ, 27 ოქტომბერს გამართულ ბრიფინგზე სალომე ზურაბიშვილს რუსეთთან დაკავშირებულ თავის განცხადებაზე დამატებითი პასუხი არ გაუცია.

– არის თუ არა რუსეთი ოკუპანტი?

ამ კითხვაზე ზურაბიშვილმა პასუხი არ ისურვა.

– მე არ ვპასუხობ თქვენს კითხვებზე. ეს არის მეორე ტურისთვის განკუთვნილი ბრიფინგი და მე მოგიწოდებთ, ძალიან კარგად იცით კითხვა, გავრცელებულია ტექსტი და მოგიწოდებთ, წაიკითხოთ ხელახლა. მე არ დაგიზუსტებთ არაფერს. არ გპასუხობთ – განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

* * *

გუშინვე სალომე ზურაბიშვილის განცხადებას გამოეხმაურა მისი კონკურენტი მთაწმინდის №1 ოლქში, ნაციონალი ნიკა რურუა.

– სალომე ზურაბიშვილის ღიად მოღალატური და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვის წინააღმდეგ მიმართული განცხადება, რომელსაც იგი „დიპლომატიურ ურთიერთობათა“ საფარქვეშ ფუთავს, სინამდვილეში მისი გზავნილია, რომ რუსეთს მოვუხსნათ ოკუპანტის სტატუსი, რაც სრულიად დაუშვებელია – ეს ოკუპაციის „კანონიერების“ აღიარებაა, – წერს რურუა სოციალურ ქსელში.

# სააკაშვილი: „ჩვენ ყველა საბრძოლო ველი უნდა გამოვიყენოთ“



– ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ყველა საბრძოლო ველი ჩვენი იდეების გასატარებლად, პარლამენტი, სახელმწიფო დაწესებულებები და ის, რაც დარჩა თავისუფალ ქართულ მედიაში.

ამის შესახებ ნაციონალური მოძრაობის ლიდერმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა.

მისი თქმით, გაყალბებული და მანიპულირებული არჩევნების შემდეგ ივანიშვილი ცდილობს, დანერგოს უიმედობა, განხეთქილება და ინტრიგები. მას ეს არ გამოუვა.

– ჩვენ გვინახავს ბევრად უკეთესი საქართველო და ვიცით, თუ რა არის პროგრესი, აღმშენებლობა და კარგად გვახსოვს, რა სასწაულების მოხდენა შეგვიძლია. ჩვენი ბრძოლა გაგრძელდება, ეს არის ჩვენი ქვეყანა, სადაც არ უნდა ვიყოთ. ზოგი ციხეშია, ზოგი ქვეყნიდან არის გაგდებული, ზოგი ადგილზე აგრძელებს ბრძოლას, მიუხედავად უდიდესი ზეწოლისა. ჩვენ ვერ და არ შევეგუებით სიცრუესა და ერთი ტლუ რუსი დანაშაულებრივი ოლიგარქის მიერ საქართველოს საკუთრებად მიტაცებას, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

ოდესის გუბერნატორი ყველა ამომრჩეველსა და მებრძოლს მოუწოდებს, არჩევნებზე აქტიურობით აჩვენოს ყველას, რომ ხელები არ ჩამოუშვიათ.

– უნდა ვუთხრათ იმათ, ვისაც უღალატეს, იმ პარტიებმა, ვისაც ხმა მისცეს, ჩვენ თავიდანვე ვაფრთხილებდით, რომ ისინი ფულზე გაყიდული პოლიტიკანები იყვნენ. მათმა ამომრჩეველმა არაფერი დააშავა და მე ვფიქრობ, მეორე ტური არის ამ ამომრჩევლებისთვის პოზიციის დაფიქსირების საშუალება, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

მან თქვა, რომ ბრძოლა არ მთავრდება არც მეორე ტურით და არც ამ გაყალბებული არჩევნებით.

– ბრძოლა გაგრძელდება და ბევრად უფრო სწრაფად მოვიშორებთ ამ უბედურებას, ვიდრე ბევრს ჰგონია. მე დარწმუნებული ვარ ჩვენს ძალებში, დარწმუნებული ვარ იმაში, რასაც ყველა ერთად ვაკეთებთ, ჩვენ გვყავს საქართველოში უამრავი მომხრე, გაყალბებული ბიულეტენების, მანიპულაციების გათვალისწინებით 600 ათასამდე ადამიანმა დაგვიჭირა მხარი.

ეს არ არის ცოტა, ეს ძალიან ბევრია და მინდა, თითოეულ ადამიანს ვუთხრა მადლობა. დიდი მადლობა ყველაფრისთვის. მომავალშიც გქონდეთ ჩვენი იმედი და ჩვენ გვაქვს თქვენი იმედი, – აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# სოსო ცინცაძე: „რუსეთი შავ ზღვას ნატოს მარტივად არ დაუთმობს“

ნათია ხურცილავა



პოლიტოლოგი, საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი **სოსო ცინცაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ნატოს გენერალური მდივნის იენს სტოლტენბერგის განცხადებაზე საუბრობს.

***– ბატონო სოსო, ნატოს გენერალურმა მდივანმა განაცხადა, რომ ნატოსთვის მნიშვნელოვანია საქართველოსთან პარტნიორობის გაძლიერება. სტოლტენბერგმა ასევე ისაუბრა ნატოს 6 წევრი სახელმწიფოს მზადყოფნაზე, შავი ზღვის რეგიონში მიიღონ მონაწილეობა საჰაერო, სახმელეთო და საზღვაო ძალების გაძლიერებაში. რამდენად რეალურია, მეტი ნატო ვიხილოთ თუნდაც შავი ზღვის აკვატორიაში?***

– ეს ძალიან მნიშვნელოვანი განცხადებაა ნატოს გენერალური მდივნის მხრიდან, მაგრამ ეს არის განცხადება და არა – ქმედება. შავი ზღვის რეგიონში, კონკრეტულად შავ ზღვაში, ნატოს თავისი ინტერესები რომ აქვს, ეს ფაქტია და ამაზე საუბარი ჯერ კიდევ გაზაფხულზე დაიწყო.

***– უფრო ღიად თებერვალში ვისაუბრებთო, განაცხადა სტოლტენბერგმა.***

– დიახ, ვნახოთ, რა კონკრეტულ შეთავაზებაზე იქნება საუბარი. თუმცა, ფაქტია, რომ ნატოს აინტერესებს შავი ზღვის აუზი. ჩემთვის, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტისთვის, ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი რუსეთის ფაქტორია.

***– რუსეთს ღიად აქვს გაცხადებული, რომ ნატოს მიახლოებას თავის საზღვრებთან არ დაუშვებს.***

– დიახ. ამიტომ ძალიან საინტერესოა რუსეთის რეაქცია ამ ყველაფერზე. პუტინი ჯერ დუმს, მაგრამ, რამდენ ხანს გასტანს ეს დუმილი, ვერ გეტყვით. თუ იმ ფაქტსაც გავითვალისწინებთ, რომ ნატოს წევრ სახელმწიფოებს შორის, რბილად რომ ვთქვათ, ერთსულოვნება არ არის, მეტიც, განხეთქილებაა ბევრ სტრატეგიულ საკითხზე, ასე მარტივი არ არის, რომ შავი ზღვის რეგიონში ასე აქტიურად გამოჩნდეს ნატო.

იტალიის, უნგრეთის პოზიციები ძალიან განსხვავდება სხვა წევრი სახელმწიფოების პოზიციებისგან. არ არის გამორიცხული, მალე საწევროების შეტანაზეც კი უარი განაცხადონ. ისინი თვლიან, რომ რუსეთისგან ევროპას საფრთხე არ ემუქრება და ნატო მხოლოდ გამაღიზიანებელი ფაქტორია.

***– თქვენი ანალიზით, რუსეთის რეაგირება როგორი იქნება, თუ შავ ზღვაში ნატოს ხომალდი გამოჩნდა?***

– ჩვენ ერთხელ უკვე ვნახეთ რუსეთის რეაქცია, როდესაც შავ ზღვაში შემოვიდა ნატოს ხომალდი. რუსეთი დღეს სირიით არის დაკავებული. თავისი გავლენებისთვის ის სირიასა და ერაყში იბრძვის და ასე მარტივად შავ ზღვას არავის დაუთმობს. შავ ზღვას რუსეთი მუდამ თავის შიდა ტბად განიხილავდა. დღეს შავი ზღვის აუზში მთავარი სამხედრო ძალა რუსეთის ფლოტია.

***– რამდენად წავა რუსეთი იმაზე, რომ ნატოს 6 სახელმწიფოს ფლოტს დაუთმოს შავი ზღვა?***

– სიმართლე გითხრათ, ძალიან მეეჭვება. რუსეთს ძალიან მწვავე რეაგირება ჰქონდა, როდესაც ნატოს ერთი სამხედრო გემი შემოვიდა შავ ზღვაში. ახლა რუსეთი მთლიანად სირიისკენ არის გადართული, ადმირალ კუზნეცოვის ხელმძღვანელობით თავისი ჩრდილოეთის ფლოტის 14 სამხედრო გემი სირიის სანაპიროზე ჰყავს გადასროლილი.

მთელი ბრიუსელი და ნატოს გენერალური მდივანი თმებს იგლეჯდნენ, რომ ესპანეთს არ მიეცა რუსეთისთვის შესაძლებლობა, ამ ფლოტს საწვავი შეევსო, მაგრამ ესპანეთმა ყურიც კი არ შეიბერტყა. ესპანეთის მთავრობა გამოვიდა და თქვა, ხელშეკრულება მაქვს გაფორმებული რუსეთთანო, ასევე უმუშევრობა, ეკონომიკური კრიზისი მოიმიზეზეს და საერთოდ არ უგდო ყური ბრიუსელს, ისე დართო ნება რუსეთს, საწვავი შეევსო.

როდესაც ბრიუსელმა იმასაც კი ვერ მიაღწია, რომ ნატოს წევრმა სახელმწიფომ ესპანეთმა სოლიდარობა გამოუცხადოს ბრიუსელს და უარი უთხრას რუსეთს საწვავის შევსებაზე, ეჭვი მეპარება, სტოლტენბერგის იდეას განხორციელება ეწეროს.

***– 6 სახელმწიფო უკვე შევთანხმდითო, ასეთი განცხადება გააკეთა.***

– დიახ, მაგრამ ვნახოთ, როგორ განხორციელდება ეს განცხადება. სიტყვა სხვაა, საქმე – სხვა. რუსეთი მთელ ცივილიზებულ სამყაროს უპირისპირდება სირიაში.

გაეროს რეზოლუციებში პირდაპირ წერია, რომ ეს არის სამხედრო დანაშაული – საუბარია ალეპოს მშვიდობიანი მოსახლეობის დაბომბვაზე. ამ დროს, არა მგონია, რუსეთისთვის დაბრკოლება იყოს: ნატომ თქვა და მორჩა.

***– თუ შავი ზღვის აკვატორიაში ნატოს ხომალდები გამოჩნდა, ეს იქნება ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების გარანტია?***

– ეს იქნება უსაფრთხოების გარანტია თუ პირიქით – გამოწვევა – ჯერ კიდევ დიდი კითხვის ნიშანია. სტოლტენბერგმა თქვა, თებერვალში უფრო ღიად ვისაუბრებთო, ფრჩხილებს გავხსნითო. ვნახოთ, რაზე იქნება საუბარი და მერე შეგვეძლება ამ კითხვაზე პასუხის გაცემა.

***– ნატოს გენერალურმა მდივანმა ასევე ისაუბრა რუსეთის მიერ დაგეგმილ სამხედრო სწავლებაზე „კავკაზ-2016“, რომელიც ჩვენს ოკუპირებულ ტერიტორიებზეც იგეგმება. ის შემაშფოთებელს უწოდებს ამ ფაქტს. ეს არის რუსეთის ერთგვარი პასუხი ამ ყველაფერზე?***

– რა თქმა უნდა. რაც უფრო აგრესიული იქნება ნატო, რაც უფრო ფეხს გაიდგამს საქართველოში, მით უფრო აგრესიული იქნება რუსეთი. ამაში ორი აზრი არ არის.

***– თავის დროზე ამ საკითხზე ისაუბრა აპატურაიმ, ნატო გამაღიზიანებელი ფაქტორი არ უნდა აღმოჩნდეს რუსეთისთვისო, მით უფრო მაშინ, როდესაც ნატოს მოქმედება, მისი დაცვა არ შეუძლია საქართველოს ტერიტორიაზე.***

– სწორედ ამას გეუბნებით, როდესაც საქართველოს არ აქვს არავითარი ინსტრუმენტი, საქართველო არ არის ნატოს წევრი სახელმწიფო, არ აქვს არც მაპი და ამ დროს მსგავსი განცხადებები კეთდება, მით უფრო, როდესაც მას არ მოჰყვება უმალ საქმე, შეიძლება, წითელი ნაჭრის ეფექტი ჰქონდეს ამ ყველაფერს.

რასაკვირველია, ეს ყველაფერი გააზრებული იქნება ნატოში, მაგრამ ჩვენთვის მნიშვნელოვანი ის არის, რომ საქართველოს საკითხთან დაკავშირებით კვლავ არ არის ერთიანი პოზიცია ნატოში. ნატოში ისეთი მნიშვნელოვანი სახელმწიფოები, როგორებიც გერმანია და საფრანგეთია, ჩვენდა სამწუხაროდ, კვლავ სკეპტიკურად არიან განწყობილნი საქართველოსთან დაკავშირებით.

## პრეზიდენტმა 168 პატიმარი შეიწყალა

პრეზიდენტმა 168 პატიმარი შეიწყალა.

როგორც შეწყალების კომისიის თავმჯდომარე ზვიად ქორიძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, მათგან 6 ქალია.



– 114 მსჯავრდებული ახლავე დატოვებს საპატიმრო დაწესებულებას. დანარჩენებს სხვადასხვა ვადით შეუმცირდებათ სასჯელი, ზოგს გაუნახევრდება, ზოგს კი 2/3-ით შეუმცირდება, – აღნიშნა ქორიძემ.

## „კრწანისის“ სასწავლო ცენტრიდან გაქცეულთა ვინაობა ჯერ კიდევ დაუდგენელია

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, „კრწანისის“ სასწავლო ცენტრში მომხდარი შემთხვევის მონაწილე ორი პირის ვინაობა ჯერჯერობით დაუდგენელია და, შესაბამისად, მომხდარი შემთხვევიდან 5 დღის შემდეგ უწყებას არ აქვს ინფორმაცია, დატოვეს თუ არა ამ პირებმა საქართველო.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურში განუცხადეს, იმ მოტივით, რომ გიგა შენგელიას თანმხლები პირების ვინაობა დაუდგენელია, სამხედრო პოლიციას არც შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის მიუმართავს იმის დასადგენად, გადაკვეთა თუ არა „კრწანისის“ სასწავლო ცენტრიდან გაქცეულმა ორმა პირმა საქართველოს საზღვარი.

– არ ვიცით, ჯერჯერობით სად არიან და ვინ არიან ეს პირები, თუმცა ძალიან მალე იქნება ყველაფერი დადგენილი, – განაცხადეს თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურში.

## სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორსა და ნაციონალებს შორის დაპირისპირება მოხდა?



ნაციონალური მოძრაობის ინფორმაციით, ახალციხეში მათ რამდენიმე წარმომადგენელსა და სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორს შორის ინციდენტი მოხდა.

ინფორმაცია რუსთავი 2-ის ეთერში პარტიის წევრმა ელენე ხოშტარიამ გააჟღერა.

ხოშტარიას თქმით, მას დაუკავშირდა დეპუტატი დავით დარჩიაშვილი, რომელმაც განაცხადა, რომ ერთ-ერთ საარჩევნო შეხვედრაზე მიდიოდნენ, როდესაც მათ დაეწია გუბერნატორი თავისი თანმხლები პირებით. თავად გუბერნატორი, ფაქტობრივად, პირადად მონაწილეობდა ძალადობრივ ინციდენტში.

ხოშტარიას თქმით, ნაციონალური მოძრაობის წევრს ფიზიკურად გაუსწორდნენ.

– გუბერნატორი დაპირისპირებისას ამბობდა, რომ ყველა ადამიანს, რომელიც ნაციონალურ მოძრაობასთან იქნება ასოცირებული, ან ხმას მისცემს მას, ასე მოექცევიან. ღია დაშინებაზე იყო გადასული. ეს არჩევნები სამართლიან ვითარებაში არ მიდიოდა, თუმცა ახლა ვხედავთ კიდევ უფრო თავხედურ ფორმას, როცა პირდაპირ გუბერნატორია ჩართული ძალადობაში, – განაცხადა ელენე ხოშტარიამ.

* * *

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო რწმუნებული, გუბერნატორი აკაკი მაჭუტიძე უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას, რომ მასსა და ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებს შორის დაპირისპირება მოხდა.

მაჭუტიძის თქმით, მთელი დღე სამსახურში იყო და მსგავსი არაფერი მომხდარა.

– მთელი დღეა, სამსახურში ვიყავი. არსად შევხვედრივარ. რა სისულელეა! ეს ინფორმაცია არის მტკნარი სიცრუე! – განაცხადა მაჭუტიძემ რუსთავი 2-ის ეთერში.

**ინტერპრესნიუსი**

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

## ლევან ვარშალომიძე პროკურატურას მიმართავს



ნაციონალური მოძრაობის აჭარის ორგანიზაციის ლიდერი ლევან ვარშალომიძე პროკურატურას მიმართავს.

ის საგამოძიებო ორგანოს მოუწოდებს, შეისწავლოს ის ვიდეომასალა, სადაც საარჩევნო უბანზე იკვეთება არა მხოლოდ ადმინისტრაციული, არამედ სისხლის სამართლის დანაშაული.

ლევან ვარშალომიძემ მედიას ვიდეოც წარუდგინა. მისი თქმით, ვიდეოში ჩანს, თუ როგორც ულებს ფოტოს ან ვიდეოს ერთ-ერთი დამკვირვებელი საარჩევნო უბანში კაბინაში შესულ ამომრჩეველს კაბინის ზემო ნაწილიდან.

– 8 ოქტომბერს საარჩევნო უბნებზე დაფიქსირებული დარღვევების, შეცდომებისა და რიგ შემთხვევებში დანაშაულის შემცველი ფაქტების შესწავლის შემდეგ ნაციონალურმა მოძრაობამ რამდენიმე ათეული საჩივრით მიმართა ოლქს. დაფიქსირებული ფაქტები ოლქმა შეაფასა, როგორც „პროცედურული დარღვევა“ და სხვა რეაგირება ფაქტებს არ მოჰყოლია.

ამასთან, მე და ჩემმა გუნდმა გავასაჯაროეთ არაერთი ვიდეოფაილი, რომელიც არჩევნების დღეს უბნებზე განლაგებულმა კამერებმა გადაიღეს და კადრებში აღმოჩენილ იქნა უამრავი დარღვევა, მანიპულაცია, გაყალბების ფაქტები და დანაშაულის შემცველი ქმედებები.

გასაჯაროებულ კადრებში არსებობს რამდენიმე ფაქტი, რომლითაც პროკურატურა ჩვენი მიმართვის ან საჩივრის გარეშე უნდა დაინტერესებულიყო, თუმცა მათი მხრიდან რეაგირება არ ყოფილა.

სწორედ ამიტომ მივიღეთ გადაწყვეტილება, ამ ვიდეომასალებით მივმართოთ პროკურატურას, მოვითხოვოთ ამ ორგანოს დაინტერესება, რათა მოხდეს სამართლებრივი ზომების მიღება, – აღნიშნა ლევან ვარშალომიძემ.

**ინტერპრესნიუსი**

## პრემიერს მხოლოდ სახელმწიფო მინისტრის თანამდებობის გაუქმება შეუძლია

### ცალკეული სამინისტროს გაუქმებას კი საკანონმდებლო ცვლილებები სჭირდება



პრემიერ-მინისტრს პირადი გადაწყვეტილების საფუძველზე მხოლოდ სახელმწიფო მინისტრის თანამდებობის გაუქმება შეუძლია, ანალოგიური გადაწყვეტილების ცალკეულ სამინისტროსთან დაკავშირებით მიღებას კი საკანონმდებლო ცვლილებები სჭირდება.

გიორგი კვირიკაშვილს, რომელიც ახალარჩეული პარლამენტის უფლებამოსილების ცნობისთანავე მოვალეობის შემსრულებელი პრემიერი ხდება, აქვს უფლებამოსილება, მომავალ პარლამენტს ნდობის გამოცხადებისას სახელმწიფო მინისტრის თანამდებობის გაუქმება შესთავაზოს.

კანონმდებლობით, სახელმწიფო მინისტრის თანამდებობის შემოღების ან გაუქმების თაობაზე გადაწყვეტილებას პრემიერ-მინისტრი იღებს.

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ კანონის გათვალისწინებით, მთავრობისთვის ნდობის გამოცხადების საკითხის განხილვისას პრემიერმინისტრობის კანდიდატი უფლებამოსილია, პარლამენტს სახელმწიფო მინისტრის თანამდებობის შემოღება ან გაუქმება შესთავაზოს.

ამასთან, თუკი მთავრობის ფარგლებში საკუთრივ გარკვეული სამინისტროების შერწყმა-გაუქმება იგეგმება, ეს ამ ეტაპზე, სავარაუდოდ, ვერ განხორციელდება.

საქმე ისაა, რომ არსებული სამინისტროები „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ კანონის საფუძველზეა შექმნილი.

რომელიმე სამინისტროს გაუქმებასა თუ სხვა სამინისტროსთან შერწყმას აღნიშნულ კანონში შესაბამისი ცვლილებების განხორციელება დასჭირდება, რასაც ჯერ კიდევ მოქმედი პარლამენტი ვერც მოასწრებს და ვერც შეძლებს.

რაც შეეხება ახალ პარლამენტს, როგორც კი ის შეიკრიბება, დღის წესრიგში განხილვის მთავარი საკითხი მთავრობისთვის ნდობის გამოცხადება იქნება და არა – ძველი მთავრობის მიერ წარმოდგენილი საკანონმდებლო ინიციატივის განხილვა.

**ინტერპრესნიუსი**

# „ლარის გამყარება იანვრიდან დაიწყება“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში **ალექსანდრე თვალჭრელიძე** პასუხობს.

***– ბატონო ალექსანდრე, ლარი ყოველდღიურად განაგრძობს გაუფასურებას. ხელისუფლება ამბობს, რომ არაფერი განსაკუთრებული არ ხდება. რას იტყვით თქვენ?***

– ბევრი პრობლემა მიება ერთმანეთს. წლის ბოლოა, არჩევნებია, მთავრობა არ არის ჩამოყალიბებული. მიმაჩნია, რომ ლარი გამყარდება, დიდად აღარ გაიქცევა.

***– როდიდან გამყარდება?***

– ამ წელში ლარის გამყარებას არ ველოდები. წლის ბოლო ახლოვდება და გადასახდელია ჩვენი სახელმწიფო დავალიანება უცხოური ფინანსური ინსტიტუტების მიმართ. იანვრიდან უნდა დაიწყოს ლარის გამყარება, თუკი ნორმალურ პოლიტიკას გაატარებს ეროვნული ბანკი.

***– გაატარებს? ამჟამად როგორ აფასებთ ეროვნული ბანკის პოლიტიკას?***

– მე ვთვლი, რომ არ ატარებს. ის ატარებს ისეთ პოლიტიკას, როგორსაც ეტყვის მსოფლიო ბანკი, თუ რა გაცვლითი კურსი უნდა იყოს, სწორედ ის კურსი უჭირავს. მე არა მგონია, რომ დიდი ქმედებები განეხორციელებინოს ეროვნულ ბანკს ლარის გასამყარებლად. არადა, ამის იმედი მქონდა.

***– თქვენ ყოველთვის აცხადებდით, რომ როდესაც შეიცვლება ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობა, ვითარება მაშინვე გამოსწორდებოდა. ახლა აცხადებთ, რომ იმედები გაგიცრუვდათ. ეს რისი ბრალია, კობა გვენეტაძის გამოუცდელობის?***

– არა, ეს არ არის გამოუცდელობის ბრალი. უბრალოდ, უნდა იყოს ასეთი პოლიტიკა.

***– ასეთი როგორი?***

– სუსტი ლარის პოლიტიკა. აუცილებლად უნდა შეიცვალოს კანონი და საბანკო კრედიტების დაფიქსირება მოხდეს ლარში. მისი დოლარში გაცემა უკანონო და ანტიკონსტიტუციურია. კომერციულ ბანკებს უნდა აეკრძალოთ კრედიტების დოლარში დაფიქსირება.

***– კობა გვენეტაძე აკეთებს განმარტებებს, რომ აქ არაფერ შუაშია ეროვნული ბანკის პოლიტიკა, რომ ეს უკავშირდება ერთჯერადი ფაქტორებით გამოწვეულ მერყეობებს. ერთ-ერთ მაგალითად გვენეტაძე თიბისი ბანკის მიერ ბანკ რესპუბლიკის შეძენას ასახელებს.***

– კარგით, რა. პატარა ბავშვები ხომ არა ვართ?! ეს არის ეროვნული ბანკის პოლიტიკა და მორჩა. ასეთი ახსნა ბევრი მოგვისმენია. ვნახოთ, იანვარ-თებერვალიც მალე მოვა და მაშინ უფრო ჩამოყალიბებული იქნება ჩემი პოზიცია. ამ დრომდე კი უკეთესობისკენ არაფერი შეიცვლება.

***– რა ასახვა ჰპოვა არჩევნებმა ლარზე?***

– არჩევნები ყოველთვის აისახება ქვეყნის ეკონომიკაზე. ამას ემატება ისიც, რომ ფორმალური გაურკვევლობაა. მოვიდეს ახალი მთავრობა, შედგეს მინისტრთა კაბინეტი. ვნახოთ, ვინ იქნება ფინანსთა მინისტრი, ეკონომიკის მინისტრი.

***– ელით სერიოზულ ცვლილებებს ამ კუთხით?***

– სიმართლე რომ გითხრათ, დიდ ეკონომიკურ ცვლილებებს არ ველოდები, მაგრამ გარკვეული ცვლილებები მაინც მოსალოდნელია, თუნდაც მინისტრების შეცვლის თვალსაზრისით. დღეს ყველა ელოდება ახალი მთავრობის დაკომპლექტებას.



***– ეს პროცესი რამდენად დაარტყამს მოსახლეობის ჯიბეს? საუბრობენ იმის თაობაზეც, რომ თუ ლარი კიდევ გაიქცა, შესაძლოა, კომუნალური გადასახადებიც გაიზარდოს.***

– არა მგონია, კომუნალური გადასახადები გაიზარდოს. როდესაც კომუნალური გადასახადები გაიზარდა ერთჯერადად, მაშინ უფრო ცუდი გაცვლითი კურსი იყო. ლარის კურსი იანვრიდან აუცილებლად დასტაბილურდება და გამყარდება. რა დინამიკით მოხდება ცვალებადობა, დაველოდოთ და ვნახოთ.

***– ნავთობზეც იმატა ფასებმა და ეს პროცესი გაგრძელდებაო. ამაზე რას იტყვით?***

– ყოველდღიური ფასებით სიტუაციის შეფასება არ შეიძლება. ყველაზე მცირე დროის მონაკვეთი, როცა ნავთობის ფასის შეფასება შეიძლება, არის ერთი თვე. თებერვალი ყველაზე კარგი პერიოდია იმისთვის, რომ მსოფლიო და ქართული ტენდენციები გავაანალიზოთ. ფინანსური წელი უნდა დამთავრდეს.

***– როდესაც საუბრობთ, რომ კობა გვენეტაძემ არ გაატარა ის პოლიტიკა, რისი მოლოდინიც გქონდათ, კონკრეტულად რა საკითხებს გულისხმობთ?***

– პირველი, უნდა შემოეტანა კანონი კომერციული ბანკების შესახებ, რომ აკრძალულიყო კრედიტების დოლარში ფიქსაცია. ასევე რეფინანსირება 6,5%-ზე დატოვა, უნდა შეემცირებინა. აი, ასეთი საკითხები მოქმედებს ლარის კურსზე. ამიტომ ნუ ამბობს ის, რომ ეროვნული ბანკი არაფერ შუაში არ არის. ეს სწორედ ეროვნული ბანკის პოლიტიკის ნაწილია.

***– ინვესტიციების კლების შესახებ რას იტყვით? ერთ-ერთ მიზეზად ესეც დასახელდა, რომ არჩევნების პერიოდში სერიოზულად იკლო ინვესტიციებმა და ამანაც სერიოზული ასახვა ჰპოვა ლარის კურსზე. ასეა?***

– დიახ, ეს სწორი შეფასებაა. როდესაც ახალი მთავრობა დაინიშნება, ინვესტორებიც გაცილებით აქტიურები იქნებიან. დღეს მათ არ ჰყავთ პარტნიორი, ვისთანაც უნდა ისაუბრონ. ეს მთავრობა ერთ თვეში შეიცვლება. ამიტომ ყველა თავს იკავებს ახალი ინვესტიციებისგან. ეს ყოველთვის ასეა ყველა ქვეყანაში.

# ლარის გაუფასურება ექსპორტის შემცირებამ და არჩევნებმა განაპირობა



ლარის კურსი გაუფასურებას განაგრძობს. ექსპერტები ბიზნესპრესნიუსთან შექმნილი მდგომარეობის სხვადასხვა მიზეზზე საუბრობენ.

როგორც ახალი პოლიტიკური ცენტრის „გირჩის“ ეკონომიკურმა ექსპერტმა ვახტანგ მეგრელიშვილმა აღნიშნა, ლარის გაუფასურების მიზეზი შეიძლება იყოს ის მსხვილი ტრანზაქცია, რომელიც თიბისი ბანკმა ბანკი რესპუბლიკის ყიდვისას განახორციელა და არჩევნები, რომელიც ფულს ხარჯვის ერთ-ერთი პერიოდია.

– იმისთვის, რომ არჩევნების პირველ ტურამდე ეს გაუფასურება მოქალაქეებს არ შეემჩნიათ, მთავრობამ 180 მილიონი დოლარი გაყიდა ანუ ხელოვნურად შეუშალა ხელი ლარის უცბად გაუფასურებას, რადგან ეს პოლიტიკურ შედეგზე იმოქმედებდა. მთავრობას ხელოვნურად რომ არ შეეშალა ხელი, შეიძლება დოლარის კურსი ახლა უფრო მაღალი ყოფილიყო. დღეს კი პოლიტიკური საჭიროება აღარაა და ეროვნული ბანკი სავალუტო რეზერვებს აღარ ყიდის. შესაბამისად, ლარმა ის პროცესი გააგრძელა, რაც მანამდე იყო დაწყებული, – აღნიშნა მეგრელიშვილმა.

მისივე თქმით, არსებულ სისტემაში ლარის კურსის მუდმივ ცვალებადობას უნდა ველოდოთ, რაც ბიზნესის განვითარებას უშლის ხელს.

მეგრელიშვილი გამოსავალს მყარ ვალუტაზე გადასვლაში ხედავს და აღნიშნავს, რომ ლარი უფრო მყარი (ევრო, დოლარი) ვალუტით უნდა ჩავანაცვლოთ.

თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტების რექტორის ვახტანგ ლეჟავას შეფასებით კი, სანამ ეკონომიკაში არსებული სტრუქტურული და მაკროეკონომიკური პრობლემების აღიარება არ მოხდება, მანამდე ლარს არაფერი ეშველება.

– სანამ არ ხდება პრობლემის აღიარება და ვამბობთ, რომ ეკონომიკაში ყველაფერი კარგადაა, გვექნება ის სურათი, რაც გვაქვს. დღეს ლარის გაუფასურების ორი დიდი მიზეზი შეიძლება ვთქვათ – რეალური ინვესტიციების ნაკლებობა და ექსპორტის შემცირება.

სამომავლო პროგნოზს რაც შეეხება, თუ ეკონომიკაში მდგომარეობა გაუარესდება, ეს ლარზეც აისახება. გააჩნია, როგორი ბოლო კვარტალი გვექნება ეკონომიკაში, – ამბობს ლეჟავა.

**ბიპიენი**

# ლარი ოდნავ გამყარდა

ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ეროვნული ვალუტა დოლართან მიმართებით მცირედით გამყარდა.

დღეიდან 1 დოლარის ოფიციალური ფასი 2.4079 ლარი გახდება. კურსი, რომელიც გუშინ მოქმედებდა, 2.4080 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ 0.0001 ლარი შეადგინა.

ეროვნული ვალუტის კურსი ევროსთან მიმართებითაც გამყარდა.

კერძოდ, დღეიდან 1 ევროს შეძენა 2.6299 ლარად იქნება შესაძლებელი, მაშინ, როცა გუშინ მოქმედი კურსი 2.6303 ლარს შეადგენდა.

შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ ევროსთან მიმართებით 0.0004 ლარი შეადგინა.

სექტემბერ-ოქტომბერში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სავალუტო აუქციონზე, საერთო ჯამში, 160 მილიონი დოლარი გაყიდა. მსგავსი ტრანზაქცია სებმა ბოლოს 12 ოქტომბერს განახორციელა, როდესაც სავალუტო აუქციონზე 40 მილიონი დოლარი გაიყიდა.

# საქართველოს ვალმა კრიტიკულ ნიშნულს მიაღწია

## ხელისუფლება და ოპოზიცია მიზეზებზე ვერ თანხმდებიან

საქართველოს საგარეო და საშინაო ვალის მოცულობამ ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია.

ნაციონალური მოძრაობის წევრ მიხეილ მაჭავარიანის, თქმით, ვალის ოდენობამ უკვე 12 მილიარდ დოლარს გადააჭარბა, რაც ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობისა და ლარის გაუფასურების ერთ-ერთი მთავარი მიზეზია.

მაჭავარიანის თქმით, ეკონომიკის სავალალო მდგომარეობაზე მეტყველებს ისიც, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესრულებას 132 მილიონი ლარი დააკლდა.

საგადასახადო შემოსავლებში ყველაზე დიდი დანაკლისი დღგ-ს გადასახადშია. იგი შესრულდა 87,7%-ით, რაც ყველაზე მეტად საყურადღებოა, საქართველოს ტერიტორიაზე რეალიზებული პროდუქციის და მომსახურების ნაწილში, ასევე დიდი შეუსრულებლობაა 2015 წელთან შედარებით.

– წელს 704 მილიონი ლარით ნაკლებია შემოსული, ვერ შესრულდა გრანტების მუხლიც, დანაკლისმა შეადგინა 84 მილიონი ლარი, გეგმასთან შედარებით პრივატიზაციიდან მიუღებელი დარჩა 4 მილიონი ლარი, ვერ შესრულდა საზღვარგარეთიდან მისაღები გრძელვადიანი შეღავათიანი კრედიტების მუხლიც, – განაცხადა მაჭავარიანმა.

მისივე თქმით, ყოველივე ამის საკომპენსაციოდ, მთავრობა უკანონოდ იმაზე მეტი შიდა ფინანსური რესურსი სახაზინო ვალდებულებები გამოუშვა, ვიდრე ბიუჯეტის კანონით არის გათვალისწინებული.

– კერძოდ, პარლამენტის მიერ დამტკიცებული პარამეტრით, 200 მილიონი ლარის საშინაო ვალის ზრდას ითვალისწინებდა, ხოლო მთავრობამ ბიუჯეტში ცვლილებების განუხორციელებ-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# თიბისი ბანკმა სადაზღვევო კომპანია „კოპენბურის“ 100%-იანი წილი შეიძინა

თიბისი ბანკის ჯგუფმა ხელი მოაწერა ხელშეკრულებას სადაზღვევო კომპანია „კოპენბურის“ 100%-იანი წილის შესყიდვასთან დაკავშირებით. ეს გადაწყვეტილება ჯგუფმა ფინანსური მომსახურების დივერსიფიკაციისა და მრავალფეროვანი პროდუქტების შეთავაზების სტრატეგიიდან გამომდინარე მიიღო.

„კოპენბური“ ბაზარზე 2014 წლიდან ოპერირებს და ფოკუსირებულია ავტომობილების დაზღვევაზე. 2016 წლის პირველი ნახევრის მონაცემებით, „კოპენბურს“ ავტოდაზღვევის ბაზრის 9% უჭირავს.




ახალი სადაზღვევო კომპანია გახდება თიბისი ბანკის მთავარი პარტნიორი დაზღვევის მიმართულებით. ასევე, თიბისი ბანკი აპირებს, გააფართოოს სადაზღვევო მომსახურების სპექტრი და შეთავაზებულ პროდუქტებს დაამატოს ახალი სადაზღვევო პროდუქტები – მოგზაურობის, უბედური შემთხვევის, საკრედიტო ხაზის, სიცოცხლის, ბიზნესსაკუთრების, სესხის დაზღვევა და სხვა.

მომდევნო რამდენიმე თვის განმავლობაში „კობენბურის“ რებრენდინგი განხორციელდება და უკვე ახალი წლიდან თიბისი ბანკის მომხმარებლებს შეეძლებათ, ისარგებლონ ახალი სახელით მოქმედი სადაზღვევო კომპანიის პროდუქტებით.

ახალი სადაზღვევო კომპანია ძირითადად საცალო ბაზარზე იქნება ორიენტირებული და აქცენტს ფიზიკური პირების მომსახურებაზე გააკეთებს. საშუალოვადიან პერიოდში თიბისი ბანკის ჯგუფი სადაზღვევო ბაზრის 25%-ის ათვისებას გეგმავს. პირველადი ინვესტიციის თანხა 8 მილიონი ლარია, რომელიც კომპანიის კაპიტალის შევსებასა და ტექნოლოგიურ განვითარებას მოხმარდება.

ახალ სადაზღვევო კომპანიას უხელმძღვანელებს ამ სფეროში გამოცდილ პროფესიონალთა გუნდი – პაატა ლაძაძე, თიბისი ბანკის გენერალური დირექტორის მოადგილე და დავით კიღურაძე, რომელსაც წლების განმავლობაში თიბისი ბანკის შვილობილი კომპანიების დირექტორის პოზიცია ეკავა საქართველოსა და აზერბაიჯანში. მათ ასევე საქართველოში ერთ-ერთი წამყვანი სადაზღვევო კომპანიის მართვის ხანგრძლივი გამოცდილება აქვთ.

**პაატა ლაძაძე:**

– ვფიქრობ, ამ გადაწყვეტილებით, პირველ რიგში, ისარგებლებს ჩვენი მომხმარებელი, რომელსაც შევთავაზებთ კომპლექსურ სადაზღვევო პროდუქტებს. მომსახურება განხორციელდება მომხმარებლისთვის ყველაზე კომფორტული ფორმით, უმოკლეს დროში და გამარტივებული პროცედურით. ზოგადად, „კოპენბურის“ შესყიდვა სრულად შეესაბამება თიბისი ბანკის ჯგუფის სტრატეგიას, რომ გააფართოოს ფინანსური მომსახურების არეალი და, ამავე დროს, კომპანია კიდევ უფრო მიმზიდველი გახადოს ინვესტორებისთვის.

**დავით კიღურაძე:**

– ერთადერთი, რაც საწყის ეტაპზე კომპანიას არ ექნება, ეს არის სამედიცინო დაზღვევა. „კოპენბურს“ ჰქონდა ძირითადი სეგმენტი – ავტომობილების დაზღვევა, რასაც დაემატება სიცოცხლის, ქონების, მოგზაურობის, პასუხისმგებლობისა და სხვა პროდუქტები, რაც იქნება საცალო ბაზრისთვის ყველაზე საჭირო და დამახასიათებელი. რებრენდინგის პროცესი უკვე დაწყებულია, კიდევ მიმდინარეობს მუშაობა და ახალი წლიდან კომპანია იქნება ახალი ლოგოთი და ვიზუალით. სადაზღვევო პროდუქტები თიბისი ბანკში უკვე იყიდება, ხოლო ახალი კომპანიის პროდუქტები უკვე ახალი წლიდან გაიყიდება. ასევე გვექნება დისტანციური გაყიდვები როგორც ვებგვერდიდან, ასევე ქოლცენტრიდან. იქნება გამარტივებული პროცედურები და სწრაფი მომსახურება, რაც გაცილებით კომფორტული იქნება მომხმარებლისთვის.

თიბისი ბანკის გენერალური დირექტორის ვახტანგ ბუცხრიკიძის თქმით, „კოპენბურში“ ამ დროისათვის 100-მდე პროფესიონალია დასაქმებული და ისინი საქმიანობას უკვე ახალი ბრენდის ქვეშ მოქმედ კომპანიაში გააგრძელებენ.

# ჯონდი ბაღათურია: „გაზპრომი მზად არის, გაზი სოკარზე იაფად მოგვაწოდოს“

ნონა ცაბაძე

ქართული დასის ლიდერი **ჯონდი ბაღათურია** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ ვითარებას აფასებს.

***– ბატონო ჯონდი, ხშირია შეფასებები, რომ ეკონომიკური თვალსაზრისით ქვეყანაში არასტაბილური მდგომარეობაა. როგორია თქვენი შეფასებები?***

– ლარის კურსის პრობლემები პირდაპირ კავშირშია ქვეყნის ეკონომიკურ პრობლემებთან. საქართველოში არ გვაქვს ქართული წარმოება. ეს ჩვენს ეკონომიკას ძალიან აზარალებს. სანამ არ გვექნება ჩვენი წარმოება, მანამდე ეს პრობლემა პრობლემად დარჩება. საქართველო ყოველთვის იყო აგრარული ქვეყანა. ჩვენი ეკონომიკის მამოძრავებელი ყოველთვის იყო სოფლის მეურნეობა. დღეს ძლიერ სოფლის მეურნეობას სჭირდება სუბსიდიები და სწორი აგრარული პოლიტიკა, რაც არ გვაქვს.

***– ეს ყველაფერი ხომ იყო ხელისუფლების წინასაარჩევნო პროგრამაში? მთავრობამ დანაპირები ვერ შეასრულა?***

– დანაპირები მთავრობამ ვერ შეასრულა. რომც შეესრულებინა, სად უნდა წასულიყო ქართული ნაწარმი?! გვაქვს გასაღების ბაზარი? რაც გვქონდა, ის დავკარგეთ. დღეს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა პირდაპირ მიბმულია საგარეო პოლიტიკაზე. სწორი საგარეო პოლიტიკური კურსის შემთხვევაში, ქართული ეკონომიკა წელში გაიმართება. ეს ხელს შეუწყობს ვალუტის შემოდინებას, რაც ლარის კურსს გაამყარებს, ასევე ეს ხელს შეუწყობს ენერგომატარებლებზე ფასების ვარდნას.



***– ენერგომატარებლებზე ფასების ვარდნა რა შემთხვევაშია შესაძლებელი?***

– მაგალითად, თუ საქართველო გახდება თანამონაწილე ე.წ. თურქული ნაკადის, რუსეთიდან თურქეთში მიმავალი ნაკადის, რომელმაც ევროპაში უნდა შეიტანოს რუსული გაზი, ასეთ შემთხვევაში ჩვენ გაზის საფასურის განახევრების საშუალება გვეძლევა. დღეს საქართველო მთელი წლის განმავლობაში დაახლოებით ორ მილიარდ კუბურ მეტრ გაზს მოიხმარს და აქედან ერთი მილიარდი კუბური მეტრი არის ე.წ. სოციალური გაზი, რომელსაც ვიღებთ რუსეთისა და აზერბაიჯანის ენერგომატარებლების ტრანზიტის ხარჯზე.

კიდევ ერთი ახალი ენერგეტიკული პროექტის დამატების შემთხვევაში გვეძლევა საშუალება, გაზის საფასური განახევრდეს. ეს, იცით, რამდენს ნიშნავს? თვითღირებულება ქართული პროდუქციის წარმოებაზე განახევრდება.

***– რადგან ენერგომატარებლებზე ვსაუბრობთ, აქვე გკითხავთ, ამბობენ, თუ ლარი კიდევ უფრო გაიქცა, შესაძლებელია, კომუნალური გადასახადებმა მოიმატოსო. ამაზე რას იტყვით?***

– ტარიფების გაზრდა დაარტყამს არა მხოლოდ მოსახლეობას, არამედ ქვეყნის ეკონომიკას მთლიანად. საქართველოში წარმოებული პროდუქციის თვითღირებულების მთავარი მდგენელი არის ენერგოდანახარჯები. ამიტომ, როგორც კი გაიზრდება ტარიფი გაზზე, მაშინვე გაიზრდება ფასები პროდუქციაზეც. ეს კი ორმაგად დაარტყამს მომხმარებლის ჯიბეს.

***– ხედავთ ტარიფების მატების საფრთხეს?***

– რეალურად ამ ეტაპზე კომუნალური გადასახადების გაზრდის საფუძველი არ არსებობს, თუმცა ხელისუფლებისგან გამორიცხული არაფერია.

***– არჩევნებმა რამდენად დაარტყა ლარსა და ჩვენს ეკონომიკას? ლარის გაუფასურებას ბევრი ამ პროცესსაც უკავშირებს.***

– არჩევნები ყოველთვის მოქმედებს ვალუტის კურსსა და ეკონომიკაზე, მით უმეტეს – ჩვენნაირ ქვეყნებში. თუმცა პრობლემის თავიდათავი მაინც იმაშია, რომ ჩვენ ეკონომიკა არ გვაქვს, ჩვენი ეკონომიკა ვერ ვითარდება! ამას ძალიან ბევრი მიზეზი აქვს. არის უამრავი მიზეზი, რის გამოც ინვესტორები თავს იკავებენ ინვესტიციების განხორციელებისგან.

***– თქვენ აცხადებთ, რომ საქართველოში ინვესტიციებისთვის ხელსაყრელი გარემო არ არის?***

– არ არის. ინვესტიციებმა ქვეყანაში სერიოზულად იკლო, ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ არ არის ხელსაყრელი გარემო. შარშან იყო მცდელობა, რამდენიმე კომპანიას შემოეტანა რუსული გაზი, რაც ფასს დაუგდებდა სოკარის გაზს, მაგრამ საქართველომ ეს პროექტი გადაკეტა და ხელი შეუშალა. გაზპრომისგან დღესაც არის მზაობა, რომ გაზი მოაწოდოს ქართველ მომხმარებელს გაცილებით დაბალ ფასში, ვიდრე სოკარისგან ვყიდულობთ. როგორც ჩანს, ხელისუფლებას ვაშინგტონიდან თითი დაუქნიეს და ეს პროცესი მაშინვე დაიბლოკა.

***– თქვენ ამბობთ, რომ აზერბაიჯანულზე უარი ვთქვათ და რუსული გაზი შემოვიტანოთ?***

– არა, ბატონო, იყოს აზერბაიჯანულიც, ირანულიც. რაც მეტი კონკურენტული გარემო იქნება, უკეთესია, ფასიც უფრო მისაღები იქნება ჩვენთვის. დღეს აზერბაიჯანული გაზი ძალიან ძვირია. დღეს საქართველოს ხელისუფლება ვერ იღებს დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს და ის ელოდება მესიჯებს ვაშინგტონიდან და ბრიუსელიდან.

***– მალე მეორე ტურია, დასრულდება არჩევნები, აირჩევა ახალი მთავრობა. რამდენად სწორად წარიმართება ეკონომიკური პოლიტიკა ქვეყანაში?***

– დარწმუნებული ვარ, არაფერი შეიცვლება. მეორე ტურში 50-ვე ოლქში გაიმარჯვებს „ქართული ოცნება“. ამაში დარწმუნებული ვარ თუნდაც ერთი უბრალო მიზეზის გამო – ხალხს არჩევანი არ აქვს. არჩევანი უნდა გავაკეთოთ კრიმინალურ ბანდასა და არასასურველ პარტიას შორის. შესაბამისად, 50-ვე ოლქში „ოცნება“ გაიმარჯვებს და კრება დარჩება მხიარული.

# თუ ლარის კურსი 2,4 დარჩა, საწვავი კიდევ გაძვირდება

საწვავის ფასები საცალო ქსელში ბოლო დღეების განმავლობაში 5-10 თეთრით გაძვირდა. ნავთობკომპანიები ფასების მატებას საერთაშორისო ბაზრებზე ნავთობის ფასების მატებასა და ლარის კურსის რყევებს უკავშირებენ.

ბოლო ერთი თვის განმავლობაში ლარი 4%-ით გაუფასურდა.

ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის თავმჯდომარე ვანო მთვრალაშვილი რადიო „კომერსანტთან“ აცხადებს, რომ საერთაშორისო ფასები სექტემბრიდან დღემდე ბენზინის შემთხვევაში მომატებულია 50-60 დოლარით, რაც 10%-იანი მატებაა, დიზელის შემთხვევაში კი მატება 60-65 დოლარი ანუ 15%-ია.

ვანო მთვრალაშვილი ამბობს, რომ ლარის კურსი და ნავთობის საერთაშორისო ფასები პირდაპირ მოქმედებს საწვავის მიმდინარე ფასებზე. მთვრალაშვილი ამბობს, რომ საქართველოში საცალო ქსელში ფასები მხოლოდ 3-5%-ით გაიზარდა.

„ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ გენერალური დირექტორი „კომერსანტთან“ ამბობს, რომ სექტემბრის ბოლოდან ნავთობის ფასები იზრდება, თუმცა „ვისოლს“ ჰქონდა ნაშთები და ოქტომბრის შუა რიცხვებამდე მოახერხა სტაბილური ფასების შენარჩუნება, ოქტომბრის შუა რიცხვებიდან კი დაიწყო ფასების მომატება 5-10 თეთრის ფარგლებში.

ხორავა ამბობს, რომ ფასის მატების უმთავრესი მიზეზი არის საერთაშორისო ბაზრებზე არსებული ფასები, ლარის რყევა კი ბოლო ორი კვირაა ფიქსირდება და, თუ ტენდენცია გაგრძელდა, ეს ფაქტორიც უარყოფით გავლენას მოახდენს.

– ყველამ კარგად იცის, რომ ნავთობკომპანიები 100%-ით იმპორტს ვახორციელებთ და ნებისმიერი იმპორტირებული პროდუქტი ლარის დევალვაციის შედეგად ძვირდება. თუმცა ამ ეტაპზე ჩვენს შემთხვევაში ფასების მატება უფრო მეტად საერთაშორისო ფასებს უკავშირდება, – აცხადებს ხორავა.

მისივე თქმით, კომპანიამ ახალი შესყიდვა მოახდინა და არსებობს 3-4-კვირიანი ნაშთები, თუ გარემო ფაქტორები არ გაუარესდა, ფასები ამ პერიოდში შენარჩუნებული იქნება.

ხორავა ამბობს, რომ წლის განმავლობაში ყველაზე დაბალი ფასი გაზაფხულზე იყო, როდესაც ბენზინის საერთაშორისო ფასი 350 დოლარს ჩამოსცდა და საცალო ქსელში ფასებიც გაიაფდა – დღეს არსებულზე 20-25 თეთრით ნაკლები იყო, დღეს კი წლის განმავლობაში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ფასია.

* * *

კომპანია „ლუკოილის“ გენერალური დირექტორის მოადგილე ამბობს, რომ კომპანიამ ფასები 17 ოქტომბერს 5 თეთრით გაზარდა ყველა ტიპის პროდუქტზე, რისი მიზეზიც საერთაშორისო ფასები და ლარის კურსი გახდა.

– ყოველთვის ნებისმიერ შემთხვევაში, ეს იქნება კლება თუ მატება, ლოგიკა არის აგებული ორ კომპონენტზე – ეს არის საერთაშორისო ბაზრის ფასი და ვალუტის კურსი. საერთაშორისო ფასები იზრდება, ლართან მიმართებითაც გაუფასურების ნიშნები სახეზეა და ეს იყო იძულებითი ნაბიჯი, – აცხადებს მიშველაძე.

მისივე თქმით, პროგნოზის გაკეთება, რა იქნება უახლოეს პერიოდში საერთაშორისო ბაზრებზე ნავთობის ფასთან დაკავშირებით, არასერიოზულია. რაც იქნება, ის აისახება ბაზარზე, იქნება მატება, მოიმატებს ფასი, იქნება კლება, გაიაფდება საწვავი.

„სოკარ ჯორჯია პეტროლიუმის“ წარმომადგენელი ირაკლი ზუბიტაშვილი ამბობს, რომ ქსელში საწვავის ფასები ცოტა ხნის წინ 4-5 თეთრით გააძვირეს და ეს იყო მინიმალური მატება. ზუბიტაშვილი ამბობს, რომ ნავთობის საერთაშორისო ფასები არის ყველაზე მაღალი, რაც კი 2016 წლის განმავლობაში დაფიქსირებულა და არის ლარის კურსის რყევები.

მისივე თქმით, კომპანია მაქსიმალურად დიდი ხნის განმავლობაში ცდილობდა ფასის შენარჩუნებას, თუმცა, იძულებული გახდა, ფასები აეწია.

„გალფის“ ვიცეპრეზიდენტი ნინო ჯიბლაძე „კომერსანტთან“ ადასტურებს, რომ ბოლო ერთი კვირის განმავლობაში საწვავის ფასი 5 თეთრით გაზარდეს.

ჯიბლაძე ამბობს, რომ საერთაშორისო ბირჟებზე პლაცის ფასები 10%-ით გაიზარდა და ამის გამო მოხდა ფასების ზრდაც საქართველოში საცალო ქსელში.

მისივე თქმით, ლარის გაუფასურებას ჯერ მათ კომპანიაში ფასწარმოქმნაზე გავლენა არ ჰქონია. როგორი იქნება ფასები სამომავლოდ, ჯიბლაძემ არ იცის.

**სალომე სოსელია, კომერსანტ.გე**

# საქართველოში ტარდება შავი ზღვის ქვეყნების ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების პირველი საერთაშორისო კონკურსი



მურმან ქურიძე

ბათუმში მიმდინარე წლის 15-16 ნოემბერს ჩატარდება შავი ზღვის ქვეყნების ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების პირველი საერთაშორისო კონკურსი „BLACK SEA REGION 2016“. გაშუქდება ტელევიზიით, პრესით. გადაიღება ფილმი.

ღონისძიების ორგანიზატორები: საქართველოს ენოლოგთა კავშირი

საქართველოს ღვინის ეროვნული სააგენტო

მოლდავეთის POLIPROJECT EXHIVITIONS (PPE S.P.L.)

„BLACK SEA REGION 2016“ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის (OIV) პატრონაჟით ჩატარდება.

კონკურსის ამოცანებია: შავი ზღვის რეგიონის მეღვინეობის პროდუქციის ხარისხობრივი პოტენციალის წარმოჩენა და მათი მხარდაჭერა ევროპისა და მსოფლიოს ბაზრებზე.

გთხოვთ, წარმატებულმა საწარმოებმა აქტიური მონაწილეობა მიიღოთ ჩვენი ქვეყნისა და დარგის ამ მეტად მნიშვნელოვან ღონისძიებაში, ვრცლად წარადგინეთ თქვენი ნიმუშები კონკურსზე. საკონკურსო ნიმუშების ხარისხის შეფასება ხორციელდება OIV-ის მეთოდოლოგიით 100 ბალიანი სისტემით. კონკურსზე ერთი ნიმუშის ღირებულება საქართველოს წარმოებებისათვის არის 84 ევრო. სანიმუშოდ უნდა გაიგზავნოს თითოეული სახეობა – 4 ბოთლი.

კონკურსზე წარსადგენად დაშვებულია ღვინოებისა და ალკოჰოლური სასმელების შემდეგი ხუთი კატეგორია: თეთრი წყნარი ღვინოები, ვარდისფერი და წითელი წყნარი ღვინოები; თეთრი, ვარდისფერი და წითელი შუშხუნა ღვინოები; დამდგარი და სადესერტო ღვინოები; ალკოჰოლური სასმელები(ბრენდი, კონიაკი, არაყი, ბალზამი, ლიქიორი);

კონკურსში მონაწილე საწარმოებმა 8 ნოემბრამდე გადაუგზავნეთ წარსადგენი ნიმუშების სარეგისტრაციო ბარათები, ხელშეკრულება და ნიმუშების ღირებულება ელექტრონული ფოსტით ქ.კიშინიოვში E-lana@poliproject.md, www.vinmoldova.md თითოეულ ნიმუშზე ცალ-ცალკე (ინგლისურ ან რუსულ ენაზე), ხოლო სადეგუსტაციო ნიმუშები მისამართზე: 6010, ბათუმი, ალმაშენებლის ქ. №13, საქართველოს ენოლოგთა კავშირი. მიმღები გურამ პაპუნიძე.

კონკურსი ჩატარდება სასტუმრო „Redisson Blu Hotel“-ში 15-16 ნოემბერს. გამარჯვებულთა დაჯილდოება იმავე სასტუმროში 17 ნოემბერს 18.00 საათზე.

გისურვებთ წარმატებას!

**აიპ საქართველოს ენოლოგთა კავშირის თავმჯდომარე ტ.მ.დ. მურმან ქურიძე**
**დაგვიკავშირდით მობ. 599 93 40 40 , E-mail murman.kuridze@gmail.com**

# საქართველოს ვალმა კრიტიკულ ნიშნულს მიაღწია

დასაწყისი მე-5 გვერდზე

ლად უკვე 9 თვის მდგომარეობით 211 მილიონი ლარი მოიზიდა, უკანონოა 11 მილიონი ლარი. რაც შეეხება ექსპორტს, შემცირებულია ისიც, – აღნიშნა ნაციონალმა დეპუტატმა.

მისი თქმით, სიტუაცია გაუარესებულია სავაჭრო ბალანსის მიხედვითაც,

– ქვეყნის ვალმა ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია და შეადგენს 12 მილიარდ ლარს, მაშინ, როცა 2012 წელს ვალი 7,8 მილიარდი იყო; 2013 წელს 8,6 მილიარდი; 2014 წელს 9,7 მილიარდი, – განაცხადა მაჭავარიანმა და დასძინა, რომ ამაში შედის როგორც სამთავრობო, ასევე სახელმწიფო ვალი.

* * *

„ქართული ოცნების“ წევრ ზაქარია ქუცნაშვილის, თქმით, სახელმწიფო ვალების 90% დაგროვილია ნაციონალური მოძრაობის მმართველობის პერიოდში.

– წინა ხელისუფლების დროს აღებული საქართველოს რამდენიმე ასეული მილიონიანი ვალი დღეს გახდა რამდენიმემილიარდიანი. რა თქმა უნდა, ჩვენც ავიღეთ საგარეო ვალი, მაგრამ არა იმ მოცულობისა და იმ რაოდენობის, რაც წინა ხელისუფლების დროს იყო, – აღნიშნა ქუცნაშვილმა.

ქუცნაშვილის ამ განცხადებას მაჭავარიანი აბსურდულს უწოდებს და არგუმენტად ვალის მშპ-სთან თანაფარდობის მაჩვენებელი მოჰყავს.

მისი თქმით, 2003 წელს, როდესაც ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლებაში მოვიდა, საგარეო და საშინაო ვალის თანაფარდობა მშპ-სთან 43%-ს შეადგენდა, 2004 წელს 36%-მდე დავიდა და 2007 წელს კი 18% შეადგინა.

– შემდეგ დაიწყო ცოტა ზრდა, თუმცა ძველ მაჩვენებელს არ დაბრუნებია. 2012 წელს 33% იყო. 2013-ში კი საგარეო ვალი მშპ-სთან მიმართებით 35% გახდა, 2014-ში – 36%, 2015-ში 42% და წელს, ალბათ, 43%-საც კი გადააჭარბებს. რა იქნება 2017 წელს, ზუსტად არავინ ვიცით. ერთი რამ უკვე ვიცით, რომ მომავალ წელს კიდევ აიღებენ 600-მილიონიან ვალს, რაც ვალის მშპ-სთან თანაფარდობას კიდევ გაზრდის, – განუცხადა „კომერსანტს“ მაჭავარიანმა.

* * *

ეკონომისტი მიხეილ დუნდუა მაჭავარიანის განცხადებას სახელმწიფო ვალთან დაკავშირებით არასერიოზულს უწოდებს და აცხადებს, რომ ახლა ხელისუფლებას ნაციონალური მოძრაობის მმართველობისას აღებული ვალის გასტუმრება უწევს.

– ვალზე აპელირება შესაძლებელია, მაგრამ ეს უნდა მოხდეს ნაციონალური მოძრაობის მისამართით და არა – „ქართული ოცნების“, – განაცხადა დუნდუამ.

მისივე თქმით, საგარეო ვალი ძირითადად ნაციონალური მოძრაობის პერიოდშია აღებული და ამ ხელისუფლების დროს მცირედითაა გაზრდილი.

– ძირითადად ვალი მათი მმართველობის დროს იქნა აღებული და თუ შევადარებთ იმას, თუ რა რაოდენობით ვალი იქნა წლიურად ნაციონალური მოძრაობის დროს და რა რაოდენობით „ქართული ოცნების“ დროს, მკვეთრ სხვაობას დავინახავთ. ვალის აღების ტემპიც და რაოდენობაც მკვეთრადაა შემცირებული, – აღნიშნა ეკონომისტმა.

მისი თქმით, მარტო 2012 წელს სახელმწიფო სექტორის წმინდა დავალიანება გაიზარდა 1 მილიარდი დოლარით, 2012 წლიდან კი – მხოლოდ 300 მილიონით.

– სხვაობა საკმაოდ დიდია. ასე რომ, ჩვენ სწორედ მათ მიერ აღებული ვალების გასტუმრება გვიწევს, მცირე რაოდენობით კი იზრდება ვალის მაჩვენებელი, მაგრამ ვალის აღების ტემპი მკვეთრადაა შემცირებული, – განაცხადა დუნდუამ.

რაც შეეხება შიდა ვალს, დუნდუას თქმით, ეს არ გულისხმობს თანხის გადარიცხვას საზღვარგარეთ, ეს არის ქვეყნის შიგნით ფულის მოძრაობა და არანაირ კავშირში არ არის ვალუტის სესხად აღებასთან.

მისივე განცხადებით, ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია შიდა ვალის აღებას განიხილავს, როგორც ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების მნიშვნელოვან ეტაპს საქართველოსთვის.

**კომერსანტ.გე**

# თიბისი ბანკი TBC BANK

ბანკი: თი ბი სი ბანკი
თარიღი: 30.09.2016

**საბალანსო უწყისი ***

ლარებით

| N | | საანგარიშგებო პერიოდი | | | წინა წლის შესაბამისი პერიოდი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **აქტივები** | ლარი | უცხ.ვალუტა | სულ | ლარი | უცხ.ვალუტა | სულ |
| 1 | ნაღდი ფული | 140 865 960 | 183 723 433 | **324 589 393** | 125 110 958 | 279 602 256 | **404 713 214** |
| 2 | ფულადი სახსრები საქართველოს ეროვნულ ბანკში | 93 139 163 | 677 530 532 | **770 669 695** | 91 409 434 | 477 228 626 | **568 638 060** |
| 3 | ფულადი სახსრები სხვა ბანკებში | 832 162 | 420 303 659 | **421 135 821** | 571 041 | 404 069 184 | **404 640 225** |
| 4 | ფასიანი ქაღალდები დილინგური ოპერაციებისათვის | 0 | 0 | **0** | 0 | 0 | **0** |
| 5 | საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები | 593 255 957 | 1 200 188 | **594 456 145** | 614 153 687 | 0 | **614 153 687** |
| 6,1 | მთლიანი სესხები | 1 823 477 438 | 3 130 992 968 | **4 954 470 406** | 1 576 790 501 | 2 884 661 539 | **4 461 452 040** |
| 6,2 | მინუს: სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი | -100 248 257 | -175 197 778 | **-275 446 035** | -88 249 744 | -195 137 033 | **-283 386 777** |
| 6 | წმინდა სესხები | 1 723 229 181 | 2 955 795 190 | **4 679 024 371** | 1 488 540 757 | 2 689 524 506 | **4 178 065 262** |
| 7 | დარიცხული მისაღები პროცენტები და დივიდენდები | 31 959 271 | 23 370 958 | **55 330 229** | 28 534 692 | 25 023 686 | **53 558 378** |
| 8 | დასაკუთრებული უძრავი და მოძრავი ქონება | 44 929 249 | X | **44 929 249** | 62 684 105 | X | **62 684 105** |
| 9 | ინვესტიციები საწესდებო კაპიტალში | 37 714 623 | 0 | **37 714 623** | 44 937 741 | 0 | **44 937 741** |
| 10 | ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები | 321 530 975 | X | **321 530 975** | 237 992 431 | X | **237 992 431** |
| 11 | სხვა აქტივები | 73 271 224 | 45 509 871 | **118 781 094** | 77 550 100 | 32 137 238 | **109 687 338** |
| 12 | **მთლიანი აქტივები** | 3 060 727 765 | 4 307 433 830 | **7 368 161 594** | 2 771 484 946 | 3 907 585 495 | **6 679 070 441** |
| | **ვალდებულებები** | | | | | | |
| 13 | ბანკების დეპოზიტები | 22 992 588 | 137 106 876 | **160 099 464** | 23 287 078 | 41 477 681 | **64 764 759** |
| 14 | მიმდინარე დეპოზიტები (ანგარიშები) | 596 893 651 | 841 984 849 | **1 438 878 500** | 537 657 940 | 883 000 544 | **1 420 658 483** |
| 15 | მოთხოვნამდე დეპოზიტები | 315 841 866 | 898 422 988 | **1 214 264 854** | 255 946 820 | 764 867 784 | **1 020 814 604** |
| 16 | ვადიანი დეპოზიტები | 207 034 746 | 1 695 967 322 | **1 903 002 068** | 202 105 390 | 1 594 361 720 | **1 796 467 110** |
| 17 | საკუთარი სავალო ფასიანი ქაღალდები | 0 | 0 | **0** | 0 | 0 | **0** |
| 18 | ნასესხები სახსრები | 520 287 162 | 416 321 399 | **936 608 561** | 526 680 577 | 422 112 287 | **948 792 864** |
| 19 | დარიცხული გადასახდელი პროცენტები და დივიდენდები | 8 090 054 | 30 121 514 | **38 211 567** | 6 208 850 | 37 415 459 | **43 624 309** |
| 20 | სხვა ვალდებულებები | 92 043 560 | 48 261 153 | **140 304 713** | 107 908 815 | 53 694 754 | **161 603 569** |
| 21 | სუბორდინირებული ვალდებულებები | 12 562 250 | 296 958 988 | **309 521 238** | 12 562 250 | 229 824 400 | **242 386 650** |
| 22 | **მთლიანი ვალდებულებები** | 1 775 745 877 | 4 365 145 089 | **6 140 890 966** | 1 672 357 719 | 4 026 754 628 | **5 699 112 348** |
| | **სააქციო კაპიტალი** | | | | | | |
| 23 | ჩვეულებრივი აქციები | 20 021 968 | X | **20 021 968** | 19 813 147 | X | **19 813 147** |
| 24 | პრივილეგირებული აქციები | 0 | X | **0** | 0 | X | **0** |
| 25 | მინუს: გამოსყიდული აქციები | 0 | X | **0** | -1 272 | X | **-1 272** |
| 26 | საემისიო კაპიტალი | 439 358 082 | X | **439 358 082** | 424 543 695 | X | **424 543 695** |
| 27 | საერთო რეზერვები | 0 | X | **0** | 0 | X | **0** |
| 28 | გაუნაწილებელი მოგება | 697 849 733 | X | **697 849 733** | 493 318 559 | X | **493 318 559** |
| 29 | აქტივების გადაფასების რეზერვები | 70 040 845 | X | **70 040 845** | 42 283 963 | X | **42 283 963** |
| 30 | **სულ სააქციო კაპიტალი** | 1 227 270 628 | X | **1 227 270 628** | 979 958 093 | X | **979 958 093** |
| 31 | **მთლიანი ვალდებულებები და სააქციო კაპიტალი** | 3 003 016 505 | 4 365 145 089 | **7 368 161 594** | 2 652 315 813 | 4 026 754 628 | **6 679 070 441** |

* ინფორმაცია არააუდირებულია, წარმოდგენილია საქართველოს ეროვნული ბანკის საანგარიშგებო მოთხოვნების მიხედვით

ბანკი: თი ბი სი ბანკი
თარიღი: 30.09.2016

**მოგება - ზარალის უწყისი ***

ლარებით

| N | | საანგარიშგებო პერიოდი | | | წინა წლის შესაბამისი პერიოდი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ლარი | უცხ. ვალუტა | სულ | ლარი | უცხ. ვალუტა | სულ |
| | **საპროცენტო შემოსავლები** | | | | | | |
| 1 | საპროცენტო შემოსავლები ბანკებიდან "ნოსტრო" ანგარიშებისა და დეპოზიტების მიხედვით | 2 856 186 | 78 488 | 2 934 674 | 1 931 497 | 4 396 619 | 6 328 116 |
| 2 | საპროცენტო შემოსავლები სესხებიდან | 195 993 978 | 214 486 019 | 410 479 998 | 166 321 878 | 209 986 079 | 376 307 957 |
| 2,1 | ბანკთაშორისი სესხებიდან | 158 967 | 107 711 | 266 678 | 0 | 0 | 0 |
| 2,2 | ვაჭრობისა და მომსახურეობის სექტორზე გაცემული სესხებიდან | 25 289 822 | 56 428 491 | 81 718 313 | 22 709 054 | 52 272 713 | 74 981 768 |
| 2,3 | ენერგეტიკის სექტორზე გაცემული სესხებიდან | 5 337 177 | 9 734 453 | 15 071 630 | 5 274 781 | 6 741 173 | 12 015 954 |
| 2,4 | სოფლის მეურნეობის და მეტყევეობის სექტორზე გაცემული სესხებიდან | 1 437 567 | 8 002 599 | 9 440 166 | 2 927 459 | 6 007 882 | 8 935 341 |
| 2,5 | მშენებლობის სექტორზე გაცემული სესხებიდან | 3 552 446 | 7 391 856 | 10 944 302 | 1 887 753 | 7 821 720 | 9 709 473 |
| 2,6 | სამთომომპოვებელ და გადამამუშავებელ სექტორზე გაცემული სესხებიდან | 5 028 350 | 13 125 271 | 18 153 621 | 3 882 352 | 14 364 332 | 18 246 684 |
| 2,7 | ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორზე გაცემული სესხებიდან | 1 504 163 | 10 953 120 | 12 457 283 | 809 691 | 13 906 428 | 14 716 119 |
| 2,8 | ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხებიდან | 153 286 758 | 96 977 968 | 250 264 725 | 128 486 868 | 97 303 335 | 225 790 203 |
| 2,9 | დანარჩენ სექტორზე გაცემული სესხებიდან | 398 729 | 11 764 551 | 12 163 281 | 343 920 | 11 568 496 | 11 912 416 |
| 3 | შემოსავლები ჯარიმებიდან/საურავებიდან კლიენტებისათვის მიცემული სესხების მიხედვით | 10 699 701 | 3 074 934 | 13 774 634 | 104 576 | -8 777 906 | -8 673 330 |
| 4 | საპროცენტო და დისკონტური შემოსავლები ფასიანი ქაღალდებიდან | 41 643 725 | 4 225 | 41 647 951 | 31 299 422 | 0 | 31 299 422 |
| 5 | სხვა საპროცენტო შემოსავლები | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 6 | **მთლიანი საპროცენტო შემოსავლები** | 251 193 590 | 217 643 666 | 468 837 256 | 199 657 374 | 205 604 792 | 405 262 166 |
| | **საპროცენტო ხარჯები** | | | | | | |
| 7 | მოთხოვნამდე დეპოზიტებზე გადახდილი პროცენტები | 21 382 547 | 14 618 093 | 36 000 640 | 14 032 995 | 13 553 834 | 27 586 829 |
| 8 | ვადიან დეპოზიტებზე გადახდილი პროცენტები | 15 853 936 | 55 183 831 | 71 037 767 | 14 056 924 | 59 289 060 | 73 345 984 |
| 9 | ბანკის დეპოზიტებზე გადახდილი პროცენტები | 1 763 193 | 1 928 944 | 3 692 136 | 1 643 691 | 1 325 610 | 2 969 301 |
| 10 | საკუთარ სავალო ფასიან ქაღალდებზე გადახდილი პროცენტები | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 11 | ნასესხებ სახსრებზე გადახდილი პროცენტები | 28 244 305 | 40 110 605 | 68 354 910 | 18 824 181 | 42 454 838 | 61 279 019 |
| 12 | სხვა საპროცენტო ხარჯები | 545 359 | 17 | 545 377 | 1 131 629 | 0 | 1 131 629 |
| 13 | **მთლიანი საპროცენტო ხარჯები** | 67 789 341 | 111 841 490 | 179 630 830 | 49 689 420 | 116 623 342 | 166 312 762 |
| 14 | **წმინდა საპროცენტო შემოსავალი** | 183 404 249 | 105 802 177 | 289 206 426 | 149 967 953 | 88 981 450 | 238 949 404 |
| | | | | | | | |
| | **არასაპროცენტო შემოსავლები** | | | | | | |
| 15 | წმინდა საკომისიო და სხვა შემოსავლები მომსახურეობ | 54 123 781 | 10 733 892 | 64 857 673 | 40 211 830 | 13 445 971 | 53 657 802 |
| 15,1 | საკომისიო და სხვა შემოსავლები გაწეული მომსახურეობის მიხედვით | 73 820 518 | 34 957 796 | 108 778 314 | 58 168 477 | 32 478 140 | 90 646 617 |
| 15,2 | საკომისიო და სხვა ხარჯები მიღებული მომსახურეობის მიხედვით | 19 696 737 | 24 223 904 | 43 920 641 | 17 956 647 | 19 032 169 | 36 988 816 |
| 16 | მიღებული დივიდენდები | 1 128 678 | 12 521 | 1 141 199 | 2 772 018 | 0 | 2 772 018 |
| 17 | მოგება (ზარალი) დილინგური ფასიანი ქაღალდებიდან | 0 | 0 | 0 | 1 500 | 0 | 1 500 |
| 18 | მოგება (ზარალი) საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებიდან | 8 806 057 | 0 | 8 806 057 | -0 | 0 | -0 |
| 19 | მოგება (ზარალი) ვალუტის ყიდვა–გაყიდვის ოპერაციებიდან | 38 392 631 | 0 | 38 392 631 | 33 904 797 | 0 | 33 904 797 |
| 20 | მოგება (ზარალი) სავალუტო სახსრების გადაფასებიდან | 6 549 393 | 0 | 6 549 393 | 24 856 565 | 0 | 24 856 565 |
| 21 | მოგება (ზარალი) ქონების გაყიდვიდან | -616 803 | 0 | -616 803 | -64 009 | 0 | -64 009 |
| 22 | სხვა საბანკო ოპერაციებიდან მიღებული არასაპროცენტო შემოსავლები | 4 507 370 | 8 374 016 | 12 881 386 | 2 730 780 | 8 004 893 | 10 735 673 |
| 23 | სხვა არასაპროცენტო შემოსავლები | 7 064 373 | 5 062 222 | 12 126 595 | 8 452 107 | 5 034 952 | 13 487 059 |
| 24 | **მთლიანი არასაპროცენტო შემოსავლები** | 119 955 479 | 24 182 650 | 144 138 130 | 112 865 589 | 26 485 816 | 139 351 405 |
| | **არასაპროცენტო ხარჯები** | | | | | | |
| 25 | სხვა საბანკო ოპერაციების მიხედვით გაწეული არასაპროცენტო ხარჯები | 10 290 803 | 10 169 707 | 20 460 510 | 9 824 332 | 6 017 151 | 15 841 483 |
| 26 | ბანკის განვითარების, საკონსულტაციო და მარკეტინგის ხარჯები | 12 699 659 | 13 465 306 | 26 164 965 | 7 958 605 | 3 530 135 | 11 488 740 |
| 27 | ბანკის პერსონალის ხარჯები | 106 337 359 | 0 | 106 337 359 | 94 189 751 | 0 | 94 189 751 |
| 28 | ძირითადი საშუალებების საექსპლოატაციო ხარჯები | 2 519 875 | 0 | 2 519 875 | 2 338 826 | 0 | 2 338 826 |
| 29 | ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები | 17 327 859 | 0 | 17 327 859 | 15 811 813 | 0 | 15 811 813 |
| 30 | სხვა არასაპროცენტო ხარჯები | 21 449 423 | 349 719 | 21 799 141 | 47 631 326 | 260 623 | 47 891 949 |
| 31 | **მთლიანი არასაპროცენტო ხარჯები** | 170 624 977 | 23 984 732 | 194 609 710 | 177 754 653 | 9 807 909 | 187 562 561 |
| 32 | **წმინდა არასაპროცენტო შემოსავალი** | -50 669 498 | 197 918 | -50 471 580 | -64 889 063 | 16 677 907 | -48 211 157 |
| | | | | | | | |
| 33 | **წმინდა მოგება დარეზერვებამდე** | 132 734 751 | 106 000 095 | 238 734 846 | 85 078 890 | 105 659 357 | 190 738 247 |
| | | | | | | | |
| 34 | ზარალი სესხების შესაძლო დანაკარგების მიხედვით | 26 315 145 | X | 26 315 145 | 76 789 923 | X | 76 789 923 |
| 35 | ზარალი ინვესტიციების და ფასიანი ქაღალდების გაუფასურების შესაძლო დანაკარგების მიხედვით | 10 783 | X | 10 783 | 0 | X | 0 |
| 36 | ზარალი სხვა აქტივების შესაძლო დანაკარგების მიხედვით | 5 026 445 | X | 5 026 445 | -5 950 573 | X | -5 950 573 |
| 37 | **მთლიანი ზარალი აქტივების შესაძლო დანაკარგების მიხ** | 31 352 373 | 0 | 31 352 373 | 70 839 350 | 0 | 70 839 350 |
| | | | | | | | |
| 38 | **მოგება გადასახადის გადახდამდე და გაუთვალისწინებელ სიმოსავალ–ხარჯებამდე** | 101 382 378 | 106 000 095 | 207 382 473 | 14 239 539 | 105 659 357 | 119 898 897 |
| 39 | მოგების გადასახადი | 23 576 734 | 0 | 23 576 734 | 11 726 647 | 0 | 11 726 647 |
| 40 | **მოგება გადასახადის გადახდის შემდეგ** | 77 805 644 | 106 000 095 | 183 805 739 | 2 512 893 | 105 659 357 | 108 172 250 |
| 41 | გაუთვალისწინებელი შემოსავლები (ხარჯები) | 0 | 0 | 0 | -982 127 | 0 | -982 127 |
| 42 | **წმინდა მოგება** | 77 805 644 | 106 000 095 | 183 805 739 | 1 530 766 | 105 659 357 | 107 190 123 |

* ინფორმაცია არააუდირებულია, წარმოდგენილია საქართველოს ეროვნული ბანკის საანგარიშგებო მოთხოვნების მიხედვით

ბანკი: თი ბი სი ბანკი
თარიღი: 30.09.2016

**ბალანსგარეშე ანგარიშგების უწყისი ***

ლარებით

| N | | საანგარიშგებო პერიოდი | | | წინა წლის შესაბამისი პერიოდი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ლარი | უცხ.ვალუტა | სულ | ლარი | უცხ.ვალუტა | სულ |
| 1 | **პირობითი ვალდებულებები** | 1 153 225 853 | 12 315 252 972 | 13 468 478 826 | 1 223 864 724 | 11 684 441 948 | 12 908 306 673 |
| 1,1 | აქცეპტები და ინდოსამენტები | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 1,2 | გაცემული გარანტიები | 91 133 053 | 193 238 937 | 284 371 990 | 95 586 208 | 181 960 738 | 277 546 946 |
| 1,3 | მიღებული გარანტიები: ** | 360 341 172 | 2 496 370 366 | 2 856 711 538 | 365 873 409 | 2 269 479 259 | 2 635 352 668 |
| 1.3.1 | *თავდებობა, სოლიდარული პასუხისმგებლობა* | 342 639 512 | 2 437 348 071 | 2 779 987 583 | 365 110 028 | 2 210 015 283 | 2 575 125 311 |
| 1.3.2 | *გარანტია* | 17 701 660 | 59 022 295 | 76 723 956 | 763 381 | 59 463 977 | 60 227 357 |
| 1,4 | გირავნობის უზრუნველყოფის სახით გაცემული აქტივები | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 1,5 | გირავნობის უზრუნველყოფის სახით მიღებული აქტივები: ** | 701 751 628 | 9 625 643 670 | 10 327 395 298 | 762 405 107 | 9 232 885 067 | 9 995 290 174 |
| 1.5.1 | ფულადი სახსრები | 24 610 148 | 214 340 241 | 238 950 389 | 21 709 373 | 217 352 700 | 239 062 073 |
| 1.5.2 | ძვირფასი ლითონები და ქვები | 124 196 066 | 205 955 083 | 330 151 149 | 72 516 806 | 215 505 948 | 288 022 754 |
| 1.5.3 | უძრავი ქონება: | 48 373 602 | 7 797 168 990 | 7 845 542 592 | 50 125 594 | 7 337 757 926 | 7 387 883 521 |
| 1.5.3.1 | *საცხოვრებელი* | 30 937 904 | 3 405 829 268 | 3 436 767 172 | 31 866 433 | 3 063 213 103 | 3 095 079 536 |
| 1.5.3.2 | *კომერციული* | 5 122 688 | 2 240 283 602 | 2 245 406 290 | 5 288 483 | 2 035 921 836 | 2 041 210 319 |
| 1.5.3.3 | *კომპლექსური ტიპის უძრავი ქონება* | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 1.5.3.4 | *მიწის ნაკვეთები (შენობა ნაგებობების გარეშე)* | 11 404 980 | 1 502 659 052 | 1 514 064 032 | 12 020 672 | 1 682 335 914 | 1 694 356 586 |
| 1.5.3.5 | *სხვა* | 908 030 | 648 397 068 | 649 305 098 | 950 006 | 556 287 074 | 557 237 080 |
| 1.5.4 | მოძრავი ქონება | 504 568 812 | 885 457 496 | 1 390 026 308 | 618 050 334 | 1 019 172 977 | 1 637 223 311 |
| 1.5.5 | წილის გირავნობა | 3 000 | 282 426 706 | 282 429 706 | 3 000 | 228 632 700 | 228 635 700 |
| 1.5.6 | ფასიანი ქაღალდები | 0 | 186 376 | 186 376 | 0 | 0 | 0 |
| 1.5.7 | სხვა | 0 | 240 108 777 | 240 108 777 | 0 | 214 462 815 | 214 462 815 |
| 1,6 | სხვა პირობითი ვალდებულებები | 0 | 0 | 0 | 0 | 116 884 | 116 884 |
| 2 | **ფორმალური ვალდებულებები** | 177 735 390 | 234 443 897 | 412 179 287 | 202 212 676 | 328 178 404 | 530 391 080 |
| 2,1 | აღებული ფინანსური ვალდებულებები | 165 162 140 | 211 243 426 | 376 405 565 | 137 093 115 | 177 695 940 | 314 789 055 |
| 2,2 | მესამე მხარის მიერ მიღებული ფინანსური ვალდებულებები | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 2,3 | მისაღებად მოსალოდნელი ფასიანი ქაღალდები | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 2,4 | გასაყიდად განკუთვნილი ფასიანი ქაღალდები | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 2,5 | ნაღდ ვალუტასთან დაკავშირებული ოპერაციები | 12 573 250 | 5 434 932 | 18 008 182 | 65 119 560 | 34 578 379 | 99 697 940 |
| 2,6 | ფორვარდული სავალუტო ოპერაციები | 0 | 17 765 539 | 17 765 539 | 0 | 115 904 085 | 115 904 085 |
| 2,7 | დანარჩენი ვალდებულებები | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 3 | **სხვა ვალდებულებები** | 91 133 053 | 333 020 937 | 424 153 990 | 95 586 208 | 229 622 165 | 325 208 373 |
| 3,1 | ტრასატის ვალდებულება ბანკის მიმართ | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 3,2 | კლიენტის ვალდებულება | 91 133 053 | 193 238 937 | 284 371 990 | 95 586 208 | 181 960 738 | 277 546 946 |
| 3,3 | მესამე მხარის კლიენტის ვალდებულება ბანკის მიმართ | 0 | 139 782 000 | 139 782 000 | 0 | 47 661 427 | 47 661 427 |
| 4 | **ვალდებულებები ბანკში შესანახად განთავსებულ ქონებაზე** | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 4,1 | ძვირფასი ლითონები | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 4,2 | ფასიანი ქაღალდები | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 4,3 | სხვა ქონება | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 5 | **საპროცენტო განაკვეთის კონტრაქტები** | 0 | 102 506 800 | 102 506 800 | 0 | 104 790 400 | 104 790 400 |
| 5,1 | საპროცენტო განაკვეთის სვოპის ძირითადი თანხა | 0 | 102 506 800 | 102 506 800 | 0 | 104 790 400 | 104 790 400 |
| 5,2 | ფინანსურ ინსტრუმენტებზე დადებული ფორვარდული კონტრაქტები | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 5,3 | ფინანსურ ინსტრუმენტებზე დადებული ფიუძერსული კონტრაქტები | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 5,4 | ოფციონები | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 6 | **კონტრაქტები საქონელზე და სააქციო კაპიტალის შესახებ** | 0 | 30 022 587 | 30 022 587 | 0 | 30 691 416 | 30 691 416 |
| 6,1 | სვოპების ძირითადი თანხა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 6,2 | ფორვარდული კონტრაქტები | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 6,3 | ფიუჩერსული კონტრაქტები | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 6,4 | ოფციონები | 0 | 30 022 587 | 30 022 587 | 0 | 30 691 416 | 30 691 416 |
| 7 | **გაუნაღდებელი დოკუმენტები** | 1 426 931 616 | 24 594 497 | 1 451 526 112 | 1 077 712 335 | 11 265 836 | 1 088 978 171 |
| 7.1 | ვადაში გაუნაღდებელი დოკუმენტები გადამხდელის მიზეზით | 1 426 931 616 | 24 594 497 | 1 451 526 112 | 1 077 712 335 | 11 265 836 | 1 088 978 171 |
| 7.2 | ვადაში გაუნაღდებელი დოკუმენტები ბანკის მიზეზით | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 7.3 | გაუნაღდებელი საწესდებო ფონდი | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 8 | **ზარალში ჩამოწერილი ვალები** | 654 005 182 | 984 523 851 | 1 638 529 033 | 567 761 076 | 931 580 527 | 1 499 341 603 |
| 8.1 | სესხებზე მიუღებელი პროცენტები 31.12.2000-მდე | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 8.2 | სესხებზე მიუღებელი პროცენტები 01.01.2001–დან | 446 292 827 | 738 732 374 | 1 185 025 201 | 389 906 873 | 698 602 274 | 1 088 509 148 |
| 8.3 | ზარალში ჩამოწერილი ვალები 31.12.2000-მდე | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 8.4 | ზარალშ ჩამოწერილი ვალები 01.01.2001-დან | 156 885 361 | 241 450 675 | 398 336 037 | 128 077 353 | 228 727 188 | 356 804 541 |
| 8.5 | ზარალში ჩამოწერილი სხვა აქტივები | 50 826 994 | 4 340 802 | 55 167 796 | 49 776 850 | 4 251 065 | 54 027 915 |
| 9 | **სხვა ფასეულობა და დოკუმენტები** | 335 249 | 0 | 335 249 | 335 300 | 0 | 335 300 |
| 9.1 | გაურჩეველი ფულიანი ამანათები | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 9.2 | მცირეფასიანი ინვენტარი | 332 270 | 0 | 332 270 | 332 270 | 0 | 332 270 |
| 9.3 | მკაცრი აღრიცხვის ბლანკები | 2 979 | 0 | 2 979 | 3 030 | 0 | 3 030 |
| 9.4 | სპეცლატარიის ანაზღაურება | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 10 | **სულ** | 3 503 366 342 | 14 024 365 541 | 17 527 731 883 | 3 167 472 319 | 13 320 570 697 | 16 488 043 016 |

* ინფორმაცია არააუდირებულია, წარმოდგენილია საქართველოს ეროვნული ბანკის საანგარიშგებო მოთხოვნების მიხედვით

** შეიცვალა „მიღებული გარანტიები" (1.3) და „გირავნობის უზრუნველყოფის სახით მიღებული აქტივები" (1.5) მუხლების აღრიცხვისა და წარმოდგენის წესი

ბანკი: თი ბი სი ბანკი
თარიღი: 30.09.2016

**ეკონომიკური მაჩვენებლები ***

| | | საანგარიშგებო პერიოდი | წინა წლის შესაბამისი პერიოდი |
|---|---|---|---|
| | **კაპიტალი** | | |
| 1 | პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი ≥ 7.2% | 11,86% | 11,24% |
| 2 | საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი ≥ 10.8% | 17,28% | 15,17% |
| 3 | რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები / მთლიან აქტივებთან | 106,00% | 105,20% |
| 4 | ფულადი დივიდენდები / წმინდა მოგებასთან | 29,90% | 28,21% |
| | **მოგება** | | |
| 5 | მთლიანი საპროცენტო შემოსავლები / საშუალო წლიურ აქტივებთან | 9,44% | 8,92% |
| 6 | მთლიანი საპროცენტო ხარჯები / საშუალო წლიურ აქტივებთან | 3,62% | 3,66% |
| 7 | საოპერაციო მოგება / საშუალო წლიურ აქტივებთან | 4,51% | 3,65% |
| 8 | წმინდა საპროცენტო მარჟა | 5,82% | 5,26% |
| 9 | უკუგება საშუალო აქტივებზე (ROA) | 3,70% | 2,36% |
| 10 | უკუგება საშუალო კაპიტალზე (ROE) | 21,55% | 15,25% |
| | **აქტივების ხარისხი** | | |
| 11 | უმოქმედო სესხები / მთლიან სესხებთან | 5,15% | 7,51% |
| 12 | სსდრ / მთლიან სესხებთან | 5,56% | 6,35% |
| 13 | უცხოური ვალუტით არსებული სესხები / მთლიან სესხებთან | 63,20% | 64,66% |
| 14 | უცხოური ვალუტით არსებული აქტივები / მთლიან აქტივებთან | 58,46% | 58,50% |
| 15 | მთლიანი სესხების წლიური ზრდის ტემპი** | 7,24% | 35,23% |
| | **ლიკვიდობა** | | |
| 16 | ლიკვიდური აქტივები / მთლიან აქტივებთან *** | 21,80% | 21,58% |
| 17 | უცხოური ვალუტით არსებული ვალდებულებები / მთლიან ვალდებულებებთან | 71,08% | 70,66% |
| 18 | მიმდინარე და მოთხოვნამდე დეპოზიტები / მთლიან აქტივებთან**** | 36,01% | 36,87% |

* ინფორმაცია არააუდირებულია, წარმოდგენილია საქართველოს ეროვნული ბანკის საანგარიშგებო მოთხოვნების მიხედვით

** 2015 წლის მე-3 კვარტალში მთლიანი სესხების წლიური ზრდის ტემპის მაღალი მაჩვენებელი ძირითადად განპირობებულია მერჯერის შედეგად კონსტანტას სასესხო პორთფელის გადმოტანით თიბისი ბანკის სასესხო პორთფელში; ასევე გაზრდილი კურსის ეფექტით.

*** 2015 წელს ლიკვიდური აქტივების გაანგარიშებაში ლიკვიდურ აქტივებს აკლდებოდა არარეზიდენტების დეპოზიტების წილი.

**** 2015 წელს მიმდინარე და მოთხოვნამდე დეპოზიტებში გაითვალისწინებოდა საბანკო დეპოზიტებიც.

ბანკი: თი ბი სი ბანკი
თარიღი: 30.09.2016

**ინფორმაცია ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს, დირექტორატის და აქციონერთა შესახებ**

| | |
|---|---|
| | **სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა** |
| 1 | მამუკა ხაზარაძე |
| 2 | ბადრი ჯაფარიძე |
| 3 | ნიკოლას ჰააგ |
| 4 | ნიკოლოზ ენუქიძე |
| 5 | სტეფანო მარსაგლია |
| 6 | ერიკ რაჯენდრა |
| 7 | სტეფან უილკი |
| 8 | ვახტანგ ბუცხრიკიძე |
| 9 | გიორგი შაგიძე |
| | |
| | **დირექტორთა საბჭოს შემადგენლობა** |
| 1 | ვახტანგ ბუცხრიკიძე |
| 2 | პაატა ღაძაძე |
| 3 | ვანო ბალიაშვილი |
| 4 | ნინო მასურაშვილი |
| 5 | გიორგი თხელიძე |
| 6 | გიორგი შაგიძე |
| 7 | დავით წიკლაური |
| 8 | ნიკოლოზ ქურდიანი |
| | |
| | **საწესდებო კაპიტალის 1% და მეტი წილის მფლობელი აქციონერების ჩამონათვალი წილების მითითებით** |
| 1 | TBC Bank Group PLC - 98.21% |
| | |
| | **ბანკის ბენეფიცირების ჩამონათვალი, რომლებიც პირდაპირ და არაპირდაპირ ფლობენ აქციების 5%–ს ან მეტს წილების მითითებით** |
| 1 | მამუკა ხაზარაძე - 14.67% |
| 2 | EBRD - 12.28% |
| 3 | ბადრი ჯაფარიძე - 7.33% |
| 4 | Malone Financial - 6.27% |
| 5 | Schroder Investment Management მართვაში არსებული სხვადასხვა ფონდები - 6.10% |
| 6 | Dunross & Co. - 5.99% |
| 7 | IFC - 5.70% |
| 8 | JPMorgan Asset Management Holdings - 5.59% |

* ბენეფიციარი მფლობელების შესახებ ინფორმაცია ეყრდნობა მესამე მხარის მიერ მოწოდებულ და საჯარო წყაროებზე დაფუძნებულ ინფორმაციას.

# ტრამპმა ვაშინგტონში ელიტური ოტელი გახსნა

აშშ-ის პრეზიდენტობის პრეტენდენტმა, მილიარდერმა დონალდ ტრამპმა საზოგადოება კვლავ გააოცა. ვაშინგტონში, პენსილვანია-ავენიუზე, მან ელიტური ოტელი გახსნა.

ოტელი პირდაპირ თეთრ სახლს გაჰყურებს.

თავის ტელეინტერვიუში ტრამპმა აღნიშნა, რომ ვაშინგტონში აქამდე ყველაზე გრანდიოზულ შენობად თეთრი სახლი ითვლებოდა. ახლა მას პირველობაში მისი ოტელი შეეცილება.

— დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი ოტელი თავისი გრანდიოზულობით თეთრ სახლს აჯობებს, — თქვა ტრამპმა.

მილიარდერმა აღნიშნა, რომ ოტელი თეთრ სახლზე შეტევისთვის პლაცდარმად გადაიქცევა:

— ყველამ დაინახა, რომ მე კონკრეტული საქმის გაკეთება შემიძლია. ვთქვი, ოტელი აშენდება-მეთქი და აშენდა. თუკი პრეზიდენტად ამირჩევენ, სხვა პრობლემებსაც ასევე სწრაფად მოვაგვარებ.

ტრამპმა ხაზი გაუსვა იმას, რომ მას, ჰილარი კლინტონისგან განსხვავებით, მთელი ცხოვრება კონკრეტული საქმეები უკეთებია და არასოდეს დემაგოგიით ფონს არ გასულა.

— მე მუდამ ვაშენებდი, ვაშენებდი, ვაშენებდი! — ამბობს ტრამპი.



ექსპერტების აზრით, უკანასკნელი დღეების განმავლობაში ჰილარი კლინტონის რეიტინგმა რამდენადმე დაიწია. ერთი მონაცემით, მისის კლინტონი ტრამპს 8%-ით უსწრებს, მეორე მონაცემით — 4-ით. ვაშინგტონში ოტელის გახსნამდე სწორედ ასეთი სურათი იყო.

ექსპერტები თვლიან, რომ ოტელის გახსნამ ამერიკელებზე უარყოფითი ეფექტი იქონია.

ჰილარი კლინტონი კი ფლორიდის შტატს ეწვია. ის ცნობილი პოპვარსკვლავის კონცერტს დაესწრო, ამომრჩევლებსაც შეხვდა. ჰილარის გამოსვლა კვლავაც წყნარი და საქმიანი იყო. მასში დომინირებდა არა ემოცია, არამედ საქმიანი მიდგომა.

# დონბასი: სეპარატისტებმა ადგილობრივი არჩევნების ჩატარება გადადეს

„დონეცკ-ლუგანსკის რესპუბლიკების" ხელმძღვანელებმა ზახარჩენკომ და პლოტნიცკიმ განაცხადეს, რომ 6 ნოემბრისთვის დანიშნული ადგილობრივი არჩევნები გადაიდო. სეპარატისტების ლიდერებმა არ დააკონკრეტეს, როდის აპირებენ არჩევნების ჩატარებას.

სეპარატისტები „არჩევნების" ჩატარებას ჯერ კიდევ 2015 წლის მარტში აპირებდნენ. შემდეგ ეს თარიღი რამდენჯერმე გადაიდო. მიზეზი როგორც უკრაინის, ისე დასავლეთის პოზიციაა. პრეზიდენტმა პოროშენკომ განაცხადა, რომ არჩევნების ჩატარება აღიქმება, როგორც მინსკის შეთანხმებების დარღვევა. მას მხარი დაუჭირეს აშშ-ის ვიცეპრეზიდენტმა ბაიდენმა, გერმანიის კანცლერმა მერკელმა, საფრანგეთის პრეზიდენტმა ოლანდმა, ევროკავშირისა და ევროსაბჭოს ლიდერებმა.

ერთადერთი ქვეყანა, რომელიც მზად იყო, დონბასის „არჩევნები" ეღიარებინა, რუსეთი გახლდათ. ბაიდენმა განაცხადა:

— თუკი რუსეთი სეპარატისტების მიერ დანიშნულ არჩევნებს აღიარებს, მის მიმართ დამატებით სანქციებს შემოვიღებთ.



ვლადიმერ პუტინზე ამ არგუმენტმა გაჭრა. თანახმად კრემლის მითითებისა, დონბასელმა სეპარატისტებმა არჩევნები კიდევ ერთხელ გადადეს. სამაგიეროდ, დონბასისკენ რუსული ჰუმანიტარული ტვირთის ახალი პარტია მიემართება.

უკრაინის დაზვერვის ცნობით, ჰუმანიტარული ტვირთის ნიღბით მოსკოვი სეპარატისტებს იარაღის ახალ პარტიას აწვდის.

— დონბასში მოსალოდნელია გამწვავება, — თვლიან უკრაინელი მზვერავები.

# იტალიაში კვლავ მიწისძვრა მოხდა

იტალიაში, პერუჯის მახლობლად, 2 მიწისძვრა მოხდა. დანგრეულია შენობები.

პირველი ბიძგების სიმძლავრემ 5.5 მაგნიტუდა შეადგინა, რომელსაც 2 საათის შემდეგ 6.1 მაგნიტუდის მიწისძვრა მოჰყვა.

ბიძგები იგრძნობოდა ქალაქ რომშიც.

იტალიის პრემიერმა რენციმ განაცხადა, რომ ხორციელდება ყველა ზომა მოსახლეობის დასახმარებლად.

დაღუპულია 8 ადამიანი.

იტალიაში დამანგრეველი მიწისძვრა 2 თვის წინაც მოხდა. 24 აგვისტოს 6.2-ბალიანი სტიქიის შედეგად 298 ადამიანი დაიღუპა.



# მოსკოვის სასამართლომ უკრაინელი ჟურნალისტი პატიმრობაში დატოვა

მოსკოვის საქალაქო სასამართლომ პატიმრობაში დატოვა უკრაინელი ჟურნალისტი სუშჩენკო. მას ბრალად შპიონაჟს სდებენ.

სუშჩენკო მოსკოვში ნათესავების სანახავად ჩავიდა და ფსბ-მ დააპატიმრა.



# თურქეთის პროკურატურამ 73 სამხედრო მფრინავის დაკავების ორდერი გასცა



თურქეთის პროკურატურამ 73 სამხედრო მფრინავის დაკავების ორდერი გასცა.

ყველა მათგანი ივლისში მომხდარი სამხედრო გადატრიალების მცდელობასთან კავშირშია ეჭვმიტანილი.

თურქეთის ქალაქ კონიაში მდებარე ავიაბაზაზე სამხედრო მფრინავების დაკავება დაიწყო.

გასულ კვირას სამართალდამცველებმა ამავე ბაზის 99 სამხედრო მოსამსახურე დააკავეს.

ივლისის შემდეგ თურქეთში სამხედრო გადატრიალების მცდელობასთან კავშირისთვის 35.000-ზე მეტი ადამიანი დააკავეს, მათ შორის უამრავი სამხედრო.

# ნატო აღმოსავლეთ ევროპაში კონტინგენტს აძლიერებს

ნატოს გენერალურმა მდივანმა სტოლტენბერგმა განაცხადა, რომ ნორვეგიამ, იტალიამ, ხორვატიამ, ალბანეთმა თანხმობა განაცხადეს ლატვიაში, ლიტვაში, ესტონეთში თავიანთი ბატალიონების გაგზავნაზე.

გენერალურმა მდივანმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ძლიერდება ნატოს პოზიციები შავ ზღვაზეც.

— ნატო რუსეთთან კონფრონტაციას არ ეძებს. ჩვენ ახლა ცივი ომი და შეიარაღე-



ბის ახალი რბოლა არ გვსურს და სწორედ ამიტომ ნატოს ქმედებები არის თავდაცვითი და პროპორციული. ამავდროულად, ნატომ რეაგირება უნდა მოახდინოს, როცა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ვხედავთ, რომ რუსეთი არსებითად აძლიერებს სამხედრო პოტენციალს. რუსეთი მზად არის, გამოიყენოს სამხედრო ძალა მეზობელი ყირიმის, უკრაინისა და ასევე საქართველოს წინააღმდეგ. ჩვენ ასევე ვნახეთ რუსეთის მუქარებით სავსე რიტორიკა, — განაცხადა იენს სტოლტენბერგმა.

# ვენესუელაში არეულობა გრძელდება

მთელი ვენესუელა მოიცვა საპროტესტო ტალღამ პრეზიდენტ მადუროს გადაყენების მოთხოვნით.

მასობრივი დემონსტრაციები მიმდინარეობს როგორც ქვეყნის დედაქალაქ კარაკასში, ასევე პროვინციებში. ძალოვანთა ყველა მცდელობა, ჩაახშონ საპროტესტო ტალღა, ამაოა.

ცხარე შეტაკებები პოლიციასა და დემონსტრანტებს შორის სულ უფრო მძაფრ, შეურიგებელ ხასიათს იღებს.

შეტაკებებისას დაიღუპა 1 პოლიციელი და 12 დემონსტრანტი. დაშავებულია მრავალი ადამიანი. მდგომარეობა ვენესუელაში სულ უფრო უარესდება. ეს ნავთობით მდიდარი ქვეყანა კრახის პირასაა.




# მან შეიძლება თქვენ სიკვდილისგან



## გ ა დ ა გ ა რ ჩ ი ნ ო თ!!!

**მხუთავი გაზის (CO — კარბონ-მონოქსიდის) დეტექტორი.**

CO — ერთ-ერთი ყველაზე საშიში საფრთხე ადამიანის სიცოცხლისათვის. მას არ აქვს არც გემო, არც სუნი, არც ფერი და შეიძლება სერიოზული ზიანი მიაყენოს თქვენს ჯანმრთელობას ან გამოიწვიოს სიკვდილიც კი!

ოფიციალური მონაცემებით, 2016 წლის იანვარ-თებერვალში CO-თი ინტოქსიკაციის 1500-მდე შემთხვევა დაფიქსირდა, არაოფიციალური მონაცემები კი გაცილებით მეტია. 2015-16 წლებში ლეტალური შედეგით რამდენიმე ათეული შემთხვევა აღირიცხა.

დღეს ეს საფრთხე თითქმის ყველგანაა ჩასაფრებული, თუმცა ჩვენ გთავაზობთ მისი გაკონტროლებისა და თავიდან აცილების საშუალებას CO — კარბონ-მონოქსიდის დეტექტორს. იგი ზომავს ოთახში მხუთავი აირის კონცენტრაციის დონეს და სახიფათო ზღვარის მიღწევის შემთხვევაში ხმოვანი სიგნალით (85 დბ. სიმძლავრით) გატყობინებთ საშიშროების შესახებ.

**ფასი: 50.00 ლარი.**

**მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას 79.**

**ტელ.: 596 20 30 20, 598 37 30 19**


# მასობრივი მკვლელობები მოსულში



რაც უფრო მეტი წარმატებით ვითარდება აშშ-ის ეგიდით შექმნილი ანტი-ტერორისტული კოალიციის ძალების შეტევა მოსულზე, მით უფრო იზრდება ისლამისტების აგრესია.

ტერორისტებმა მოსულის მახლობელი სოფლების მცხოვრებთა მძევლებად აყვანა დაიწყეს. ისინი მოითხოვენ, რომ ქალაქზე იერიშები შეწყდეს. მიუხედავად ამისა, შეტევები გრძელდება. ტერორისტებმაც მძევლების მასობრივი მკვლელობები დაიწყეს. მოკლულია 65 მშვიდობიანი მოქალაქე.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*


**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას"); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# განცხადებები

**გთავაზობთ სამსახურს**

- გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.
- რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

**მკურნალობა**

- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.
- იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.
- კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.
- უცხოეთში კვალიფიცირებული ექიმი-პედიატრი, გთავაზობთ სხვადასხვა სახის, ზოგადი პროფილის, ასევე ყველა ასაკის ბავშვთა მასაჟს. ვმუშაობ სხეულის კორექციაზეც ვაკუუმ-მასაჟის მეთოდით. მსურველებს, საჭირო კურსის ჩატარების შემდეგ, ექნებათ ლიპოსაქციის ეფექტი. 599 48-66-39.
- ქრონიკული ალკოჰოლიზმისგან განკურნება, „პახმელია", „ზაპოი", აგრესიულობა, ალკოჰოლდამოკიდებულების მოხსნა (შეგიძლიათ შეურიოთ საკვებში), სიგარეტის მწეველობისგან განთავისუფლება ფილტვების გაწმენდით, ნერვული სტატუსის მოწესრიგებით, ნიკოტინდამოკიდებულების მოხსნა მცენარეული, გარანტირებულად უსაფრთხო პროდუქტით. ტელ: 599-45-88-66; 555–45-13-45. საიტი: carabadini.com

# ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ ვალენსია დასაჯა და ბარსა გააკრიტიკა




ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ ვალენსიასა და ბარსელონას შორის გამართული შეხვედრის შემდეგ განცხადება გაავრცელა, რომელშიც აქცენტი არა „ღამურების“ გულშემატკივრების მიერ სტადიონიდან ნასროლ ნივთებზე, არამედ კატალონიური კლუბის ფეხბურთელების ქცევაზეა გაკეთებული.

მესტალიაზე გამართული შეხვედრის მიწურულს, როდესაც ბარსელონამ გამარჯვების გოლი გაიტანა, ვალენსიის ერთ-ერთმა გულშემატკივარმა მოზეიმე კატალონიელებს ბოთლი ესროლა. ვალენსიური მხარის აზრით, ამის მიზეზი ბარსელონის ფეხბურთელების პროვოკაციული ქცევები იყო. ესპანეთის ფეხბურთის ფედერაცია ამ აზრს იზიარებს.

– ბარსელონის რამდენიმე ფეხბურთელმა გადამეტებული რეაქცია გამოავლინა, როდესაც ისინი, ბოთლის მოხვედრის შემდეგ, სიმულანტობდნენ, თითქოს ბოთლი ყველა მათგანს ერთდროულად მოხვდა და არა ერთს. მათი ქმედება – ჟესტიკულაცია და გულშემატკივრების მიმართ შეძახილები, რაც რიგითი გოლის გატანას მოჰყვა, არ შეიძლება, დარჩეს შეუმჩნეველი და ის განხილვის საგნად უნდა იქცეს, – ვკითხულობთ ფეხბურთის ფედერაციის განცხადებაში.

ბარსელონა ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის განცხადებას განცხადებითვე გამოეხმაურა:

– ბარსელონას ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის კომენტარი აბსოლუტურად დაუშვებლად და შეურაცხმყოფელად მიაჩნია. როდესაც ისინი მომხდარის თავიანთ ვერსიას გვთავაზობენ, აცხადებენ რა, რომ ბარსელონის ფეხბურთელებმა თავიანთი თავის დისკრედიტაცია მოახდინეს.

ისინი ბრალს რეალურად დამნაშავის ნაცვლად მსხვერპლს სდებენ. მათ ავიწყდებათ, რომ რეალური დამნაშავეები, მთელი თამაშის განმავლობაში, ფეხბურთელებსა და მსაჯს შეურაცხყოფას აყენებდნენ. ისინი ტრიბუნებიდან სხვადასხვა სახის ნივთებს ისროდნენ.

ფედერაცია აშკარად მტრულ სიტუაციას ქმნის. ჩვენ სახეზე გვქონდა აგრესია, რომელიც ბარსელონის ფეხბურთელების მიმართ იყო გამოვლენილი, მათ კი მხოლოდ ის შეეძლოთ, მომხდარის გამო თავიანთი აღშფოთება გამოეხატათ. ამ განცხადების შემდეგ ბარსელონას გათავისებული აქვს, რომ ფეხბურთის ფედერაცია ამიერიდან ყველა გოლის აღნიშვნას გააანალიზებს.

❖ ❖ ❖

საბოლოოდ, ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ ვალენსია 1.500 ევროთი დააჯარიმა. მიზეზი კლუბის 17 წლის გულშემატკივრის ქცევაა, რომელმაც ნეიმარს წყლის ბოთლი ესროლა.

ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ ვალენსია გააფრთხილა, რომ მსგავსი ინციდენტის გამეორების შემთხვევაში მესტალია დისკვალიფიკაციას მიიღებს. ლა ლიგის ბოსებმა ასევე ვალენსიის ხელმძღვანელობა შეაქეს, რომელმაც დამნაშავის იდენტიფიცირება მალევე მოახერხა.

# გარი ნევილი: „მანჩესტერს ბევრი სამუშაო აქვს“




სკაი სპორტის ექსპერტი და მანჩესტერ იუნაიტედის ყოფილი მცველი გარი ნევილი ფიქრობს, რომ მანჩესტერელთა ასეთი სტარტი ოლდ ტრაფორდზე რამდენიმე ფეხბურთელის კარიერას დაღს დაასვამს.

მიუხედავად წარმატებული საზაფხულო სატრანსფერო ფანჯრისა, ჟოზე მოურინიო ჯერ კიდევ აგრძელებს სხვადასხვა პოზიციაზე იდეალური პარტნიორების მოძებნას, განსაკუთრებით ნახევარდაცვაში.

ნევილს მიაჩნია, რომ მოურინიო ლმობიერებას არ დაიწყებს და თავიდან მოსაშორებელ ფეხბურთელს აუცილებლად გაყიდის.

**გარი ნევილი:**

– ვფიქრობ, მომდევნო 6 თვის განმავლობაში კლუბს ავტობუსი ჩამოუვლის, რადგან ის დაცვაში ასეთ თამაშს ვერ შეეგუება. ჟოზესგან უკვე გვინახავს, როგორც მიუთითა ფეხბურთელებს კარისკენ. როცა იუნაიტედს ვუყურებ, მის უძლიერეს შემადგენლობას ჯერ კიდევ ვერ ვპოულობ. მოურინიო პირველ ნაბიჯებს დგამს თავისი საუკეთესო ფეხბურთელების, საუკეთესო სასტარტო შემადგენლობისა და საუკეთესო პარტნიორების მოძებნაში.

იუნაიტედი მას უნდა ენდოს და მომდევნო 2 სატრანსფერო ფანჯარაზე სწორი გადაწყვეტილებების მიღება დაანებოს, იმიტომ, რომ მათ ნახევარდაცვაში უკვე პოგბა, შნეიდერლინი და ფელაინი ჰყავთ. ბოლო 3 წელიწადში 170 მილიონი გირვანქა სტერლინგი დაიხარჯა ცენტრალურ ნახევარმცველებზე, ჩვენ კი ჯერ კიდევ ვერ გვიპოვნია საუკეთესო წყვილი. მოურინიომ საუკეთესო შერწყმა უნდა იპოვოს ან ისინი შეცვალოს.

იუნაიტედს ბევრი სამუშაო აქვს, მაგრამ ვრჩები ჩემი ყოფილი გუნდის ქომაგად და ვღელავ. მეგონა, სეზონის სტარტზე უკეთესად ითამაშებდნენ. შესაძლოა, ველოდი, რომ მოურინიო დიდ ეფექტს მოახდენდა, მაგრამ დღეს მგონია, რომ ეს გუნდი ჟოზე მოურინიოს საერთოდ არ ეკუთვნის. მათთან უნდა წაიმუშაოს, უკეთესად თამაში უნდა აიძულოს. შემადგენლობას მომდევნო 3 თვეში ვერ შეცვლის, თუმცა იანვარშიც რთული იქნება ამის გაკეთება.

# რენატუ სანჩესი — ოქროს ბიჭუნა 2016



პორტუგალიის ნაკრებისა და ბაიერნის ნახევარმცველი რენატუ სანჩესი 2016 წლის „ოქროს ბიჭუნას“ გამარჯვებული გახდა. აღნიშნულ ნომინაციაში პორტუგალიელმა მანჩესტერ იუნაიტედის თავდამსხმელი მარკუს როშფორდი და თანაგუნდელი კინგსლი კომანი ჩამოიტოვა.

რეკორდმაისტერმა ბენფიკის 19 წლის ნიჭიერი ნახევარმცველი მიმდინარე წლის მაისში 35 მილიონ ევროდ შეიძინა და მასთან 5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა, რის შემდეგაც პორტუგალიელმა ევრო 2016-ზე გუნდის წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანა და ტურნირის გამარჯვებულიც გახდა.

„ოქროს ბიჭუნას“ პრესტიჟული პრიზის ნომინაცია 2003 წელს იტალიური გამოცემის, თუტოსპორტის მიერაა დაფუძნებული და გამარჯვებული ევროპის 30 სპორტული გამომცემლობის ჟურნალისტების მიერ სახელდება.

ნომინანტი ასაკით 21 წელს არ უნდა აღემატებოდეს, ევროპის უმაღლეს ლიგაში უნდა თამაშობდეს და მოგებული არ უნდა ჰქონდეს აღნიშნული პრიზი.

**რენატუ სანჩესი:**

– მოხარული ვარ. ამ ჯილდოს გლობალური მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მოვლენებს რეალურად ვუყურებ, ჯერ კიდევ ბევრი რამ მაქვს სასწავლი, უპირველეს ყოვლისა, ჩემი ფანტასტიკური თანაგუნდელებისაგან, არტუროსგან, ხაბისგან, ტიაგოსა და იოშუასგან. ამ პრიზს მე ჩემს ოჯახს ვუძღვნი.

პორტუგალიელი ნახევარმცველი ჩემპიონთა ლიგის ტურნირსაც შეეხო და ოპტიმისტური განცხადება გააკეთა:

– ჩემპიონთა ლიგას ბაიერნი მოიგებს, ეს ხომ ცხადია – საუკეთესო გუნდია მთელ პლანეტაზე.

სანჩესი პირველი პორტუგალიელია, რომელსაც „ოქროს ბიჭუნას“ პრიზი გადაეცა და 2016 წლის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელის სტატუსი მიენიჭა.

# ენდონი სუბისარეტამ მარსელის ოლიმპიკში დაიწყო მუშაობა



ენდონი სუბისარეტა, რომელმაც ერთი წლის წინ ბარსელონა დატოვა, მარსელის ოლიმპიკის სპორტული დირექტორი იქნება.

ამის შესახებ ოლიმპიკის მფლობელმა ფრენკ მაკორტმა განაცხადა, რომლის აზრით, სუბისარეტა მის გუნდს დიდ დახმარებას გაუწევს.

სუბისარეტას სპორტული დირექტორის რანგში მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს. დიდი ხნის განმავლობაში ის ბარსელონაში ამ პოსტს იკავებდა, თუმცა, გარკვეული მიზეზების გამო, სამსახურიდან გაათავისუფლეს. ბარსელონიდან წასვლის შემდეგ სუბისარეტა რაღაც პერიოდი ფეხბურთისგან ისვენებდა, ამჯერად კი ისევ დაუბრუნდა თავის საქმიანობას.

# ხელბურთელთა ნაკრები იტალიასთან სათამაშოდ ემზადება



საქართველოს ხელბურთელთა ეროვნული ნაკრები ევრო-2020-ის პირველი შესარჩევი ეტაპის მატჩებს იტალიასთან 2 ნოემბერს – სირაკუზაში, ხოლო 6 ნოემბერს თბილისის სპორტის სასახლეში გამართავს.

ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე ხელბურთელებმა უკვე დაიწყეს ვარჯიში სპორტკომპლექს არენაში. ხელბურთის ფედერაციის აღმასკომმა ნაკრების მთავარ მწვრთნელად ახლახან დაამტკიცა ბექა ორჯონიკიძე, რომელსაც უკვე უმუშავია ეროვნულ გუნდში ჯერ ჯორჯე რაშიჩისა და შემდეგ – ირაკლი კეკელიძის ასისტენტად, წვრთნიდა ახალგაზრდულ ნაკრებსაც. ვაჟთა ნაკრები გუნდების უფროსად იმუშავებს ჯემალ ბარამიძე.

**საქართველოს ნაკრების შემადგენლობა იტალიასთან ასეთია:**

**მეკარეები**: შოთა თევზაძე (რეშიცა, რუმინეთი), ზურაბ ცინცაძე (პეგასი);

**მოთამაშეები**: ხაზეინ რუსტამოვი, ზურაბ სიმონია (ორივე ქუთაისი), ზურაბ აბრამიშვილი, ლექსო წითელიშვილი, შოთა გრიშიკაშვილი, (ყველა ბათუმი), თეიმურაზ ორჯონიკიძე (პრილეპი, მაკედონია), ირაკლი ჩიქოვანი (კელერაში, რუმინეთი), სერგო დათუკაშვილი (ვოივოდინა, სერბეთი), ერეკლე არსენაშვილი, გიორგი გვაზავა (ორივე სტუ), ირაკლი თევზაძე (სამტრედია), რატი მსხვილიძე (ურმია, ირანი), რევაზ ჭანტურია (პელისტერი, მაკედონია), გიორგი დიხამინჯია (პეგასი), გიორგი მიქავა (იმედი).

იტალიის გარდა, ჩვენებს ჯგუფში მეტოქედ ლუქსემბურგის ნაკრებიც ეყოლებათ.

# რაიან გიგსი, შესაძლოა, უიგანის მწვრთნელი გახდეს

რაიან გიგსი უახლოეს მომავალში რომელიმე ინგლისური გუნდის გაწვრთნას აპირებს. ეს გუნდი, შესაძლოა, უიგანი აღმოჩნდეს, რომელიც ამჟამად ინგლისის მეორე დივიზიონში ასპარეზობს.



უიგანი ერთი პერიოდი პრემიერ ლიგის ბინადარი იყო, მაგრამ ბოლო წლებში გუნდის საქმე უკან წავიდა და უიგანი ჩემპიონშიფშიც ბოლოსწინა ადგილს იკავებს.

გიგსი მზად არის ახალი გამოწვევებისთვის, ამიტომ მისთვის უიგანის გაწვრთნა საინტერესო იქნება.

გიგსი რამდენიმე წლის განმავლობაში ლუი ვან გაალის თანაშემწე იყო მანჩესტერ იუნაიტედში, ხოლო მთავარი მწვრთნელის პოზიციაზე ჯერჯერობით არცერთ გუნდში არ ყოფილა.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

# სანაძემ და პრიმორსკამ ლიდერი დაამარცხეს

დუდა სანაძე აქამდეც გამოირჩეოდა სლოვენიის ჩემპიონატში, თუმცა გასულ ტურში ქართველმა მცველმა მართლაც ბრწყინვალე და თვალშისაცემი შედეგი დააფიქსირა. სანაძის პრიმორსკა ლიდერ კრკას ნოვო მესტოში ესტუმრა და ქართველი უკანახაზელი 27 ქულით დაძაბულ ბრძოლაში – 80:78 დაამარცხა.

სანაძე სასტარტო ხუთეულში არ ყოფილა, მაგრამ მოედანზე 25 წუთი გაატარა. დუდამ 5-დან 4 ორქულიანი, 10-დან 5 სამიანი და 7-დან 4 საჯარიმო ჩააგდო. 27 ქულასთან ერთად ქართველმა ფორვარდმა 4 მოხსნა (2 შეტევაში), 1 პასი და 1 ჩაჭრა მიითვალა.

დუდა მატჩის საუკეთესო მოთამაშე გახდა, მის კვალზე კი გამარჯვებულთაგან 11 ქულით ნიკოლა გაიჩი, ხოლო 10 ქულით გეზიმ მორინა გამოირჩნენ. 3 მოგებითა და 1 მარცხით პრიმოსკა პირველ ადგილზეა. ეს ერთი მატჩი სანაძის გუნდმა გასულ ტურში, შინ 1 ქულით, როგასკასთან წააგო. მომდევნო მატჩი ზღვისპირელებს 5 ნოემბერს შინ ჰოპსი პოლზელასთან ელით.




# შედეგები

**26 ოქტომბერი**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. ლიგის თასი**

ვესტ ჰემი-ჩელსი ........ 2:1
საუთჰემპტონი-სანდერლენდი ....... 1:0
იუნაიტედი-სიტი ........ 1:0

**ესპანეთი. სამეფო თასი**

ლეონესა-რეალი ........ 1:7

**გერმანია. თასი**

ვალდორფი-დარმშტადი ........ 1:0
ჰანოვერი-ფორტუნა ........ 6:1
ფიურტი-მაინცი ........ 2:1
ჰაიდენჰაიმი-ვოლფსბურგი ........ 0:1
ბაიერნი-აუგსბურგი ........ 3:1
დორტმუნდი-უნიონი ........ 1:1(3:0პ)
კიოლნი-ჰოფენჰაიმი ........ 2:1(დდ)
ნიურნბერგი-შალკე ........ 2:3

**იტალია. სერია ა**

კიევო-ბოლონია ........ 1:1
ფიორენტინა-კროტონე ........ 1:1
ინტერი-ტორინო ........ 2:1
იუვენტუსი-სამპდორია ........ 4:1
ლაციო-კალიარი ........ 4:1
ნაპოლი-ემპოლი ........ 2:0
პესკარა-ატალანტა ........ 0:1
სასუოლო-რომა ........ 1:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 10 | 8 | 0 | 2 | 21-7 | 24 |
| 2.რომა | 10 | 7 | 1 | 2 | 26-12 | 22 |
| 3.ნაპოლი | 10 | 6 | 2 | 2 | 19-10 | 20 |
| 4.მილანი | 10 | 6 | 1 | 3 | 16-14 | 19 |
| 5.ლაციო | 10 | 5 | 3 | 2 | 20-11 | 18 |
| 6.ატალანტა | 10 | 5 | 1 | 4 | 13-13 | 16 |
| 7.ჯენოა | 9 | 4 | 3 | 2 | 12-7 | 15 |
| 8.ტორინო | 10 | 4 | 3 | 3 | 20-13 | 15 |
| 9.კიევო | 10 | 4 | 3 | 3 | 11-10 | 15 |
| 10.ინტერი | 10 | 4 | 2 | 4 | 13-13 | 14 |
| 11.ფიორენტინა | 9 | 3 | 4 | 2 | 12-10 | 13 |
| 12.ბოლონია | 10 | 3 | 4 | 3 | 11-14 | 13 |
| 13.სასუოლო | 10 | 4 | 1 | 5 | 13-17 | 13 |
| 14.კალიარი | 10 | 4 | 1 | 5 | 17-23 | 13 |
| 15.სამპდორია | 10 | 3 | 2 | 5 | 11-16 | 11 |
| 16.უდინეზე | 9 | 3 | 1 | 5 | 10-15 | 10 |
| 17.პესკარა | 10 | 1 | 4 | 5 | 9-15 | 7 |
| 18.პალერმო | 9 | 1 | 3 | 5 | 6-16 | 6 |
| 19.ემპოლი | 10 | 1 | 3 | 6 | 2-13 | 6 |
| 20.კროტონე | 10 | 0 | 2 | 8 | 8-21 | 2 |

**საფრანგეთი. თასი**

შატორუ-ბორდო ........ 0:2
დიჟონი-სოშო ........ 1:1(4:5პ)
კლერმონი-მარსელი ........ 1:2
ნანსი-კანი ........ 4:2
რენი-ლორიანი ........ 3:2
ბასტია-გენგამი ........ 1:1(3:4პ)
ტულუზა-ოსერი ........ 1:0
პარიზი-მეცი ........ 1:1(6:7პ)

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

კილმარნოკი-ჰართსი ........ 2:0
მოზერველი-ინვერნესი ........ 0:3
რეინჯერსი-სტ.ჯონსონი ........ 1:1
როსი-სელტიკი ........ 0:4
დანდი-პარტიკი ........ 0:2

**ავსტრია. თასი**

ებრაიდოსრფი-აუსტრია ........ 4:5(დდ)
ზალბურგი-ფაკი ........ 2:0
სტ.პოლენი-შტურმი ........ 1:1(4:3პ)
ლინცი-რაპიდი ........ 0:4

რაპიდის მე-2 გოლი გიორგი ქვილითაიამ გაიტანა

**ბელგია. 1 დივიზიონი**

ანდერლეხტი-მეხელენი ........ 2:0
ბრიუგე-ვესტერლო ........ 4:0
კორტრაიკი-ეუპენი ........ 1:1
სტ.ტრუიდენი-ვარეგემი ........ 0:2
შარლერუა-გენკი ........ 2:1

**ჩეხეთი. სინოტ ლიგა**

კარვინა-ლიბერეცი ........ 0:0

**შვედეთი. ალსვენსკა**

კალმარი-გეფლე ........ 0:1
ფალკენბერგი-მალმიო ........ 0:3
ელფსბორგი-ნორჩიოპინგი ........ 2:1
ესტერსუნდი-ჰამარბი ........ 2:0

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

**პლეი აუტი**

ტპს-ინტერი ........ 0:0

**კალათბურთი**

**ნბა. რეგულარული სეზონი**

ინდიანა-დალასი ........ 130:121
ორლანდო-მაიამი ........ 96:108
ბოსტონი-ბრუკლინი ........ 112:117
ტორონტო-დეტროიტი ........ 109:91
ნიუ ორლეანი-დენვერი ........ 102:107
მემფისი-მინესოტა ........ 102:98
ფილადელფია-ოკლაჰომა ........ 97:103
მილუოკი-შარლოტი ........ 96:107
ფინიქსი-საკრამენტო ........ 94:113
ლეიკერსი-ჰიუსტონი ........ 120:114

*მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა*

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, განმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის განმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# განცხადება

**შპს თბილისის ხალხთა მეგობრობის სასწავლო უნივერსიტეტი აცხადებს ღია კონკურსს აკადემიური თანამდებობების (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) დასაკავებლად შემდეგ აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამებზე:**

**ბიზნესის ადმინისტრირების ქართულენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:**

ვაკანტური ადგილები:
1) პროფესორი – 3 ვაკანსია;
2) ასოცირებული პროფესორი – 4 ვაკანსია;
3) ასისტენტ-პროფესორი – 1 ვაკანსია.

**სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა:**

ვაკანტური ადგილები:
1) პროფესორი – 1 ვაკანსია;
2) ასოცირებული პროფესორი – 2 ვაკანსია;
3) ასისტენტ-პროფესორი – 1 ვაკანსია.

**საკონკურსო კრიტერიუმები პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად:**

1) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი მიმართულების/დარგის შესაბამისად;
2) არანაკლებ 6 წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება-ავტორიზებული ან მასთან გათანაბრებული სტატუსის მქონე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
3) უკანასკნელი 7 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სტატიები შესაბამისი დარგისათვის აქტუალურ საკითხებზე. უცხო ენების ცოდნა.

**საკონკურსო კრიტერიუმები ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად:**

1) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი მიმართულების/დარგის შესაბამისად;
2) არანაკლებ 3 წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება-ავტორიზებული ან მასთან გათანაბრებული სტატუსის მქონე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
3) უკანასკნელი 7 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სტატიები შესაბამისი დარგისათვის აქტუალურ საკითხებზე. უცხო ენების ცოდნა.

**საკონკურსო კრიტერიუმები ასისტენტ-პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად:**

1) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი მიმართულების/დარგის შესაბამისად;
2) უკანასკნელი 7 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სტატიები შესაბამისი დარგისათვის აქტუალურ საკითხებზე. უცხო ენების ცოდნა.

**კონკურსში მონაწილეობისათვის კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:**

1) განაცხადი კონკურსში მონაწილეობის მისაღებად შესაბამისი დარგის აკადემიური თანამდებობისა და განსახორციელებელი პროგრამის ენის მითითებით (განაცხადი შეიძლება წარმოდგენილ იქნეს როგორც ელექტრონულ, ასევე ქაღალდის მატარებელზე);
2) ავტობიოგრაფია (CV) დეტალური ინფორმაციით კანდიდატის არა მარტო კვალიფიკაციისა და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის შესახებ, არამედ ბოლო 7 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების შესახებ, ხოლო პროფესიული ნიშნით აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად – შესაბამისი პროფესიული გამოცდილების შესახებ (ელექტრონულ, ასევე ქაღალდის მატარებელზე);
3) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (ელექტრონულ, ასევე ქაღალდის მატარებელზე);
4) შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი საგანმანათლებლო დოკუმენტების ასლები (ელექტრონულ, ასევე ქაღალდის მატარებელზე);
5) 2 ფოტოსურათი ზომით 3/4;
6) კონკურსანტის მიერ შედგენილი შესაბამისი სასწავლო კურს(ებ)ის სილაბუს(ებ)ი (კონკურსანტის სურვილისამებრ);
7) სამოტივაციო წერილი.

**კონკურსის გამოცხადების თარიღი:**
**28 ოქტომბერი, 2016 წ.**
**კონკურსის ვადები:**

- აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველთა საბუთების მიღება იწარმოებს 2016 წლის 28 ნოემბრიდან 5 დეკემბრის ჩათვლით.
- კონკურსის შედეგები გამოცხადდება 12 დეკემბერს.

**საკონტაქტო ინფორმაცია კონკურსანტებისათვის:**
**კონკურსანტთა განაცხადის მიღება იწარმოებს როგორც ელექტრონული სახით atena-2016@mail.ru ასევე ქაღალდის მატარებელზე, საკონკურსო კომისიის სამდივნოში, შემდეგ მისამართზე: თბილისი, კოსტავას ქ.№47, ტელ: 555-180-140; 591-13-49-87.**

სპორტი

## ვერატი პსჟ-ში უკმაყოფილოა



პსჟ-ს იტალიელი ნახევარმცველი მარკო ვერატი უკმაყოფილოა იმით, რომ მას ხშირად არ ეძლევა საშუალება, მოედანზე 90 წუთი გაატაროს.

მარსელთან შეხვედრის დროს ვერატი მე-60 წუთზე შეცვალეს, რის გამოც იტალიელმა უკმაყოფილება ღიად გამოთქვა.

გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მარკოს აღარ სურს პსჟ-ში თამაში და ის ახალი გუნდის ძიებაშია.

ვერატის შეძენა ბევრ კლუბს უნდა, ამიტომ მარკოს ახალი სამუშაო ადგილის პოვნა არ გაუჭირდება. მისი ყიდვა ბარსელონასაც სურს და, სავარაუდოდ, უახლოეს მომავალში კატალონიელები ამ ტრანსფერთან დაკავშირებით უფრო გააქტიურდებიან.



## ნიკოლოზ ბასილაშვილი ვენაში დამარცხდა

ქართველი ჩოგბურთელი ნიკოლოზ ბასილაშვილი ვენის ტურნირზე ბერდიხთან გამარჯვების შემდეგ რუს ჩოგბურთელ კარენ ხაჩანოვს დაუპირისპირდა და ორ სეტში დამარცხდა 2:6, 5:7.

განსაკუთრებით დასანანი მეორე სეტის წაგება იყო, რომელსაც ბასილაშვილი 5:2 იგებდა, მაგრამ უპირატესობა ვერ შეინარჩუნა და ზედიზედ 5 გეიმი წააგო.

მიუხედავად ამისა, ნიკამ 45 სარეიტინგო ქულა გამოიმუშავა და, სავარაუდოდ, რეიტინგში ის წინ წაიწევს.

ამჟამად ბასილაშვილი 107-ე პოზიციას იკავებს.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

მკურნალი მცენარე

## ალოე



საქართველოში ველური სახით არ გვხვდება, მაგრამ იგი თითქმის ყოველ ოჯახს აქვს და ყველასათვის კარგადაა ცნობილი, როგორც ოთახის კულტურა. ალოეს სამშობლოა აფრიკა.

მედიცინაში ალოეს გამოყენება ხდება ძირითადად სამი სახით: მშრალი წვენის – საბრის ახალი წვენისა და პრეპარატების სახით.

ალოეს ახალი წვენი ხელს უწყობს ჭრილობის შეხორცებას. მის წვენს თაფლთან და კარაქთან ერთად იყენებენ ტუბერკულოზისა და საერთო სისუსტის დროს.

ძლიერი ბრონქიტის დროს აიღეთ 15 გ. ალოე, ღორის ან ბატის გამდნარი ქონი 100 გ, კარაქი (უმარილო) – 100 გ, ფუტკრის თაფლი – 100 გ, გახსენით 1 ჩაის ჭიქა ცხელ რძეში და მიიღეთ დღეში 2-ჯერ.

გასტრიტის, დიზენტერიისა და ქრონიკული შეკრულობის დროს დალიეთ 1-2 ჩაის კოვზი ალოესწვენი 2-3-ჯერ დღეში 30 წთ-ით ადრე ჭამის წინ. მკურნალობის კურსი 1-2 თვე.

დაჩირქებული ჭრილობებისა და დამწვრობის დროს დაიდეთ ალოეს წვენში დასველებული დოლბანდი ან პირდაპირ დაიწვეთეთ წვენი დაზიანებულ ადგილას.

ალოეს წვენს ფართოდ იყენებენ კოსმეტიკაშიც. იგი კარგი ბიოსტიმულატორია. თუ გნებავთ კიდევ უფრო გალამაზდეთ, გარეცხეთ ალოეს ფოთოლი ცივ ანადუღარ წყალში, დააქუცმაცეთ ფაფისებრი მასის მიღებამდე (ან გაატარეთ ხორცის საკეპ მანქანაში), დაამატეთ 5 წილი წყალი და გააჩერეთ 1 სთ. მიღებული მასა დადგით დაბალ ცეცხლზე, მიიყვანეთ დუღილამდე, ადუღეთ 2-3 წთ, გაწურეთ 2-3 ფენა დოლბანდში (არ დაგავიწყდეთ ფოთლიდან ეკლისმაგვარი კიდეების მოცილება).

ასეთი სახით დამზადებულ ალოეს ნაყენს ხმარობენ სახის გასაწმენდად, ფერისმჭამელების მოსაცილებლად, ზედმეტი ცხიმიანობის დროს. თუ სახის კანი მშრალია, საჭიროა, გაწმენდის მერე წაისვათ ცხიმოვანი მკვებავი კრემი. ნაყენის გამოყენება შეიძლება გამოსავლებად პირის ღრუსა და ყელის ანთებითი პროცესების დროს.

როგორც ავიცენა მიუთითებდა ალოეს წვენი კარგი საშუალებაა მელანქოლიის დროს. ალოეს წვენს თაფლთან ერთად იდებენ დანარტყამ ადგილებზე, ხოლო მისი წვენი ღვინოსთან შერეული თმის ცვენის საწინააღმდეგოდ გამოიყენება.

ალოეს იყენებენ აგრეთვე სწორი ნაწლავისა და მამაკაცის სასქესო ორგანოების სიმსივნის დროს.

## ასტროპროგნოზი
### 28 ოქტომბრისათვის



**ვერძი** – წინააღმდეგობრივი დღეა. ბევრი სირთულე შეგხვდებათ. შესაძლოა, გარკვეულ კომპრომისზე წასვლა მოგიხდეთ. ფინანსებს გაუფრთხილდით. **კურო** – ყოველგვარი კონტაქტი სასარგებლო იქნება. ახალი საქმის დაწყება რეკომენდებულია. **ტყუპები** – მოსალოდნელია მსხვილი შენაძენი, თუმცა ვარსკვლავები გაფრთხილებენ – ფულს ნუ გაფლანგავთ. **კირჩხიბი** – შესაფერისი დღეა აქტიური ინდივიდუალური მუშაობისთვის. ზედმეტი თავდაჯერებულობა არ ღირს. **ლომი** – კარიერაში წინსვლა გელით. აგიმაღლდებათ შემოქმედებითი პოტენციალი. **ქალწული** – ბიზნესპარტნიორებს არ ენდოთ, თორემ ინანებთ. ყველაფერი კარგად გააანალიზეთ და ისე იმოქმედეთ. **სასწორი** – არ მიიღოთ არანაირი შემოთავაზება. დიდია რისკის ალბათობა. დაისვენეთ და გაერთეთ. **ღრიანკალი** – შეგიძლიათ, თამამად განახორციელოთ ახალი იდეები. თქვენი ენერგიულობა და შემოქმედებითი პოტენციალი ხელმძღვანელობას შეუმჩნეველი არ დარჩება. **მშვილდოსანი** – ახალი საქმე თამამად დაიწყეთ. წარმატება გარანტირებული გაქვთ. სამსახურში წინსვლა გელით. საყვარელ ადამიანს მეტი ყურადღება დაუთმეთ. **თხის რქა** – ოპტიმიზმი და პოზიტიური განწყობა შემოქმედებით პოტენციალს გაგიძლიერებთ. იღბლიანი პერიოდია საყიდლებზე წასასვლელად. **მერწყული** – ერიდეთ ხალხმრავალ ადგილებს. ფიზიკური დატვირთვა მიზანშეუწონელია. **თევზები** – პროფესიული საქმიანობა თქვენგან მაქსიმალურ კონცენტრაციასა და დისციპლინას მოითხოვს. ბიზნესურთიერთობები გაამართლებს.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. ქართველი მოგზაური, გინესის რეკორდსმენი; 2. მოკლე ნიჩბით სამართავი სპორტული ნავი; 3. ჩრდილო ამერიკაში გავრცელებული დიდი დათვი; 4. ცირკის არენა; 6. ავტონომიური ოლქი ჩეხეთში; 9. ყვითელი ფერის მტკიცე, გამჭვირვალე ფისოვანი მინერალი; 11. ქართული ფარმაცევტული ფირმა; 15. გერმანიაში გამოყვანილი უხეშბეწვიანი მონადირე ძაღლის ჯიში; 16. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 17. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი გაგრის რაიონში; 19. ბრიტანეთის ნაწილი; 21. ოპერა „დაისის“ პერსონაჟი; 22. მოყვითალო, სურნელოვანი ყვავილების მქონე ფოთლოვანი ხე.

**თარაზულად**: 5. ცხოველთა და მცენარეთა ჯიშების გაუმჯობესება ხელოვნური შერჩევით; 7. მჭევრმეტყველი ადამიანი; 8. ჯუჯა სახელმწიფო ევროპაში; 10. კატისებრთა ოჯახის გარეული ცხოველი; 12. ჩეხი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი გმირი; 13. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 14. ელჩის გაწვევა სახელმწიფოდან; 18. ქართული ხალხური თამაში ქამრებით; 20. მეტროს სახელწოდება ინგლისსა და აშშ-ში; 23. ოპერა „მინდიას“ პერსონაჟი; 24. ქართული სპორტული გაზეთი; 25. არაბი გლეხი; 26. უბანი თბილისში; 27. თეთრი ბოჭკოვანი მინერალი, საიზოლაციო მასალა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. „ჰუნდაი“; 2. სედანი; 3. ჰომეროსი; 4. „ფიგარო“; 6. სელადონი; 8. „იდიოტი“; 12. შარიათი; 16. თაობა; 17. ღალია; 18. ჰეიგი.

**თარაზულად:** 1. ჰამსუნი; 5. მარსი; 7. სომელიე; 9. დუქარდი; 10. პანტერა; 13. ტექსელი; 14. სებონი; 15. იავა; 19. ხინკალი; 20. მარჩვიბი; 21. „ნაბელლავი“; 22. შიიზმი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ვეძისი; 2. კამიუ; 3. ენისეი; 4. ფეტელი; 6. ალბიონი; 9. „ბურდა“; 11. ბენიასა; 15. რეზიდენტი; 16. ჟიგოლო; 17. ნატამალი; 19. არაქისი; 21. რეგენტი; 22. დელიბი.

**თარაზულად:** 5. ჰელვეცია; 7. „ლიპტონი“; 8. ატლასი; 10. ბულბული; 12. „ლოიდი“; 13. ეკერი; 14. ანდერსენი; 18. „არიბა“; 20. „მილანი“; 23. ბერდია; 24. გემა; 25. წალამი; 26. „ბატე“; 27. ატამანი.

# სირიელმა მრავალცოლიანმა ლტოლვილმა შემწეობის სახით 360 ათასი ევრო მიიღო



გერმანიაში სირიელმა ლტოლვილმა, რომელიც ევროკავშირში თავისი ოთხი ცოლითა და 23 შვილით ჩავიდა, ერთი წლის განმავლობაში სხვადასხვა დახმარების სახით, საერთო ჯამში, 360 ათას ევროზე მეტი მიიღო.

ვინაიდან პოლიგამიური ქორწინებები გერმანიაში ლეგიტიმურად არ ითვლება, სირიიდან ლტოლვილებთან ურთიერთობის ცენტრში სირიელს, რომელიც სიაში ფიგურირებს, როგორც გაზია ა., შესთავაზეს, ერთ-ერთი ცოლი „ძირითადი" მეუღლის სახით აერჩია, ხოლო დანარჩენები საბუთებში გაფორმდნენ, როგორც „მეგობრები".

2015 წელს გერმანიაში ჩასულ გაზიას ერთი დღეც კი არ უმუშავია.

— ჩვენი რელიგიის თანახმად, მე ვალდებული ვარ, ჩემი ყველა ოჯახი მოვინახულო, ამიტომ თითქმის მთელ დროს მათთან ვატარებ, — აღნიშნა სირიელმა ლტოლვილმა და იქვე დაამატა, რომ გაუხარდებოდა, თუ სამსახურს გამონახავდა.

2011 წლამდე, სანამ სირიაში სამოქალაქო ომი დაიწყებოდა, მრავალცოლიანი გაზია ავტოფარეხებსა და ავტომობილების გაქირავების სერვისს ფლობდა.

# ბრაზილიელს შვილი 20 წელი სარდაფში ჰყავდა გამომწყვდეული

ბრაზილიის პოლიციამ ქალაქ სან-პაულუში რეიდის დროს საცხოვრებელი სახლის სარდაფში აღმოაჩინა მამაკაცი, რომელიც საწოლზე იყო მიბმული.

სამართალდამცავი ორგანოების ვერსიით, 36 წლის არმანდო დი ანდრადიმ მამისა და დედინაცვლის ტყვეობაში 20 წელი გაატარა. როდესაც პოლიციელებმა მამაკაცი იპოვეს, მას ხელებსა და ფეხებზე ძალიან გრძელი ფრჩხილები ჰქონდა, ასევე წვერი მუხლებამდე ჰქონდა ჩამოზრდილი. თვითმხილველთა თქმით, პოლიციელებმა ის სასომიხდილ ადამიანად აღწერეს. სარდაფში, სადაც ის იმყოფებოდა, არ იყო არც ფანჯარა, არც ხელოვნური განათება, იატაკი კი ფეკალური მასით იყო დაფარული.

პოლიციის უფროსმა სელსო მარკიორიმ განაცხადა, რომ როდესაც ანდრადი აღმოაჩინეს, მან ერთი სიტყვაც კი ვერ წარმოთქვა და ისიც კი ვერ გაიგო, რომ ისინი სამართალდამცავები იყვნენ.

— არ ვიცით, ის შეშინებული იყო თუ ნარკოტიკებით იყო გაბრუებული, ჩვენ დამხმარე ძალა გამოვიძახეთ და მაშინვე საავადმყოფოში გადავიყვანეთ. ძნელია იმის დაჯერება, რომ მან იქ 20 წელი გაატარა. ის უკიდურესად ანტისანიტარიული სათავსოა, იქ ვერ გაძლებდა, სინათლე საერთოდ არაა, — დაამატა სელსო მარკიორიმ.

აღსანიშნავია, რომ ანდრადი 16 წლის ასაკში დაიკარგა. ის ჩვეულებრივი ახალგაზრდასავით იზრდებოდა, გატაცებული იყო სკეიტბორდით და გიტარაზეც უკრავდა. მისი გაუჩინარების შემდეგ მამა და დედინაცვალი მათთვის დასმულ შეკითხვებზე პასუხობდნენ, რომ ის ბრაზილიის სხვა მხარეში გადავიდა საცხოვრებლად და სრულ წესრიგშია.

არმანდოს მამა ამანსიო დი ანდრადი ამტკიცებს, რომ მისი შვილი ოჯახიდან 18 წლის ასაკში წავიდა და მხოლოდ ერთი კვირის წინ დაბრუნდა. სწორედ მაშინ სთხოვა, ჩაეკეტა სარდაფში, რათა ნარკოდამოკიდებულებისგან გათავისუფლებულიყო.

პოლიციამ საქმის გამოძიება დაიწყო. მამა და დედინაცვალი ჯერჯერობით დაპატიმრებული არ არიან, თუმცა, იძულებულნი გახდნენ, მათ მიმართ მეზობლების აგრესიის გამო საკუთარი საცხოვრებელი დაეტოვებინათ.

# ინგლისელმა ვეტერინარებმა გამელოტებულ ზღარბს მასაჟები დაუნიშნეს



ინგლისის საგრაფოს ნორფოლკის ვეტერინარულ ცენტრში უჩვეულო პაციენტი ჰყავთ — მელოტი ზღარბი. ვიდეოჩანაწერი, რომელზეც ცხოველს მასაჟებს უკეთებენ, რათა მას ისევ ამოეზარდოს სხეულზე ეკლები, ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ ზღარბმა, რომელსაც სახელად ნელსონი დაარქვეს, ეკლების საფარველი ველურ ბუნებაში გადატანილი სტრესის გამო დაკარგა. ჯერჯერობით ვეტერინარების ძალისხმევას შედეგი არ გამოუღია.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

# თემურ თათარაშვილმა ალსუს სიმღერა აჩუქა





ქართველი მომღერალი თემურ თათარაშვილი დიდი ხანია, რუსეთში ცხოვრობს და მოღვაწეობს. მას შემდეგ, რაც მომღერალი ციხიდან გათავისუფლდა, საქართველო დატოვა და თბილისიდან მოსკოვში გადავიდა საცხოვრებლად.

თემურ თათარაშვილი ბოლო პერიოდში საქართველოში უფრო ხშირად ჩამოდის და კონცერტებსაც მართავს. მისი სიმღერები დიდი მოწონებითა და პოპულარობით სარგებლობს არა მარტო საქართველოში, არამედ რუსეთშიც.

მისი ერთ-ერთი სიმღერა „შენამდე" ცნობილ რუს მომღერალ ალსუს მოეწონა და თემურმაც ეს კომპოზიცია მას უყოყმანოდ აჩუქა.

— ახლა ჩაწერა ალსუმ ეს სიმღერა ინგლისურად. ქვისი ჯონსმა გაუკეთა არანჟირება. სოსო პავლიაშვილმა შემახვედრა ალსუს და ვაჩუქე ეს სიმღერა, — განუცხადა ჟურნალისტებს თემურ თათარაშვილმა.

# სოსო პავლიაშვილი: „ბაქოში მაინც ჩავალ!"

**დასაწყისი მე-12 გვერდზე**

სიმღერის ნიჭი მისცა და ის იმღერებს ყველგან, სადაც მისი მოსმენა სურთ.

**სოსო პავლიაშვილი:**

— ჩემზე არ იდარდოთ! უსაქმურებს სხვა არაფერი ესაქმებათ და, რაც უნდათ, ილაპარაკონ. ყველაფერი იქიდან დაიწყო, როდესაც 80-იანების მიწურულს ვიღაც მახინჯებმა და ასეთები ყველა ერში არიან, აიღეს დანები და ბავშვებისა და ქალების დაჩეხა დაიწყეს.

ჩავალ თუ არა ბაქოში, ამ დრამატურგს არ შევეკითხები, არც ვიცი, ვინაა. ახლა ის პოპულარული გახდება, ვულოცავ. ბოთლი კონიაკი მაინც მაჩუქოს ამისთვის. ჩემს კონცერტზეც ვეპატიჟები. მე მსოფლიო ადამიანი ვარ და ადამიანებთან არა მათი ეროვნებისა და სარწმუნოების, არამედ ქცევების გამო ვმეგობრობ.

ღმერთს ჩემთვის არ უთქვამს: აჰა ნიჭი, ამათთვის იმღერე, ამათთვის არაო. თუ ამ მკივან ხალხს სურს ყარაბაღის დაბრუნება, შექმნან დივერსიული ჯგუფები, წავიდნენ და დაიბრუნონ. წამოწოლილან და ფიქრობენ, სოსო ჩამოვა თუ არაო. მე არავისთვის წამირთმევია ყარაბაღი. სადაც მელიან, იქ წავალ კიდეც და ვიმღერებ. ღამით მირეკავენ ბაქოდან და მეუბნებიან, სოსო, შენს სიმღერებს ვმღერით, მადლობა, რომ შენი თავი გვყავს, ბაქოს უყვარხარო. სომხებთან ვმეგობრობ და არავის საქმე არაა ეს. ბაქოში მალე დიდი საქველმოქმედო კონცერტი გვაქვს. ყველას ვეპატიჟები. ვისაც მოსვლა არ სურს, ასი წლის სიცოცხლეს ვუსურვებ.

# ლიკა ლაბაძის იტალიელი ქმარი ქრისტიანულად მოინათლა



ბალერინა და ტელეწამყვანი ლიკა ლაბაძე სულ ცოტა ხნის წინ იტალიელზე გათხოვდა. მისი რჩეული, ჯუზეპე, არქიტექტორია, რომელიც ლიკამ ნიუ იორკის აკადემიაში სწავლისას გაიცნო.

წყვილმა იტალიაში გრანდიოზული და ულამაზესი ქორწილი რამდენიმე დღის წინ გადაიხადა. მათი ქორწილის ფოტოები სოციალურ ქსელში გავრცელდა და დიდი მოწონება და გამოხმაურება ჰპოვა. ლიკასა და ჯუზეპეს ქორწილს საქართველოდან 60 სტუმარი ესწრებოდა.

სოციალურ ქსელებში იმასაც აღნიშნავდნენ, რომ ქართველი ბალერინა კათოლიკე გახდა, რის გამოც ლიკა მკაცრად გააკრიტიკეს.

იტალიური ქორწილის შემდეგ წყვილი საქართველოში ჩამოვიდა და ჯუზეპე ქრისტიანულად მოინათლა. ჯუზეპეს ნათლიები ქართველები არიან.

ნათლობის შემდეგ ლიკამ და ჯუზეპემ ვაკის სამებაში ჯვარი დაიწერეს. ქართულ ჯვრისწერას წყვილის ახლობლები და უახლოესი მეგობრები ესწრებოდნენ.

# ქართველმა მომღერლებმა ემიგრანტებისთვის გერმანიაში იმღერეს

აჩიკო მეფარიძემ და ზურა ხაჩიძემ გერმანიის ქალაქ მიუნხენში მცხოვრები ემიგრანტებისთვის კონცერტი გამართეს.

მათი საღამოს წამყვანობა დიზაინერმა ზალიკო ბერგერმა ითავა. ზალიკომ კონცერტის წაყვანა პირველად მოსინჯა და, როგორც თავად განაცხადა, არცთუ ისე ურიგოდ.

გერმანიაში მცხოვრები ქართველი ემიგრანტებისთვის აჩიკო მეფარიძემ და ზურა ხაჩიძემ საკუთარი რეპერტუარიდან ცნობილი სიმღერები შეასრულეს. მათ კონცერტის ორგანიზატორებმა კარგი მასპინძლობაც გაუწიეს. ქართველი მომღერლები ქალაქში ძვირადღირებული ავტომობილით გადაადგილდებოდნენ და მიუნხენის გასართობ ადგილებსაც სტუმრობდნენ.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი" გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);

2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);

3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;

4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);

5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.

**კონსულტაცია უფასოა!**

☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).

მისამართი: ალმაშენებლის 154.

„მწვანე ოფისი".

# სამგლოვიარო განცხადებები

უახლოესი მეგობრები ფრიდონ ინჯია, ავთანდილ იაშვილი, კოტე სამუშია, თეიმურაზ ღოღობერიძე, თეიმურაზ ბერიშვილი, მამია სულაბერიძე, ნუგზარ კვიკვინია, ვახტანგ თოდუა, დარეჯან ჭარბაძე, ამირან შალამბერიძე, იზო გოცირიძე, დემურ ინჯია, რემი გველესიანი იუწყებიან კავშირგაბმულობის სამინისტროს პრესის გავრცელების სამსახურის ყოფილი უფროსის

**მზია ნარმანიას**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## პროგრამა

**პარასკევი 28 ოქტომბერი**

06.00, 14.00 ტ/სერ. "**ფრანკლინი და ბეში**" 07.00, 17.00 დოკ/სერ. "დროისა და სივრცის მიღმა" 08.00 "მხიარული ფერმა" 08.40 "ტელემანი" 09.00 "მოამბე დილას" 10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00 "მოამბე" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00, 19.00 ტ/სერ. "**ტრიუმფი**" 12.20 მხ/ფ "**დიდი ძარცვა ნოროთფილდში**" 15.00, 00.00 "x სტუდია" 16.30 "ეკონომეტრი" 21.00 ტ/სერ. "**შურისძიება**" 22.00 თოქ-შოუ – "რეალური სივრცე" 23.00 ტ/სერ. "**ამერიკელები**" 01.00 მხ/ფ "**ვითომ მაგარი პოლიციელები**"

08.00 დ/ფ "ჩრდილოეთ ამერიკა" 09.00 დ/ფ "წინასწარმეტყველი ფანტასტები" 10.00 "გეოფაქტორი" 10.15 მხ/ფ "**ვიცე მეფეები**" 2 ნაწ. 12.00 ტ/სერ. "**ნუ შეწყვეტ ოცნებას**" 13.00 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 14.00 დ/ფ "ჩრდილოეთ ამერიკა" 15.00, 18.00, 20.00 "ბრიფინგის დრო" 17.00 დ/ფ "წინასწარმეტყველი ფანტასტები" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" 21.00 "ეპიცენტრი" 22.00, 01.00 ტ/სერ. "**ლოს ანჯელესის პოლიცია**" 23.00 "მოამბე" (3 ენაზე) 00.30 "ნამდვილი დრო"

06.30, 16.00 სერ. "**თანხმობა**" 07.30, 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.00 ქრონიკა 07.35, 08.15, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. "**ერთი სიყვარულის ამბავი**" 11.20 სერ. "**სიყვარულის ჟამი**" 12.30 დღის შოუ 14.40 სერ. "**ფიცი**" 17.35 სერ. "**პატარძალი**" 18.50, 19.03 სერ. "**ღირსების სახელით**" 20.55 სერ. "**შავი ვარდი**" 22.00 ღია ეთერი-თოქ შოუ 23.30 მხ/ფ "**რედი**" 01.30 მხ/ფ "**კოდი**" 03.15 მხ/ფ "**ბობი "ზის" სიკვდილი და ცხოვრება**" 04.55 მხ/ფ "**გადამწყვეტი ხმა**"

06.00 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" 06.45 სერ. "**გაბრიელა**" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "**დინასტია**" 12.30 "სხვა შუა დღე" 13.55 სერ. "**დედოფლის სევდა**" 15.55 სერ. "**ინდური საგა**" 16.55 სერ. "**ცხოვრების გზები**" 18.50 სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" 19.55, 20.05 სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" 20.50 ლოტო 22.00 ვანოს შოუ 23.00 ქერის უბანი 23.30 სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" 14 00.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერის დაიჯესტი

8.00 ან/ფ "**ვარსკვლავური ომები – მეამბოხეები**" 9.00, 19.30 სერ. "**მენტალისტი**" 10.00, 18.30 სერ. "**სკანდალი**" 11.00 სერ. "**გრეის ანატომია**" 13.00, 1.30 სერ. "**კრიმინალური აზროვნება**" 15.00 გვიანი შუადღე 17.00 ცოლები და ქმრები 17.30 სერ. "**ახალი გოგო**" 18.00 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები 20.30 20.30 22.30 სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" 23.30 მხ/ფ "**მტაცებელი**"

06.15 კვირიაკე 07.20 დ/ფ "ველური ბუნება"-სპილოების დაჭერა 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 10.35 ლექციები მეფუტკრეობაზე 10.50 მოკ. მხ/ფ "**ბაკულას ღორები**" 12.10 პორტრეტები 13.15 ერთხელ ბავშვობაში 13.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" 14.30 გამოყენებითი ხელოვნება "ქვილთი" 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.10 ქართ. ან/ფ 15.30 წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან 15.50 კონცერტი 16.45 ჩვენი ფონდი 17.00 მიწათმოქმედი 17.20 ჩვენი საგანძური 17.40 ამბიონი 18.10 "განთიადის" სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ "**მაცი ხვიტია**" 20.40 ძილი ნებისა "ჩიპი და დეილი", "ტომი და ჯერი" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.10 ქვიშით ამღერებული პოეზია 21.15 დროის ჩანაწერები "რეზო ამაშუკელი 80" 22.25 მოგზაურობა სამშობლოში 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.35 დეკორატიული ფლორა "პუანტესია" 00.35 მგზავრები წუთისოფლისა 01.00 დ/ფ "ოტია იოსელიანი" 01.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 2.30 "კონტაქტი" 7.30 ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) საბავშვო 8.00 სერ. "**კარმელიტა**" 10.00, 13.20 სერ. "**ცენტრალური საავადმყოფო**" 11.00, 18.50 სერ. "**გაზაფხულზე იბადება სიყვარული**" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 1.30 "ბიზნეს კონტაქტი" 14.10 სერ. "**ორი გული**" 15.00 "კონტაქტი სამზე" 15.30 სერ. "**სიყვარულის იმპერია**" 16.00 სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 19.55 "დამზადებულია საქართველოში" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 21.10 სერ. "**გემი**" 23.00 სერ. "**ესკობარი**" 0.00 მხ/ფ "**ცხრიანები**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**28 ოქტომბრისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი


აშშ დოლარი — 2.408


ევრო — 2.6303


ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2.9385


100 რუსული რუბლი — 3.8679

## ამინდის პროგნოზი 28 ოქტომბრისთვის




# სოსო პავლიაშვილი: „ბაქოში მაინც ჩავალ!“



აზერბაიჯანის დედაქალაქში რუსეთში მოღვაწე ქართველი მომღერლის სოსო პავლიაშვილის კონცერტია დაგეგმილი. ყარაბაღში გამართული კონცერტის გამო ბაქოში სოსო პავლიაშვილის კონცერტის გაუქმებას ითხოვენ. ცნობილმა კინოდრამატურგმა რამიზ ფატალიევმა ღია წერილი გამოაქვეყნა, სადაც დეტალურად ისაუბრა იმ მიზეზებზე, რის გამოც სოსო პავლიაშვილს ბაქოში სიმღერის უფლება არ აქვს.

2013 წელს აზერბაიჯანის ხელისუფლებამ გამოაქვეყნა იმ პირების სია, რომელთაც აეკრძალათ ქვეყნის ტერიტორიაზე შესვლა მას შემდეგ, რაც ისინი არაღიარებული მთიანი ყარაბაღის ტერიტორიაზე შევიდნენ. მათ შორის იყო სოსო პავლიაშვილიც, რომელმაც ყარაბაღში კონცერტი გამართა. მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ რამდენიმე კვირის წინ ქართველი მომღერალი „შავი სიიდან“ ამოიღეს.

სოსო პავლიაშვილის მიმართ გავრცელებულ წერილთან დაკავშირებით მოკლე კომენტარი გააკეთა მომღერლის კონცერტების დირექტორმა და განაცხადა, რომ სოსო პავლიაშვილი ამ თემას უპასუხოდ არ დატოვებდა.

გაირკვა, რომ ბაქოში ქართველი მომღერალი საქველმოქმედო კონცერტს გამართავს. მისი ორგანიზატორი მომღერალი და ბიზნესმენი, ილჰამ ალიევის ყოფილი სიძე და რუსეთის შოუბიზნესში კარგად ცნობილი სახე ემინ აგალაროვია.

სოსო პავლიაშვილი ბაქოში დაგეგმილ თავის კონცერტს საჯაროდ გამოეხმაურა. როგორც 52 წლის მომღერალმა განაცხადა, ღმერთმა მას

გაგრძელება მე-11 გვერდზე

# კანადაში ქრისტეს ქანდაკების მოპარული თავი ადგილზე დააბრუნეს



კანადაში ყრმა იესო ქრისტეს ქვის ქანდაკების თავი მას შემდეგ დააბრუნეს, რაც მისი დროებითი შემცვლელი, ადგილობრივი მხატვრის მიერ მულტსერიალ „სიმპსონების“ გმირების სტილში შესრულებული ქანდაკება, სოციალურ ქსელებში დაცინვის საგნად იქცა.

ერთი წლის წინ ქანდაკების გატაცებული თავი, რომელიც ქალაქ სადბერის კათოლიკური ეკლესიის მახლობლადაა აღმართული, ქალმა მოიტანა, რომელმაც ვინაობის გამხელაზე უარი განაცხადა. მან განმარტა, რომ ადამიანი, რომელმაც ეს ჩაიდინა, „პირადული პრობლემებისგან იტანჯება“. თავი მის ოფისში ჯერ კიდევ აგვისტოდან ინახებოდა, თუმცა ქალს გარკვეული დრო დასჭირდა იმის მისახვედრად, თუ საიდან იყო ეს არტეფაქტი.

როგორც ადგილობრივი ეკლესიის ღვთისმსახურმა ჟერარ ლაჟენესმა განაცხადა, უცნობი ბოროტმოქმედის ძებნას არ დაიწყებენ.

# „მის ისლანდია“ სილამაზის კონკურსის ორგანიზატორს ბრალს სდებს



სილამაზის საერთაშორისო კონკურსის მისს გრანდ ინტერნეიშენელ 2016-ის მონაწილემ, ისლანდიელმა არნა ირ იოუნსდოუტირმა კონკურსის ერთ-ერთ მომწყობს ბოდიშეიმინგი დასდო ბრალად.

გოგონამ განაცხადა, რომ კონკურსის მფლობელმა და დამაარსებელმა, ტაილანდელმა ტელეწამყვანმა და პროდიუსერმა ნავატ იტსარაგრიზილმა მას ფინალამდე დარჩენილ რამდენიმე დღეში წონაში დაკლება მოსთხოვა. ამასთან, მისთვის გაგზავნილ შეტყობინებაში ნათქვამი იყო, რომ ამ რჩევას ის საუკეთესო სურვილებითა და სიმპათიით აძლევდა.

წონაში დასაკლებად არნას ურჩევდნენ, უარი ეთქვა საუზმეზე, სადილზე მიერთმია მწვანე სალათი, საღამოს კი წყალი ესვა. მაგრამ გოგონამ ჩათვალა, რომ ამის გარეშეც შესანიშნავად გამოიყურებოდა და კონკურსში მონაწილეობაზე უარი განაცხადა.

– თუ კონკურსის მფლობელს ნამდვილად სურდა, მე გავმხდარიყავი, გამოდის, ისინი არ იმსახურებენ იმას, რომ მე მასში მონაწილეობა მივიღო... დიახ, ჩემი მხრები ოდნავ უფრო განიერია, ვიდრე სხვა გოგონებს აქვთ, მაგრამ ეს იმის გამოა, რომ მე ძალოსნობაში ისლანდიის ნაკრებში გამოვდიოდი და ამით ვამაყობ, – განაცხადა გოგონამ და იქვე დაამატა, რომ ამის შემდგომ აღარცერთ სილამაზის კონკურსში აღარ მიიღებს მონაწილეობას.

ბოდიშეიმინგი არის ადამიანის სხეულის ინ მონაცემების განსჯა, რომლებიც „მიღებული“ სტანდარტებისგან განსხვავდება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**



## იუმორი

ბავშვი დედას ეკითხება:
– დედა, ჩვენი გაზქურა ასეთი ჭუჭყიანი რატომაა?
– მამამ ერბოკვერცხი შეწვა.
– უტაფოდ?

•••

ქიმიის გაკვეთილზე მასწავლებელმა ბავშვებს ლაბორატორიული ცდის ჩატარება დაავალა. გარკვეული დროის შემდეგ კითხულობს:
– აბა, ლალი, როგორი ფერის ხსნარი მიიღე?
– ვარდისფერი.
– შესანიშნავია, ათიანი. რეზი, შენი ხსნარი რა ფერისაა?
– ყვითელი, მასწავლებელო.
– ყოჩაღ, რვიანი. შენ გიგი, შენ რა ფერის ხსნარი მიიღე?
– მწვანე.
– ერთიანი! ბავშვებო! დაწექით!!!

•••

დედა შვილს ეკითხება:
– შვილო, მთელ კლასს რატომ მოუყევი, თუ როგორ კოცნიდა მათემატიკის მასწავლებელს ფიზკულტურის მასწავლებელი?
– თვითონ მთხოვა.
– როგორ თუ თვითონ?
– მითხრა, აბა, გივიკო, მოუყევი მთელ კლასს, რატომ იკრიჭები? იქნებ ჩვენც გავიცინოთ!

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:
– შენს მეუღლეს ის წიგნი, ყაირათიანობაზე, აჩვენე?
– ჰო.
– მერე, როგორია შედეგი?
– მოწევას თავი დავანებე.

•••

ავადმყოფი ექიმს ეკითხება:
– ექიმო, რა შეგიძლიათ მითხრათ ჩემი გულის, ღვიძლისა და თირკმლების მდგომარეობაზე?
– შეგიძლიათ, მშვიდად იყოთ, ორგანოებზე მონადირეები თქვენით ნამდვილად არ დაინტერესდებიან.

•••

ქმარი კვდება და ცოლს ეუბნება:
– ჩემს ბოლო სურვილს ამისრულებ?
– რა თქმა უნდა, ძვირფასო.
– მინდა, რომ ჩემი სიკვდილიდან ერთ წელიწადში შაქროს გაჰყვე ცოლად.
– კი მაგრამ, აკი ვერ იტანო?
– ჰოდა, მაგიტომაც!..

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.



## 21 ოქტომბრიდან
### მაიკლ პუნკე
# გადარჩენილი




რომანის მთავარ გმირს, ჰიუ გლასს, თავს დაესხა დათვი გრიზლი და დაასახიჩრა. მომაკვდავი თანამეგზურებმა მიატოვეს.

გლასი გადარჩა და დამნაშავეებზე შურის საძიებლად გაემართა. სწორედ აქ იწყება ჰიუ გლასის გადარჩენის დაუჯერებელი ამბავი.

ჰოლივუდში ამ რომანის მიხედვით გადაღებულმა ფილმმა 2016 წელს ამერიკის კინოაკადემიის უმაღლესი ჯილდო, ოსკარი დაიმსახურა.

ნანატრი ოსკარი მიიღო მთავარი როლის შემსრულებელმა ლეონარდო დი კაპრიომაც, რომლისთვისაც ეს პირველი ოსკარია.

**ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი**


# მაკა ასათიანი სტუდენტი გახდა



დიზაინერი მაკა ასათიანი სტუდენტი გახდა. მან ბარსელონის უნივერსიტეტში ჩააბარა.

ინფორმაცია დიზაინერმა სოციალურ ქსელში თავად გაავრცელა და სტუდენტური ბილეთის ფოტოც გამოაქვეყნა.

რას ისწავლის მაკა ასათიანი ბარსელონის უნივერსიტეტში, ამ ეტაპზე უცნობია, მაგრამ, ის ცნობილია, რომ ამ სასწავლებელში მისთვის სწავლა ყოველთვის ოცნება იყო და ეს ოცნება მაკამ მხოლოდ წელს აისრულა.

მაკა ასათიანი წლებია, საქართველოდან წავიდა. ის მეუღლესთან და შვილებთან ერთად საზღვარგარეთ ცხოვრობს.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# „მის ბუმ-ბუმის“ მონაწილენი „საიდუმლო სერობის“ წარმოსახვაში მონაწილეობისთვის გააკრიტიკეს



კონკურს „მის ბუმ-ბუმი-2016“-ის მონაწილეები კრიტიკის ობიექტად იქცნენ მას შემდეგ, რაც მათ სურათი „საიდუმლო სერობა“ გააცოცხლეს.

ნარინჯისფერ ბიკინიში გამოწყობილი კონკურსის რვა ფინალისტი შეეცადა, ცნობილი ფრესკის გმირების პოზები გაემეორებინა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ზოგიერთმა რელიგიურმა ლიდერმა ეს ქმედება უპატივცემულობად ჩათვალა. ქალების მიმართ კრიტიკა არც შეჯიბრების სამშობლოში – ბრაზილიაში მოიწონეს, რომელიც მსოფლიოს ყველაზე დიდი კათოლიკური ქვეყანაა.

კონკურსის ზოგიერთმა მონაწილემ განაცხადა, რომ რელიგიური გამოსახულების გამოსახვის იდეის წინააღმდეგები იყვნენ, მაგრამ ვერ შეძლეს, უარი ეთქვათ ორგანიზატორებისთვის, მათთან ადრე გაფორმებული კონტრაქტის პირობებიდან გამომდინარე.

– ამის გამო მშვიდად ვეღარ ვიძინებ. ღმერთს უკვე ვთხოვე შენდობა. მინდა გთხოვოთ, მაპატიოთ მეც და დანარჩენ გოგონებსაც. ჩვენ მეტისმეტად შორს შევტოპეთ, – განაცხადა კონკურსის მონაწილე დიანა ფეგურედომ, რომელმაც სურათზე იესო ქრისტე განასახიერა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. ყოველდღიური ხუთჯერადი ლოცვა არაბულ ქვეყნებში; 2. უძველესი აკადემია კახეთში; 3. ბუნებრივი ნაკრძალი იმერეთში; 4. მდინარე ზუგდიდში; 6. ქართული ლუდი; 8. ბალნეოლოგიური კურორტი კახეთში; 11. დიდი ფართობის ნოყიერი სახნავი ნიადაგი; 12. ფასის დაწევა საქონელზე უხარისხობის გამო; 16. დეტექტიური ჟანრის ამერიკელი მწერალი; 17. მკვრივი და დრეკადი იოგი, რომლითაც კუნთი მიმაგრებულია ძვალზე; 18. პერიოდულ ბეჭდვით გამოცემათა ერთობლიობა.

**თარაზულად**: 1. სირბილი, ცურვა მოკლე დისტანციაზე; 5. სანოტო ნიშანი ბგერის ნახევარტონით ასამაღლებლად; 7. ძვირფასი სარეწაო თევზი; 9. ქართული ნაციონალური ტანსაცმელი; 10. ხმის სახშობი მოწყობილობა ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტებისათვის; 13. ჭადრაკის ფიგურა; 14. დიდი სამგზავრო-სატრანსპორტო გემი; 15. ბრიტანული ტაქსი; 19. უნგრული ჯარის ძველი სახელწოდება; 20. ბალნეოლოგიური კურორტი იმერეთში; 21. სამონასტრო კომპლექსი მცხეთის მახლობლად; 22. სიტყვების წარმოთქმის მანერა.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




ლურჯი წითელი ყვითელი შავი